საქართველოს

მოკლე ისტორია

დ. კარიჭაშვილის მიერ.

პირველი ნაწილი.

 წიგნსაცავი

ტფილისი
მსწრაფლ-მბეჭდავი „ძმობისა“. მოსკოვის ქ. № 5.
1907

I

ქართველები უძველესს დროში.

ქართველების არე-მარე.—ქართველების მეზობლები და მათთან ურთი-ერთობა.—ქართველების ვინაობა.—ქართველთა შინაური წესწყობილება.—სარწმუნოება და ზნე-ჩვეულება.—ცხოვრების სახსრები.

1. **ქართველების არე-მარე.**—უძველესს დროში ქართველები მოსახლეობდენ არა მხოლოდ იმ არე-მარეში, სადაც ახლა ბინადრობენ, არამედ უფრო დიდს სივრცეზე, რომლის საზღვრები აწევდენ აღმოსავლეთით თეთრს ზღვამდე, სამხრეთით მესოპოტამიამდე და თავრის მთებამდე და დასავლეთით შავის ზღვის პირად ტრაპიზონის მიდამოებამდე. ამ საზღვრებში დაბინავებულს ქართველს მოდგმას უხდებოდა მეზობელს ხალხებთან როგორც მტრული შეტაკება და ბრძოლა, ისე მშვიდობიანი ურთიერთობა. სამხრეთის მეზობლებთან შეტაკებისა და ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ ქართველთა არე-მარის უმეტესი ნაწილი დაპყრობილ იქნა უცხო ხალხთაგან და იქ მცხოვრები ქართველთ მოდგმა დროთა გამავლობაში გადაგვარდა და გაქრა. ამნაირად შევიწროებული და დამცირებული ქართველთა მოდგმა დარჩა მხოლოდ მტკვრისა, რიონისა და ჭორახის ხეობებში და მათ ახლო-მახლო. საქართველოს ისტორია მხოლოდ ამ საზღვრებში მოსახლე ქართველებს იხსენიებს და ჩვენც მხოლოდ მათზე გვექნება ლაპარაკი ამ წიგნში.

2. ქართველების მეზობლები და მათთან ურთიერთობა.—ძველის-ძველი მეზობლები ქართველის მოდგმის ხალხებისა იყვნენ **ბაბილონელები** და **ასურელები**, რომლებთანაც ქართველებს ჰქონდათ როგორც აღებ-მიცემა და მშვიდობიანი მისვლა-მოსვლა, ისე მტრობა და ბრძოლა. ამ მტრობამ და ბრძოლამ ისე დაასუსტა სამხრეთის ქართველები, რომ მათ არე-მარეში შეესია მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს წინ სხვა მხრის ხალხი, დაიპყრო ეს ქვეყანა და გადააგვარა მისი მცხოვრებლები. დიდი იყო კულტურული გავლენა ბიბილონ-ასურელებისა სამხრეთის ქართველებზე და მათ საშუალებით ჩრდილოეთის ქართველებზედაც.

ასურელების შემდეგ ქართველების ძლიერი მეზობლები შეიქნენ **სპარსელები**, რომელთაც მთელი წინა აზია დაიპყრეს და საქართველოც თავიანთ პოლიტიკურს და კულტურულს გავლენას დაუმორჩილეს. საბედნიეროდ, სპარსელების პოლიტიკური გავლენა ისეთი შემმუსრავი არ იყო, როგორიც შეიქნა ასურელებისა. სპარსელების მფლობელები თხოულობდენ ქართველთაგან მხოლოდ მათ ზეხელმწიფების აღსარებას და გადაჭრილის გადასახადის ძღვევას. ქართველები არ ურიგდებოდენ სპარსელების ასეთს მფლობელობას და მუდამ იბრძოდენ სრულის დამოუკიდებლობისთვის. რაიცა შეეხება სპარსელების კულტურულს გავლენას, იგი იყო მეტად დიდი და ღრმა, რადგან იგი მოქმედებდა განუწყვეტლად მეექვსე საუკუნითგან დაწყებული ქრისტეს წინ.

სპარსელებზე ადრე ქართველებს ჰქონდათ მეზობლობა და ურთიერთობა **ბერძნებთან**, რომლებმაც უძველესის დროთგანვე დაიწყეს მოსახლეობა შავის

ზღვის პირად და აღებ-მიცემა მის პირად მკვიდრს ხალ-ხებთან. ბერძნებთან ურთიერთობა იყო მხოლოდ მშვი-დობიანი და ისიც მხოლოდ საალებმიცემო, რითაც აი-ხსნება ის გარემოება, რომ ბერძნების გავლენა არ იყო ისეთი დიდი და ღრმა, როგორც სპარსელებისა.

ქართველების ჩრდილოეთის მეზობლები იყვნენ კავკასიის მთებში მოსახლე წვრილ-წვრილი ხალხი და მათ ზურგს უკან მობინადრე **სკვითები** ანუ **ხაზარები**, რომელნიც მუდამ მზად იყვნენ გადმოელახათ საქართვე-ლოს საზღვრები. ამ მეზობლებს დიდი გავლენა არა ჰქონდათ ქართველებზე ჯერ ერთი იმიტომ, რომ განვი-თარებით დაბლა იდგენ და მეორე იმიტომ, რომ მთები ნებას არ აძლევდენ საქართველოში თავისუფლად შე-მოსეულიყვნ. ამის მიუხედავად მთიელები და სკვითები ხანდახან მოახერხებდენ ხოლმე კავკასიის მთების კარვ-ბის გაღებას და შუაგულს საქართველოში შემოსვლას, რის შემდეგაც ქართველთა შორის რჩებოდა მათი კვა-ლი. ამიტომ არ შეიძლება სრულიად უარ-ყოფილ იქ-ნას მთიელებისა და სკვითების გავლენა ქართველებზე.

ბოლოს უნდა მოვიხსენიოთ სამხრეთის ერთი მე-ზობელი ხალხი—**სომხები**, რომლებიც, ზოგიერთის მე ცნიერის აზრით, წარმომდგარნი არიან ქრისტეს წინ მეშვიდე საუკუნეში საქართველოში შემოსეულის არი-ელთა მოდგმის ხალხის ქართველის მოდგმის ხალხთან შერევისაგან. მართალია სომხები სპარსელების გავლე-ნის ქვეშ იყვნენ როგორც პოლიტიკურად, ისე კულ-ტურულად, მაგრამ მაინც სარგებლობდენ ცოტაოდნად დამოუკიდებლობით და თავიანთ ძალ-ღონის ფარგალში ხშირად ქართველებთან იჭერდენ მოყვრულს თუ მტრულს

ურთიერთობას. ამის გამო სომხებსაც უნდა ჰქონოდათ რაოდენიმე გავლენა ქართველებზე.

3. ქართველების ვინაობა.—მეცნიერებს ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტიათ, თუ ქართველი მოდგმა რომელს სხვა მოდგმას ენათესავება და საითგან მოსულა იქ, სადაც ისტორია მათ პირველად ხედავს. ამას შეიტყობს მეცნიერება მხოლოდ მაშინ, როდესაც ღრმად იქნება გამოკვლეული ქართული ენა და მისი დამოკიდებულება სხვა ენებთან. დღეს-დღეობით კი ქართველთა მოდგმა ცალკე დგას, როგორც დამოუკიდებელი და უნათესავო. ეს კი უნდა ითქვას, რომ ქართველს მოდგმას დროთა განმავლობაში არ შეეძლო, დარჩენილიყო წმინდა და შეურეველი. საქართველოს არე-მარე ძველადვე ბევრჯელ ყოფილა სხვა-და-სხვა ხალხის მფლობელობაში და ამ მფლობელობის შედეგი ყოფილა ჩამოსახლება ქართველთა შორის უცხო მოდგმის ხალხთა. ამ გარემოებას ის გავლენა ჰქონდა ქართველთა ენასა, სარწმუნოებასა და ზნე-ჩვეულებაზე, რომ მათში ერეოდა უცხო ელემენტი და ასე თუ ისე ისინი იცვლებოდნენ და ჰკარგავდნენ პირვანდელს სიწმინდეს.

4. ქართველთა ვინაური წეს-წყობილება.—როგორი იყო უძველესს დროში ქართველების შინაური ცხოვრება, დაწვრილებით ძნელი წარმოსადგენია ახლა, რადგან მის შესახებ ცნობებს არ მოუწევია ჩვენამდე. ჩვენს მატიანეში დაცულის გადმოცემითგან შეგვიძლიან მხოლოდ ის დავასკვნათ, რომ ქართველების ცხოვრება აგებული იყო გვარობრივს და თემობრივს საფუძველზე. ერთის ოჯახის წევრნი შეადგენდნენ ცალკე ჯგუფს, რომელიც ემორჩილებოდა ოჯახის უფროსს ანუ მამასახლისს; მონათესავე ოჯახები შეადგენდნენ ერთს გვარს,

სადაც უფროსობდა ერთ-ერთის წარჩინებულის ოჯახის უფროსი ანუ მამასახლისი. ერთს ადგილზე მცხოვრები გვარები შეადგენდენ თემს, სადაც უპირატესობა ჰქონდა ერთ-ერთის წარჩინებულის გვარის უფროსს მამასახლისს. თემების კრებული შეადგენდა ერთს ტომს, რომელშიც უფროსობდა ერთერთის თემის წარჩინებულის გვარის უფროსი ანუ მამასახლისი. მამასახლისის უფლება როგორც გვარში, ისე თემში და ტომში არ იყო განუსაზღვრელი და ერთმთავრული. გვარის, თემის და ტომის მამასახლისები მხოლოდ უპირატესობდნენ, ხოლო საქმის გადაწყვეტაში ისინი ეკითხებოდენ სხვებსაც: გვარის უფროსი მამასახლისი ეკითხებოდა სხვა ოჯახების მამასახლისებს, თემის უფროსი მამასახლისი სხვა გვარების მამასახლისებს და ტომის უფროსი მამასახლისი სხვა თემების უფროსს მამასახლისებს და საერთო საქმეებს ისინი ერთმანერთის თანხმობით და დაკითხვით აკეთებდნენ. დროთა განმავლობაში სხვა-და-სხვა ქართველს ტომში ეს ცხოვრება ფეხს იცვლიდა, დამოკიდებულება გვართა, თემთა და ტომთა და მათ უფროსთ მამასახლისთა შორის ასე თუ ისე იცვლებოდა: ზოგან ტომის უფროსი მამასახლისი უფრო დიდს უფლებას იძენდა, პირადის ღირსებით თუ სხვა მიზეზით ითვისებდა მეფის ხარისხს, ერთი ტომი იმორჩილებდა მეორე ტომს, ერთი თემი მეორე თემს, მაგრამ გვარობრივი საფუძველი კი მაინც რჩებოდა ბევრად თუ ცოტად. ტომები ერთი-ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი ხშირად ერთდებოდნენ რომელისამე საერთო საქმისათვის, მაგალითად მტრების მოგერებისა ან მათზე გალაშქრებისათვის.

5. **სარწმუნოება და ზნე-ჩვეულება.**—სარწმუ-

ნოებისა და ზნე-ჩვეულების შესახებაც ბევრი არა ვიცით-რა. მხოლოდ ეს კი ცხადია, რომ თავდაპირველად ქართველებში ყოფილა გავრცელებული (წინაპართა თაყვანისცემა და გაღმერთება ყოველისავე სულიერის და უსულო საგნისა.) მასუკან უნდა გავრცელებულიყვეს ასურელების გავლენით მნათობების - მზის, მთვარის და ზოგიერთის პლანეტის—თაყვანისცემა და ბოლოს სპარსელების გავლენით ცეცხლის თაყვანისცემა და ზარატუშტრას მოძღვრება.

6. **ცხოვრების სახსრები.**—ქართველების უმთავრესი ცხოვრების წყარო ძველის-ძველს დროშივე იყო მიწის შემუშავება და საქონლის მოშენება: მოჰყავდათ პური და აყენებდნენ ღვინოს. პურის გარდა მოჰყავდათ სელი, რომლისაგანაც ამზადებდნენ ქსოვილებს. ზოგიერთნი ტომნი, სადაც ადგილი ნებას აძლევდა, იღებდნენ მიწითგან მადნეულს და მისგან აკეთებდნენ სხვა-და-სხვა იარაღსა და ჭურჭელს. რაც მეტი მოსავალი ჰქონდათ, ან რასაც მეტს ნაწარმოებს ამზადებდნენ, ქართველები ჰყიდდენ უცხო ქვეყნელებზე, რომელთაც სამაგიეროდ შემოჰქონდათ საქართველოში თავიანთი ნაწარმოები.

მიწა ანუ მამული გვარობრივ-თემობრივის წესწყობილების მიხედვით საგვარეულო და სათემო იყო. კერძო საკუთრებად მამულს არავინ ფლობდა.

II

საქართველო მეფობის შემოღებითგან ქრისტიანობის მიღებამდე.

ქართველთა შეერთების საჭიროება.—მაკედონელთა მფლობელობა.—მაკედონელთა მფლობელობისგან გათავისუფლება და მეფობის დაარსება.—ფარნაოზ მეფე.—ფარნაოზის შემდეგი მეფეები.—პოლიტიკური ცვლილებები ფარნაოზითგან მეფე ადერკამდე.—საქართველოს შინაური მდგომარეობა პირველს საუკუნეში ქრისტეს წინ.—მეფეები ადერკის შემდეგ მირიან მეფემდე.—ქართველთა სარწმუნოება ქრისტიანობის მიღებამდე.

1. **ქართველთა შეერთების საჭიროება.**— ქართველების დაყოფა ტომ-ტომებად და მათი ერთიერთმანერთისაგან დამოუკიდებლად ცხოვრება იყო მიზეზი მათ სისუსტისა. მტრები სარგებლობდენ მათ დანაწილებით და ადვილად ამარცხებდენ მათ. ეს ბოლოს იგრძნეს ქართველებმა და იფიქრეს შეერთებულიყვენ და დაეარსებინათ სახელმწიფო. მატიანე ქართველთა ერის გაერთიანებას და მეფობის დაარსებას უკავშირებს მაკედონელთა მიერ საქართველოს დაპყრობას სამასის წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე.

2. **მაკედონელთა მფლობელობა.**—მეოთხე საუკუნის გასულს ქრისტეს დაბადებამდე მაკედონიის მეფემ ალექსანდრემ დაიპყრო აზიის დასავლეთი ნაწილი და ეგვიპტე. უეჭველია, საქართველოც ალექსანდრეს უნდა დამორჩილებოდა. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, ვითომ ალექსანდრე მეფე თვითონ შემოსულიყ-

ვეს საქართველოში, დაეპყროს მთელი საქართველო და მმართველად დაეყენებინოს მცხეთაში ვინმე აზონი, ჩამომავლობით ბერძენი. მართალია, ალექსანდრე მაკედონელი ნამდვილად არ შემოსულა საქართველოში, მაგრამ ის კი დასაჯერებელია, რომ მას საქართველოს დასაპყრობად გამოეგზავნოს ჯარის რაზმი და დაპყრობის შემდეგ მის მმართველად დაეყენებინოს თავისი სანდო კაცი. ამ კაცის ვინაობის შესახებ მეორე ქართული მატიანე „ქართლის მოქცევა“ ამბობს, ვითომ ის ყოფილიყვეს **არან-ქართლის** მეფის შვილი **აზო**, რომელსაც სთვლის საქართველოს პირველს მეფედ. თუ ამ მატიანის ცნობა მართალია, **არან-ქართლი** უნდა საქართველოს რომელიმე განაპირა ქვეყანა ყოფილიყო. ალბად ამ ქვეყნის მეფე ან მმართველი თავის ნებით დამორჩილებია ალექსანდრეს და ამასაც მისი შვილი წყალობის ნიშნად დაუდგენია მთელის დაპყრობილის საქართველოს მმართველად.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ დადგენილი მმართველი, თუნდა ქართველი ყოფილიყოს იგი ჩამომავლობით, უეჭველია იქნებოდა მაკედონელების პოლიტიკის მომხრე და ქართველი ხალხიც მას დაუწყებდა ცქერას როგორც უცხოს და ქართველების მტერს.

3. მაკედონელთა მფლობელობისგან გათავისუფლება და მეფობის დაარსება.—მაკედონელების მფლობელობამ ქართველები შეაერთა პოლიტიკურად და დაუახლოვა ერთმანერთს, ხოლო მათმა საერთო გაჭირებამ შეაგნებინა მათ ერთობის საჭიროება და აუძრა გათავისუფლების სურვილი. ამ სურვილის გასახორციელებლად საჭირო იყო აჯანყება და იარაღის საშუალებით განდევნა საქართველოთგან მაკე-

დონელებისა და მათგან მოვლენილის აზონისა. „ქართლის ცხოვრების“ თქმით, ამ აჯანყების მოთავედ გამოვიდა მცხეთის უკანასკნელის მამასახლისის ძის წული **ფარნაოზი**. ქართველებმა ფარნაოზის მეთაურობით განდევნეს მაკედონელები, აზონი შეტაკების დროს მოკლეს და საქართველოს მეფედ გამოაცხადეს ფარნაოზი. ეს ამბავი უნდა მომხდარიყო ალექსანდრე მეფის სიკვდილის შემდეგ, როდესაც მის სახელმწიფო დანაწილდა და მაკედონელთა მფლობელობა შესუსტდა, დაახლოვებით სამასის წლის წინ ქრისტეს დაბადებამდე.

4. **ფარნაოზ მეფე.**— ფარნაოზ მეფემ საქართველოში ახალი წეს-წყობილება შემოიღო. მთელი ქვეყანა გაჰყო რავდენსამე ნაწილად და მათ გამგებლებად დააყენა ერისთავები. „ქართლის ცხოვრება“ მიაწერს ფარნაოზ მეფეს მზრუნველობას ქართულის ენის განვითარებისათვის, ქართულის მწიგნობრობის შემოღებას და მეცადინეობას ქართველთა სარწმუნოების და ზნეობის გაწმენდისათვის. იგივე მატიანე გადმოგვცემს, რომ, ფარნაოზი, თუმცა დამოუკიდებელი მეფე, მაინც მსახურებდა ასურასტანის მეფეს ანტიოქოზს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აღიარებდა ასურასტანის მეფის ზეხელმწიფებას. რაში გამოიხატებოდა ეს ასურასტანის მეფის ზეხელმწიფება ან რანაირი იყო ახლად დაარსებული მეფობა საქართველოში, ჩვენ ჯერ-ჯერობით ამისი არა ვიცით-რა. საფიქრებელია, რომ ასურასტანის მეფის ზეხელმწიფება მხოლოდ სახელით იყო; ხოლო მეფის უფლება არ უნდა ყოფილიყო ისეთი, როგორიც ის შეიქნა შემდეგში. გვაროობრივ-თემობრივი წეს-წყობილება მესამე საუკუნეში ქრისტეს წინ ჯერ კიდევ მაგრად იყო ქართველებში და, უეჭველია, მეფის უფლე-

ბაც ამ წეს-წყობილების ნიადაგზე იყო დამყარებული, ე. ი. მეფე უნდა ყოფილიყო უფროსი წარმომადგენელი ერთის გვარისა და ტომისა, რომელსაც უპირატესობა ექნებოდა სხვა გვართა და ტომთა უფროსთ წარმომადგენელთა შორის. პირველს საუკუნეში ქრისტეს წინ მცხოვრები ბერძნის მწერალი სტრაბონი მოგვითხრობს, რომ საქართველოს მეფის გვარი წარმოადგენდა ცალკე წოდებას და რომ ამ გვარში უფროსი ითვლებოდა მეფედ, ხოლო მის მიმდევნო მსაჯულთ-უხუცესად და მხედართ-მთავრად. აქედან ჩანს, რომ მეფის უფლება ყოფილა დაფუძნებული გვარობრივს წესზე. თუ ასე იყო პირველს საუკუნეში ქრისტეს წინ, უეჭველია აგრევე იქნებოდა მესამე საუკუნეშიც.

5. **ფარნაოზის შემდეგი მეფეები.**—მატიანეში მოხსენებულნი არიან ფარნაოზის შემდეგი მეფეები ამ რიგად: **საურმაგ**, ფარნაოზის შვილი; **მირვანი**, საურმაგის სიძე; **ფარნაჯომი**, მირვანის შვილი; **არშაკი**, სომხის მეფის შვილი, მოწვეული ქართველთაგან ფარნაჯომის წინაამდეგ; **არტაგი**, არშაკის შვილი; **ბარტომი**, არტაგის შვილი; **მირვანი**, ფარნაჯომის შვილი; **არშაკი**, მირვანის შვილი; **ადერკი**, ბარტომის ქალის შვილი, რომლის გამეფებას მოიხსენიებენ 2 წ. ქრისტეს დაბადებამდე.

6. **პოლიტიკური ცვლილებები ფარნაოზისგან მეფე ადერკამდე.**—ბევრი ცვლილება მოხდა საქართველოს სამღვრად. ფარნაოზის შემდეგ. ასურასტანის სამეფო დაუძლურდა და სპარსეთი დამოუკიდებელი შეიქნა მისგან. სასომხეთიც გათავისუფლდა ასურასტანის მფლობელობისაგან. დაარსდა პონტის სამეფო შავის ზღვის პირად, და ბოლოს მცირე აზია და-

იპყრო რომის რესპუბლიკამ. ყველა ამ ქვეყნებთან უხ-
დებოდა ახლა საქართველოს შეხლა და ურთიერთობის
დაჭერა. სპარსელები ცდილობდენ საქართველოში თა-
ვიანთ მფლობელობა დაემყარებინათ, სომხები მუდამ
მზად იყვნენ დაეჭირათ მათ სამძღვრად მდებარე საქარ-
თველოს მაზრები. პონტის მეფეებმა დაიჭირეს იმიერ-
საქართველო და ამნაირად საქართველო ორად გაჰყვეს.
ხოლო რომაელები ხსენებულის სამის სამეფოს წინაამ-
დეგ ლაშქრობის დროს არ ივიწყებდენ საქართველოსაც
და ცდილობდენ ისიც თავიანთ საბრძანებელად გაეხა-
დათ. აღსანიშნავია ლაშქრობა რამაელებისა 65 წელს
ქრისტეს დაბადებამდე პომპეოსის წინამძღოლობით. პო-
ნტის მეფის მიტრიდატის წინაამდეგ გამოლაშქრებული,
იგი შემოვიდა საქართველოშიაც, დაამარცხა არტაგ მე-
ფე ქართველის ჯარით, გამოართვა ხარჯი და მძევლები
და დაადებინა აღთქმა რომის ერთგულობისა. იმიერ-საქა-
ართველო კი, რომელიც მანამდე პონტის მეფეს მიტრი-
დატს ემორჩილებოდა, ახლა პირდაპირ რომს დაემორ-
ჩილ[illegible]

7. საქართველოს შინაური მდგომარეობა პირველს საუკუნეში ქრისტეს წინ.—სტრაბონის მოწმობით, საქართველო პირველს საუკუნეში ქრი-
სტეს წინ მოფენილი ყოფილა მშვენივრად გაშენებუ-
ლის სოფლებით და ქალაქებით, სადაც სახლები, ბაზ-
რები და საზოგადო შენობები ყოფილან აგებულნი
ხუროთ-მოძღვრულის წესით და გადახურულნი კრამი-
ტით. მცხოვრებნი მომეტებულად მიწის მომქმედნი ყო-
ფილან. საკმაოდ ყოფილა აგრეთვე გავრცელებული
მადნის შემუშავება, საქონლის მოშენება და ვაჭრობა.
ამ უკანასკნელს ხელს უწყობდა მშვენიერი გზები და

ხიდები. ქალაქთაგან მოხსენებულნი არიან ჰარმოზიკა (**არმაზი**), სევსამორა (**წიწამური**), იდესა (**ოლთისი?**), პიტიუსი (**ფიჭვინთა**), დიოსკურია (**სოხუმი**), ფაზისი (**ფოთი**), სარაპანა (**შორაპანი**). შესამჩნევია, რომ სტრაბონი არ იხსენიებს მცხეთას, კასპს, ურბნისს, ოძრხეს, სარკინეს და სხვა ქალაქებს, რომელნიც აღნიშნულნი არიან ჩვენს მატიანებში როგორც ძველი ქალაქები. ეტყობა, მცხეთა და დანარჩენი ქალაქები სტრაბონის დროს ან არ არსებულან ჯერ კიდევ, ან არ ყოფილან ისე შესამჩნევნი, როგორც შემდეგში.

იმავე სტრაბონის თქმით, ქართველი ერი დანაწილებული იყო ოთხს წოდებად. პირველს წოდებას ეკუთნოდა სამეფო გვარი, მეორეს სამღვდელოება, მესამეს მეომარნი და მოწისმომქმედნი, მეოთხეს მდაპიონი, მეფის ყმანი და მსახურნი. მამული საერთოდ ითვლებოდა მთელის გვარის საკუთრებად. მთელს გვარში უფროსობდა ერთ-ერთი უხუცესი მისი წევრი.

8. **მეფეები აღერკის შემდეგ მირიან მეფემდე.** —არეულს და გაუგებარს ცნობებს იძლევა ჩვენი მატიანე ადერკის შემდეგს მეფეებზე. „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით წყვილ-წყვილად მეფობდენ ადერკის შემდეგ მისი შვილები **ბარტამ** და **ქართამ**, ამათ შემდეგ **ფარსმან** და **კაოს**, ამათ შემდეგ **აზორკ** და **არმაზელ**, შემდეგ **ამზასპ** და **დეროკ** და ბოლოს **ფარსმან ქველი** და **მირდატ**. „ქართლის მოქცევაში“ ფარსმან ქველთან ერთად მეფედ მოხსენებულია **ფარსმან ავაზი**, ხოლო მირდატი მოხსენებულია მეფედ ფარსმან ქველისა და ფარსმან ავაზის შემდეგ **როკთან** ერთად. ამათ მეფობის დროს ჩვენს ისტორიაში ეწოდება ორმეფობის ხანა. ჩვენის ფიქრით „ორმეფობის ხანა“ ჩვენ-

ში არ ყოფილა; მხოლოდ შეცდომით ჰყავს მატინეს მოხსენებული ერთსა და იმავე დროს ორ-ორი მეფე. უეჭველია, რომ ერთი ამ ორთაგანი მეფე კი არ იყო, არამედ ის მხედართ-მთავარი, რომელსაც იხსენიებს სტრაბონი და რომელიც უნდა ყოფილიყო მეფის უმახლობელესი პირი ნათესავობით და წლოვანობით.

ჩვენის მატიანის **ბარტამი** ანუ **ბარტმანი** და **ქართამი**, ჩვენის აზრით, არიან ტაციტის მიერ მოხსენებული **ფარასმანი** და **რადამისტი**, რომელთაც დაიპყრეს სასომხეთი და ფლობდენ მას 35—55 წლებში. მართალია, ისინი ჩვენის მატიანის თქმით ძმები იყვნენ, ხოლო ტაციტის თქმით მამა-შვილი, მაგრამ ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში მატიანეც სცდება და ტაციტიც: ქართამი არ ყოფილა ბარტმანის ძმა ისევე, როგორც რადამისტი არ ყოფილა ფარასმანის შვილი. ქართამი (რადამისტი) უნდა ყოფილიყო მახლობელი ნათესავი მეფის ბარტმანისა (ფარასმანისა) და მხედართ-მთავარი საქართველოს ჯარისა.

სომხებმა ქართამი (რადამისტი) და ქართველი ჯარი გამოაძევეს სასომხეთითგან 55 წელს და სამაგიეროს გადახდა მოინდომეს. მართლაც, „ქართლის ცხოვრების“ თქმით, ფარსმანისა და კაოსის დროს სომხებმა დაიპირეს საქართველოს სამხრეთი ნაწილი. ფარსმანისა და კაოსის მემკვიდრეებმა აზორკმა და არმაზელმა სომხების წინაამდეგ მიიშველიეს მთიულები. ამ ბრძოლაში სომხებმა გაიმარჯვეს და დაიპირეს კიდევ საქართველოს სხვა ადგილები. მაგრამ ბოლოს ქართველებმა მოიკრიფეს ძალა და მთიულების დახმარებით დაიბრუნეს სომეხთაგან დაპყრობილი ადგილები.

გვარობრივი წესი, რომელიც არსებობდა საქართველოში სამეფო უფლების გადაცემაშიაც კი, უეჭველია, უნდა შერყეულიყო მეზობელის ქვეყნების გავლენით და ამის გამო უნდა აძრულიყო შეტაკება და ბრძოლა ახალისა და ძველის წესის დამცველთა შორის. ამის კვალს ვპოულობთ „ქართლის ცხოვრების“ მიერ მოთხრობილს ამბავში ფარსმან ქველის და მირდატის ერთმანერთთან ბრძოლის შესახებ. მირდატმა მოინდომა მეფე ფარსმანის მოკვლა და იმის ადგილის დაჭერა ალბად იმიტომ, რომ ფარსმან ქველი მხედართ-მთავრად სცნობდა არა მირდატს, ძველის წესით მხედართ-მთავრის უფლების მქონებელს, როგორც უფროსს წარმომადგენელს სამეფო გვარისას მეფის შემდეგ, არამედ იმისთანა კაცს, რომელსაც ამის უფლება არა ჰქონდა, სახელდობრ ფარნავაზს ანუ ფარსმან ავაზს, რომელიც „ქართლის მოქცევაში“ მოხსენებულია პირდაპირ ფარსმან ქველის ამხანაგს მეფედ. ფარსმან ქველის და მირდატის დიდის ხნის ბრძოლა გათავდა ფარსმან ქველის მოკვლით და ფარსმან ავაზის გაძევებით, ხოლო მირდატის გამეფებით. ამ ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა სომხებმა და სპარსელებმა, რომელთაგან პირველთ დაიჭირეს ფარსმან ქველის მხარე, მეორეთ მირდატისა. „ქართლის ცხოვრება“ მირდატის ამხანაგს მეფეს ანუ ნამდვილად მხედართ-მთავარს ადარ იხსენიებს, ხოლო „ქართლის მოქცევა“ კი მოიხსენიებს, სახელდობრ **როკს.**

სომხებმა და რომაელებმა დაიჭირეს ფარსმან ქველის შვილის **ადამის** მხარე, რადგან მირდატს ჰქომაგობდენ სპარსელები. სომეხ რომაელთა ჯარმა შემოიყვანა საქართველოში ადამი და გაამეფა. ამას აქეთ არც

„ქართლის ცხოვრება“ და არც „ქართლის მოქცევა“ ალარ იხსენიებენ წყვილ-წყვილად მეფეებს, უეჭველია, იმიტომ, რომ მოისპო გვაროობრივი წესი მეფობის და მხედართმთავრობის მემკვიდრეობისა. ადამის მცირე ხნის მეფობის შემდეგ გამეფდა მისი შვილი **ფარსმანი.** ეს ის ფარსმანია, რომელმაც, დიონ კასიუსის ცნობით, შეუსია სპარსეთს (პართიას) კავკასიის მთიელები და ააკლებინა ეს ქვეყანა. პართიის მეფემ ვოლოგეზმა შეჩივლა საქართველოს მეფის ასეთის საქციელის გამო რომის იმპერატორს, რომლის ზეხელმწიფების ქვეშ ითვლებოდა ფარსმანი. იმ შიშით რომ რამე უსიამოვნობა არ მოსულიყო რომთან, ფარსმანი გაეშურა თავის ბატონ-ყმურად რომის იმპერატორთან მოსალაპარაკებლად. ადგიანე იმპერატორმა და სენატმა მოისმინეს მისი განმარტება, მოუწონეს საქციელი და დიდი პატივი სცეს: ხელრპლი შეაწირვინეს კაპიტოლიაში და დადგეს მისი ტატუა ბელონის ტაძარში. ეს მოხდა 138 წ.

ფარსმანის შემდეგ გამეფდა მისი ძე **ამზასპი.** ამ მეფის დროს საქართველოს შემოესიენ ოსები და ავადგენენ მცხეთას. ამზასპმა განდევნა ოსები და თითონ შეესია მათ. ამარჯვებული და გალაღებული ამზასპი თავნებად იქცევოდა, რის გამოც ქართველებმა შეიძულეს. ამას ზედ დაერთო ის, რომ მან დაიპირა სპარსების მხარე და უარჰყო რომაელების ზეხელმწიფება. ამის გამო რომაელები და სომხები შემოესიენ საქართველოს და ბრძოლაში მოკლულის ამზასპის მაგიერ მეფედ დასვეს მისი ერთგული სომხის მეფის შვილი **რევი.**

რევის შემდეგ გამეფდა მის შვილი **ვაჩე,** ვაჩეს შემდეგ მის შვილი **ბაკურ,** ბაკურის შემდეგ მის ძე **ბარდატ,** ბარდატის შემდეგ მის ძე **ასფაგურ.**

ასფაგურ მეფემ სომხეთის მეფესთან ერთად მონაწილეობა მიღო ლაშქრობაში სპარსეთის წინააღმდეგ, როდესაც იქ გამეფდა ქასრე სასანიანი. ლაშქრობაში მან მიიშველია ოსები, ლეკები და ხაზარები. შემდეგ თავის მხრით მეფე ქასრე შეესია სასომხეთს და დაიპყრა ეს ქვეყანა. აქედგან გამოილაშქრა საქართველოში. ასფაგური იძულებული იყო გაქცეულიყო ოსეთს, სადაც იგი მოკვდა. „ქართლის ცხოვრების" თქმით, მეფე ასფაგურს დარჩა მხოლოდ ერთი ქალი **აბეშურა.** მაიჟან სპასპეტმა ქართველებს ურჩია დამორჩილებოდენ ქასრეს, მეფედ ეთხოვნათ მის ერთ-ერთი შვილი და მისთვის შეერთოთ აბეშურა. ქართველებმა მიიღეს ეს რჩევა. ქასრეც დათანხმდა და საქართველოს მეფედ გამოაცხადა თავის მხევლისაგან ნაშობი შვილი **მირიანი,** რომელსაც შერთო აბეშურა. ამნაირად, „ქართლის ცხოვრების" თქმით, გამეფდა საქართველოში სასანიანთა გვარი.

„ქართლის ცხოვრების" ეს თქმულება ბევრის მხრით დაუჯერებელია და უნდა შეთხზული იყვეს გვიან. ამას სხვათა შორის მოწმობს ქართულივე უძველესი ქრონიკა „ქართლის მოქცევა", რომელიც ხმას არ იღებს მირიან მეფის ჩამომავლობაზე სასანიანთაგან და ასფაგურის მემკვიდრედ სთვლის მეფე **ლევს,** ხოლო ლევის მემკვიდრედ მის შვილს მირიანს. უფრო დასაჯერებელია, რომ ასფაგურის დამარცხების და სიკვდილის შემდეგ ქასრე მეფის თანხმობით გამეფებულიყვეს საქართველოში ლევი (დაახლოვებით მესამე საუკუნის ნახევარში), ხოლო ლევის შემდეგ მის შვილი მირიანი (დაახლოვებით მესამე საუკუნის გასულს).

ამნაირად ცხადია, რომ პომპეოსის აქეთ საქართვე-

ლო რომაელების ზეხელმწიფების ქვეშ მყოფი მესამე საუკუნის ნახევარში სპარსეთის მეფის ქასრეს დროს დაემორჩილა სპარსთა ზეხელმწიფებას. ამ მორჩილებამ გასტანა 297 წლამდე, როდესაც რომაელთა და სპარსთა შორის შეკრულის ზავის ძალით სპარსეთის მეფემ აღიარა რომის იმპერატორის ზეხელმწიფება საქართველოზე.

9. **ქართველთა სარწმუნოება ქრისტიანობის ფილებამდე.** ქართველების სხვა და სხვა ხალხებთან დაახლოვებას სხვათა შორის ის გავლენა ჰქონდა, რომ საქართველოში არ ყოფილა გაბატონებული ერთ-ერთი რომელიმე სარწმუნოებრივი სისტემა. ყოველნაირი სარწმუნოება, ასე თუ ისე ფერშეცვლილი, გავრცელებული იყო ქართველებში: მნათობთ-თაყვანისცემა, კერპთ-თაყვანისცემა სხვა და სხვა რიგისა, ცეცხლის თაყვანისცემა და თვით უძველესი სარწმუნოება — ფეტიშიზმი. ჩვენს მატიანეში საზოგადოდ ძალიან მცირე ცნობები მოიპოვება სარწმუნოების შესახებ და ნათლად წარმოდგენა მისი ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. მატიანე იხსენიებს არმაზის, ზადენის, გაცის, გაიმის, აინინას, დანანას კერპებს, მაგრამ კი არ განმარტავს თუ რა მნიშვნელობა და ხასიათი ჰქონდათ იმ ღმერთებს, რომელთაც ეს კერპები გამოსახავდენ.

ქრისტიანობის დაარსებისათანავე ეს სარწმუნოება ნელ-ნელ შემოდის საქართველოში. პირველად შემოიტანეს იგი ურიებმა, რომელნიც ცხოვრობდენ საქართველოში და რომელთაც შეუწყვეტელი კავშირი ჰქონდათ პალესტინასთან. ბევრნი მათგანნი იერუსალიმში სალოცავად წასულნი ბრუნდებოდენ საქართველოში ახალის სარწმუნოების აღსარებით. ამას გარდა ანტი-

კუნტად შემოდიოდენ ქრისტიანები საქადაგებლად თუ სალოცავ-მიცემოდ. ხშირად ქართველების გამარჯვებულს ჯარს შემოჰყავდა საქართველოში ქრისტიანი ტყვეები. ამნაირად შემთხვევით თუ საგანგებოდ შემოსული ქრისტიანები ავრცელებდენ ქართველთა შორის ცნობებს ქრისტიანებზე და მათ სწავლა-მოძღვრებაზე, ასე რომ მეოთხე საუკუნის დამდეგს უკვე საკმარისად მომზადებული იყო ნიადაგი, რომ ქრისტიანობა ცნობილიყო თვით მთავრობისაგან სასურველს სარწმუნოებად.

III

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

წმ. ნინო.—წმ. ნინოს სასწაულები.—მირიან მეფის გაქრისტიანება.—ქართველების მონოთვლა.—გაქრისტიანების პოლიტიკური შედეგი.

1. **წმ. ნინო.**—მეფე მირიანის დროს ქრისტიანობის მქადაგებელი და დამამყარებელი იყო წმ. ნინო. ნინოს ჩამომავლობის, აღზრდის და მოღვაწეობის შესახებ ჩვენს მწერლობაში ბევრი რამ არის მოთხრობილი დაწვრილებით, მაგრამ ნამდვილი მისი ვინაობა ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. უძველესი და მასთან უფრო მართალი თქმულება ნინოს შესახებ შემდეგია.

ნინო იყო ქართველებისგან ტყვედ წაყვანილი მონაზონი. იგი დასახლდა მცხეთაში და, როგორც მონაზონი, ცხოვრებას ატარებდა ლოცვასა და ქველს საქმეებში. თავის თავს უწოდებდა **ნონას** (რაიცა რომაულად ნიშნავს მონაზონს). ეს სახელი ქართველებმა გადაკეთეს **ნინოდ.**

წმ. ნინომ თავის ცხოვრებით და ყოფა-ქცევით მიიქცია მცხეთელების ყურადღება. ბევრი ქალი ისე მოიხიბლა იმის ცხოვრებით, რომ დაუახლოვდა და შეითვისა მისგან ქრისტეს მოძღვრება. ესენი იყვნენ მისი პირველი მოწაფეები, რომლებიც დიდის აღტაცებით და ქებით ლაპარაკობდენ როგორც ნინოზედ, ისე მის სარწმუნოებაზედ და მოძღვრებაზედ.

2. **წმ. ნინოს სასწაულები.**—მალე მოხდა ერთი შემთხვევა, რომლის გამო წმ. ნინოს უფრო დიდის პატივისცემით და მოწიწებით დაუწყეს ცქერა. მცხეთაში ერთს დიდებულს გაუხდა ავად ბევშვი. ბევრი უწამლეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ბავშვი ვერ მორჩა. ბოლოს ძიძამ აიყვანა ხელში ავადმყოფი ბავშვი და კარდა-კარ ჩამოატარა. ყველას აჩვენებდა და თხოვდა ესწავლებინათ წამალი, თუ რამე იცოდნენ. ბევრმა გაშინჯა ბავშვი და ურჩია თავისი წამალი, მაგრამ ყველაფერი ნაცადი ჰქონდათ. ბოლოს ძიძას ურჩიეს ბავშვი ეჩვენებინა ტყვე ნინოსთვის იმ იმედით, რომ იქნება მას, როგორც უცხო ქვეყნელს, სცოდნოდა რამე ახალი წამალი. ნინო ცხოვრობდა ქალაქს გარეთ, მაყვლოვანში. ძიძამ მიუყვანა ბავშვი. ნინომ, რომელმაც წამლობისა არა იცოდა-რა, ჩამოართვა ძიძას ბავშვი, მიაწვინა თავის საწოლზე და თქვა ღრმა რწმენით: „ქრისტე, გამკურნებელი ბევრისა, გაჰკურნავს ამ ბავშვსაც“. შემდეგ შეუდგა ლოცვას. ძიძაც და მასთან ერთად სხვა ქალები გაოცებულნი იყვნენ ნინოს სასოებიანის ქცევით და ლოცვით და თითონაც გაიმსჭვალნენ იმედით, რომ ბავშვი მორჩებოდა. როდესაც ძიძამ ბავშვი მიიყვანა სახლში და გადასცა დედას, ამან სულ სხვა ფერზე დაინახა თავისი შვილი: ბავშვს უკეთობა დასტყობოდა

რავდენისამე დღის შემდეგ ბავშვი ფეხზე წამოდგა სრულიად განკურნებული.

ამ ამბის შემდეგ წმ. ნინოს დაუვარდა სასწაულმომქმედის სახელი. მის ყოფა-ცხოვრების, საქციელის და ქადაგების შესახებ დაიწყეს ლაპარაკი მთელს მცხეთაში, ასე რომ თვით დედოფალმა ნანამაც კი შეიტყო მისი ამბავი.

ქალებთან ერთად ნინოს ქადაგებამ და ყოფა-ქცევამ მიიქცია კაცების ყურადღებაც და ბევრნი ქალებივით შეიქნენ მის მოწაფეებად. ბოლოს ნინოს ამბავმა მიაწია თვით მირიან მეფემდე.

გახდა ავად ნანა დედოფალი. იმის მორჩენაც ძალიან გაძნელდა. დედოფალს ურჩიეს მიეწვია ნინო და ეთხოვნა მისთვის განკურნება. დედოფალმა გაგზავნა კაცი ნინოს მოსაყვანად. ნინომ გამოგზავნილს კაცს უთხრა, მე წამლობისა არა ვიცი-რაო. როდესაც გაახსენეს ნინოს ბავშვის მორჩენა, მან მიუგო: „ბავშვი მე კი არ მოვარჩინე, არამედ ჩემმა ღმერთმა, რომელიც ჯვარს ეცვა ჩვენთვის, კაცთათვის!“. ამ სიტყვების გაგონებაზე გაგზავნილმა კაცმა შეხედა იქვე დასვენებულს ვაზის ჯვარსა და იფიქრა, ამის ღმერთი სწორედ ამ ჯვარზედ იქნებოდა გაცმულიო. როდესაც ნანა დედოფალმა მოისმინა ნინოს პასუხი და გაგზავნილის კაცის ნათქვამი ნინოს ქოხში დასვენებულს ვაზის ჯვარზე, ბრძანა თვით წაეყვანათ ნინოს ჯვართან, რომ, ეგება, ისიც ისე მორჩენილიყო, როგორც ბავშვი. ნინომ ნანა დედოფალიც, როგორც წინად ავადყოფი ბავშვი, მიაწვინა საწოლზედ ჯვრის ფერხთით და ილოცა. მოხდა სასწაული. ნანა დედოფალმა კარგად იგრძნო თავი და შესწირა მადლი ნინოს. ნინომ უპასუხა: „უმადლიდეთ

ქრისტესა, ძესა ღვთისასა, და მოსავდეთ მას ვითარცა ღმერთსა“! მირიან მეფემ ჯილდოდ გაუგზავნა ნინოს ძვირფასი საჩუქრები. ნინომ საჩუქრები დაუბრუნა მეფეს და შეუთვალა: „მე არ მჭირია სიმდიდრე და ვიქნები დიდი კმაყოფილი, თუ მეფე იწამებს დედოფლის გამკურნებელს ღმერთსაო“.

დედოფლის ასეთის სასწაულებრივის განკურნების შემდეგ უფრო მეტად გაითქვა ნინოს სახელი და გავრცელდა ქრისტეს მოძღვრება, რომელსაც ის ქადაგებდა არა მარტო მცხეთაში, არამედ მის გარეთაც. ეს ქადაგება ქართველებს გულში სწვდებოდა და უღვიძებდა აზრს მათ ძველის რწმუნების სიყალბის შესახებ. წარმართობის მოთაყვანე ქართველები ყურადღებას არ აქცევდენ იმ გარემოებას, რომ ნინოს მოძღვრება ძირიანად სთხრიდა მათ ღმერთებს, რადგან ჩვენი წარმართობის დროინდელი წინაპრები არ იყვნენ ფანატიკოსები. კერძოდ მეფე მირიანი არ იყო წინაამდეგი ქრისტიანობისა, რადგან მას შეტყობილი ჰქონდა, რომ ეს ახალი სარწმუნოება ვრცელდებოდა მთელს რომის იმპერიაში და თვით იმპერატორი კონსტანტინეც საჯაროდ მოიქცა ამ რჯულზედ.

რადგან ამნაირად არც მთავრობა და არც თვით ხალხი არ სდევნიდა ქრისტეს მოძღვრების ქადაგებას, ამ მოძღვრებამ გაიდგა ფეხი მთელს ქართველობაში, თუმცა ძველებური წარმართობა და წესები ჩვეულებისამებრ კიდევ სრულდებოდა ყველასგან. აი ამ დროს, როდესაც ძველი რწმენა ირყეოდა და ახალი ვრცელდებოდა, მოხდა კიდევ ერთი შემთხვევა, რომელმაც ქრისტიანობას მოუპოვა მძლავრი მომხრე და ძალით მის გამავრცელებელი.

ერთხელ მირიან მეფე თავის მხლებლებით წავიდა სანადიროდ. ნადირობის დროს ერთს ხეობაში ცა უცებ მოიღრუბლა და ისე ჩამობნელდა, რომ თვალწინ ვეღარაფერს ხედავდენ მონადირეები. მეფის მხლებლები აირ-დაირიენ და დაშორდნენ მეფეს. შეშინებულმა მეფემ მიმართა ლოცვით თავის ღმერთებს, მაგრამ სიბნელე არ გაიფანტა. მეფე უფრო და უფრო აიტანა შიშმა. ამ დროს გაახსენდა მას ღმერთი, რომელსაც ქადაგებდა ნინო და რომელიც იწამა რომის იმპერატორმა კონსტანტინემ და მისმა ერმა. გაჭირებულს მდგომარეობაში მყოფი მეფე შეევედრა ნინოს ღმერთს და თხოვა გამოეყვანა გაჭირვებისაგან. არ გასულა ამის შემდეგ რავდენიმე წუთი, რომ ცოტათი შესუსტდა სიბნელე, ნელ-ნელა დაიწყო გაფანტვა და ბოლოს სრულებითაც განათდა. მირიან მეფე დარწმუნდა, რომ ეს სასწაული მოხდა ნინოს ღმერთისაგან და თავისი აზრი გამოუცხადა თავის მხლებლებს.

3. **მირიან მეფის გაქრისტიანება.**—დაბრუნდა თუ არა მირიან მეფე მცხეთაში, დაიბარა სასახლეში ნინო, უამბო რაც გადახდა და თხოვა შეეტყობინებინა ყველაფერი თავის ღმერთის შესახებ. ნინომაც აუხსნა ყველაფერი და სრულებით მოაქცია მეფე. მირიანმა მიიწვია მთელის სამეფოს დიდებულები და გამოუცხადა, რომ ჭეშმარიტი ღმერთი ყოფილა ქრისტიანების ღმერთიო და გაახსენა იმპერატორის კონსტანტინესაგან ქრისტიანობის მიღება და მთელის რომის მოქცევა. ბევრი ჩიჩინი და ქადაგება არ იყო საჭირო დიდებულებისათვის. მეფის ბრძანებით შემუსრეს მცხეთაში კერპები და გასცეს ბრძანება სხვა ადგილებშიაც აგრე მოქცეულიყვნენ. საკერპოს ნაცვლად მირიანმა გადაწყვიტა საქრისტიანო ტაძრის აგება. ხუროთმოძღვრებს ტა-

ძრის შენების დროს ხელმძღვანელობას უწევდა წმ. ნინო, რომლის რჩევითა და აზრით მათ ამართეს ერთი საკვირველად დიდი სვეტი (331 წ.) ხალხმა ამ სვეტის ამართვა მიაწერა სასწაულს.

მირიანმა იცოდა, რომ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში იქნებოდა სასიამოვნო რომისთვის. ამ სასიამოვნო ამბის შესატყობინებლად და სამღვდელო პირთა მოსაწვევად მეფემ გაგზავნა მოციქულები კონსტანტინე იმპერატორთან. დიდად გახარებულმა იმპერატორმა მიულოცა ქრისტიანობაზე მოქცევა და გამოუგზავნა ეპისკოპოზი, მღვდლები და დიაკვნები.

4. **ქართველების მონათვლა.**—ბიზანტიითგან მოსულმა სამღვდელო პირებმა მონათლეს მცხეთაში მეფე-დედოფალი, დიდებულები და ხალხი. შემდეგ ნელ-ნელა დაიარეს სხვა ქალაქები და სოფლები და შეუდგენ ხალხის მონათვლას. იქ, სადაც ქრისტიანობის ქადაგება არ იყო ახალი ხილი და ხალხიც ცოტაოდნად განვითარებული იყო, ახალი რჯული ადვილად მიიღეს, მაგრამ იყო საქართველოში იმისთანა ადგილებიც, სადაც არც ხალხი იყო საკმაოდ განვითარებული და არც ქრისტიანული მოძღვრება იყო ცნობილი. ამისთანა ადგილებში მთავრობამ მიმართა ძალას ხალხის მოსანათლად. ხალხი ზოგან დამორჩილდა ძალას და მოინათლა, ზოგან კი არ დაემორჩილა, წინაამდეგობა გაუწია და უარ-ჰყო გაქრისტიანება. ამნაირად ბევრგან საქართველოში წარმართობა ხელ-უხლებლად დარჩა მირიან მეფის დროს და ქრისტიანობა დამყარდა მხოლოდ შემდეგს ხანებში.

საქართველოს ეკლესიამ წმ. ნინო აღიარა მოციქულთა სწორად და ადიდებს მას როგორც საქართვე-

ლოს განმანათლებელს 14 იანვარს. მირიან მეფე და ნანა დედოფალი ჩარიცხულნი არიან წმინდათა შორის და ეკკლესია იხსენიებს მათ 23 მაისს.

5. **გაქრისტიანების პოლიტიკური შედეგი.**— ქრისტიანობის მიღებით საქართველო ძალიან დაუახლოვდა ბიზანტიას (რომის იმპერიას) და მოშორდა სპარსეთს. სპარსეთს ძალიან საწყენად დარჩა საქართველოს სარწმუნოებრივი დაშორება და მხნედ შეუდგა მის პოლიტიკურად დაპყრობას და ცეცხლის თაყვანისცემის მფარველობას ქრისტიანობის წინააღმდეგ. მირიანის მომყოლის ორის მეფის **ბაქარის** და **მირდატის** დროს ქრისტიანობის გავრცელებას და ბიზანტიის გავლენის დამყარებას საქართველოში სპარსეთმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა. მირიანის შემდეგ მესამე მეფის ვარაზ-ბაკურის დროს კი სპარსეთის ასეთს მეცადინეობას მოჰყვა ბრძოლა სპარსთა და ბიზანტიელთა შორის. ამ ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ სპარსეთმა გამოჰგლიჯა საქართველოს რანი და მოვაკანი, ბიზანტიამ კლარჯეთი, ხოლო **ვარაზ-ბაკური**, რომელსაც წინადვე ჰყავდა ბიზანტიაში გაგზავნილი მძევლად საკუთარი შვილი მურვანოზი (ცნობილი წმინდა პეტრე ქართველად), სპარსეთის მოხარკედ შეიქმნა და იძულებული იყო ქრისტიანობას გულგრილად მოჰკიდებოდა და თავისუფლება მიეცა ცეცხლის თაყვანისცემის გავრცელებისათვის.

ვარაზ-ბაკურის შემდეგ ცოტად შესუსტდა სპარსეთის ძალა და მეფე **თრდატიც** თუმცა სპარსეთის მოხარკე, მოღვაწეობდა ქრისტიანობის გასამტკიცებლად. მის უკან მეფე **ფარსმანმა** დაიპირა ცხადად ბიზანტიის მხარე, სპარსეთს უარი უყო ხარკის ძღევაზე და მხნედ შეუდგა ქრისტიანობის დამყარებას. ფარსმანის შემდეგ

მირდატ მეფემ მოინდომა საქართველოს გათავისუფლება როგორც სპარსეთის, ისე ბიზანტიის გავლენისაგან. ამიტომ ბიზანტიას წაედავა კლარჯეთს და სპარსეთს უარი უყო ხარკის მიცემაზე. ამის გამო სპარსელები შემოესიენ საქართველოს და მირდატი დაატყვევეს, ხოლო საქართველო დაიპყრეს, შემუსრეს ეკლესიები და დაიწყეს ცეცხლის თაყვანისცემის გავრცელება. მართალია, რავდენისამე წლის შემდეგ ქართველებმა გაამეფეს მირდატის შვილი **არჩილი** და მხნედ იწყეს ბრძოლა სპარსელებთან, მაგრამ ვერას გახდნენ. როგორც არჩილის ისე მის შვილის **მირდატ** მეფის დროს საქართველო იხდიდა სპარსეთისთვის ხარკს და ცეცხლის თაყვანისცემა თავისუფლად ვრცელდებოდა. ამ სარწმუნოების დასამყარებლად და მფარველად სპარსეთის მთავრობისაგან დანიშნული იყო მცხეთაში უმაღლესი სასულიერო პირი **მობდა**, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა და ძალა ჰქონდა, როგორც ეპისკოპოზს. ასეთს მდგომარეობაში იყო საქართველო, როდესაც საქართველოს მეფის ტახტზე ავიდა მირდატ მეფის შვილი ვახტანგი (446 წ.).

IV

მეფე ვახტანგ გორგასალი და მის შემდეგი დრო.

ვახტანგის მეფობის პირველი წლები.—ლაშქრობა ხაზარებზე.—ლაშქრობა ბიზანტიის წინააღმდეგ.—სპარსეთის მფლობელობის უარყოფა და მის შედეგი.—ვახტანგის მოღვაწეობა.—კობადის გამოლაშქრება და ვახტანგის სიკვდილი.—ვახტანგის შემდეგი მეფეები.—იმერ-საქართველოს გადგომა და ლაზიკის დაარსება.—სპარსელების პოლიტიკა და მისი შედეგი.

1. **ვახტანგის მეფობის პირველი წლები.**—ვახტანგ გორგასალი მამის სიკვდილის შემდეგ დარჩა

შვიდის წლისა და მის დავაჟკაცებამდე მეფობას განაგებდა დედა მისი საგდუხტი. ვახტანგის მცირე წლოვანობის განმავლობაში სპარსეთის გავლენამ უფრო მეტად მოიკიდა ფეხი საქართველოში. სპარსელი მოგვები თავისუფლად ქადაგებდენ ზარატუშტრას სარწმუნოებას და დაუბრკოლებლად ავრცელებდენ ცეცხლის თაყვანისცემას ქართველობაში, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა სისხლსა და ხორცში გამჯდარი ქრისტიანობა.

საქართველოს დასუსტებით ისარგებლეს მეზობლებმა და სათარეშოდ გაიხადეს ჩვენი ქვეყანა. ათის წლისა იქნებოდა ვახტანგი, როდესაც შემოესიენ საქართველოს ხაზარები, მოედვნენ მთელს მტკვრის ხეობას, აიკლეს და ააოხრეს რაც შეხვდათ და ჩავიდნენ თვით რანსა და მოვაკანამდე. სხვათა შორის მოიტაცეს ვახტანგის სამის წლის და, მირანდუხტი, და ტყვედ წაიყვანეს.

არც ბერძნები დარჩნენ ხელ-მოუთბობელნი. იმათაც დაიჭირეს ახალი ადგილები შავის ზღვის პირად.

2. **ლაშქრობა ხაზარებზე.** ამისთანა გაჭირების დროს ვახტანგი იზრდებოდა და მწიფდებოდა ჯერ საურმაგ სპასპეტის და შემდეგ ჯუანშერ სპასპეტის ხელმძღვანელობის ქვეშ. თხუთმეტის წლისა რომ შეიქნა, ჭკვიანმა და ძალღონით სავსე ვახტანგმა იდღესასწაულა ტახტზე ასვლა და შეუდგა ქვეყნის მართვას. პირველი მისი სურვილი იყო ხაზარების ჯავრის ამოყრა და თავის დის და მრავალის ქართველის მათ ტყვეობითგან დახსნა. თავისი სურვილი გამოუცხადა დიდებულებს და ჯარს. ყველამ მოიწონა ვახტანგის განძრახვა და დაადგინეს გაელაშქრათ ხაზარების წინაამდეგ. ასეთი ლაშქრობა მოიწონა აგრეთვე ადერბეჯანის მმართე-

ბელმა და გამოუგზავნა ვახტანგს სპარსის ჯარი მაშველად. 455 წ. ვახტანგმა თავის ჯარით გაიარა დარიალის ხეობა, შევიდა ხაზარეთში და მიაწია პაპანიგეთამდე. გზაში ვერაფერი გაუმაგრდა-რა, დაამარცხა ხაზარები, გაათავისუფლა როგორც თავისი და, ისე სხვა ქართველი ტყვეები და დაბრუნდა ძლევამოსილი დიდის ალაფით.

ამისთანა გამარჯვებამ დიდი სახელი მოუხვეჭა ვახტანგს და სპარსეთის მეფის ჰორმუზდის თვალში მისი მნიშვნელობა აამაღლა. მეფე ჰორმუზდმა მიათხოვა ვახტანგს ცოლად თავისი ასული ბალენდუხტი.

3. **ლაშქრობა ბიზანტიის წინააღმდეგ.** 461 წ. სპარსეთის მეფის ფიროზის წინადადებით ვახტანგ მეფემ მიიღო მონაწილეობა სპარსთა ლაშქრობაში ბიზანტიელთა ანუ ბერძენთა წინააღმდეგ. ვახტანგი მით უფრო დიდის სიამოვნებით დათანხმდა ამ ლაშქრობაზე, რომ ბერძნებს ეჭირათ საქართველოს ადგილები, რომელთა დაბრუნება ვახტანგს გულითა სწადდა. ისე მოხერხებულად წაიყვანა ვახტანგმა ამ ლაქრობაში საქმე, რომ სპარსეთის ჯარიც დაასუსტა მით, რომ დაამარცხებინა იგი ბერძნებს და თითონაც აგრძნობინა ბერძნებს თავისი ძალა მით, რომ შერჩეულს დროს მარტოდ-მარტო ქართველის ჯარით შეებრძოლა მათ და საშინლად დაამარცხა. შემდეგ სპარსთაგან დამოუკიდებლად გამართა მორიგება ბერძენთა იმპერატორთან და დაათმობინა საქართველოს ის ნაწილები, რომლებიც მას ეჭირა.

4. **სპარსეთის მფლობელობის უარ-ყოფა და მის შედეგი.**—რაკი ასე გაძლიერდა და დაუახლოვდა ბიზანტიასაც, ვახტანგმა ახლა კი ცხადად მოურიდებლად დაიწყო სპარსთა წინააღმდეგ მოქმედება. შეუდგა

ციხეების მაგრებას, აკრძალა ზარატუშტრას სარწმუ-ნოების ქადაგება და განდევნა მოგვები საქართველოთ-გან, ხოლო ბინქარი, მოგვების უფროსი, რომელმაც გაუწია მას წინააღმდეგობა, ჯერ საპყრობილეში დაამ-წყვდია, შემდეგ გააძევა.

ვახტანგმა იცოდა, რომ ეს ამბავი მუქთად არ ჩაუ-ვლიდა და ადრე თუ გვიან სპარსეთის მეფე თავის გავ-ლენის ასადგენად გამოგზავნიდა ჯარს. მართლაც 464 წ. სპარსეთის ჯარი გამოემართა საქართველოსკენ. ვახ-ტანგმა შეუთვალა ბიზანტიის იმპერატორს, რომ დახ-მარება გაეწია. იმპერატორი ამ დროს თითონ ლაშქრო-ბდა ჩრდილოელის სამძღვარზე და ამიტომ შველა არ შეეძლო. ვახტანგი მარტოდ მარტო დახვდა სპარსე-ლებს. ბრძოლამ სპარსელთა და ქართველთ შორის გას-ტანა ოთხს თვეს. ამ ხანში საბერძნეთის იმპერატორმა გაათავა ლაშქრობა და გამოგზავნა ვახტანგის მისაშვე-ლებლად ბერძნის ჯარი. ეს ამბავი რომ შეიტყეს სპარ-სელებმა, მორიგებაზე ლაპარაკი ჩამოაგდეს. სპარსელებ-მა ზავი შეჰკრეს ვახტანგთან და ხელი აიღეს საქართ-ველოს შინაურს საქმეებში ჩარევაზე.

თავის მეგობრობის დასამტკიცებლად სპარსეთის მეფემ ფიროზმა ითხოვა ცოლად ვახტანგის და მირან-დუხტი და თან სთხოვა თავის ცოლის ძმას, რომ მოხ-მარებოდა მას თავის მტრებთან ლაშქრობაში ინდოეთის სამძღვრებზე. ვახტანგმა შეასრულა ფიროზის სთხო-ვარი და გაჰყვა მას სალაშქროდ. ამ ლაშქრობაში ვახ-ტანგმა და მის ჯარმა ისახელეს თავი სიმამაცით და მოხერხებულობით.

5. **ვახტანგის მოღვაწეობა.** —სპარსეთითგან და-ბრუნებული ვახტანგი შეუდგა თავის სამეფოს მოწყო-

ბას. ააშენა ქალაქი ტფილისი, სვეტიცხოვლის ტაძარი მცხეთაში, ეკლესია ნიქოზში და დაადგინა საქართველოში კათოლიკოზი და თორმეტი ეპისკოპოზი. მანამდე საქართველოს ეკლესიას განაგებდა ანტიოქიით წარმოგზავნილი ერთი ეპისკოპოზი, ახლა კი დაწესდა, რომ მხოლოდ კათოლიკოზი ყოფილიყო გამოგზავნილი ანტიოქიით, ხოლო ეპისკოპოზებს თითონ კათოლიკოზი გააწესებდა საქართველოშივე.

პირველის ცოლის სიკვდილის შემდეგ ვახტანგმა ცოლად ითხოვა საბერძნეთის იმპერატორის ასული ელენე და მზითვად მიიღო აფხაზეთი. ამნაირად ვახტანგმა თავი მოუყარა ერთად საქართველოს ყველა ნაწილებს და შექმნა ერთი მძლავრი სახელმწიფო.

6. **კობადის გამოლაშქრება და ვახტანგის სიკვდილი.**—499 წლამდე საქართველო სტკბებოდა მშვიდობიანობით და არავითარი გარეშე მტერი არ აწუხებდა მას. მხოლოდ ამ წელს მოუხდა მას ბრძოლა სპარსელებთან. სპარსეთის მეფე კობადმა მოინდომა ბიზანტიაზე გალაშქრება და შემოუთვალა ვახტანგს, რომ დახმარებოდა მას ჯარით. ვახტანგმა უარი შეუთვალა. კობადმა ასეთი უარი მოისაბაბა და წამოვიდა საქართველოში ჯარით ვახტანგის დასამორჩილებლად. ვახტანგის განკარგულებით ხალხი გაიხიზნა მაგარს ადგილებში და დაემზადა მტრის დასახვედრად.

ვახტანგ მეფე ჯარის ერთის ნაწილით გამაგრდა კახეთში, უჯარმის ციხეში. მეორე ნაწილი ჯარისა გამაგრდა მცხეთაში. სპარსელები პირველად კახეთში შევიდნენ. აქ მოხდა დიდი ბრძოლა. ქართველებმა დაამარცხეს სპარსელები და უკან დაახევინეს. მაგრამ ბრძოლაში ვახტანგ მეფე დაიჭრა. ამ ამბავმა გაამხნევა სპარს-

ელები, რომელნიც გაეშურნენ მცხეთისკენ და აიკლეს ტფილისი და არმაზი. მცხეთა კი მაგრად იყო და ვერ აიღეს. აქ კობადს მოუვიდა ამბავი, რომ ბიზანტიის ჯარი წამოსულიყო სპარსეთის წინააღმდეგ. ფიცხლავ დაანება თავი მცხეთას და გაეშურა ბერძნების წინააღმდეგ.

დაჭრილი ვახტანგი მალე გარდაიცვალა და საქართველოს მეფედ შეიქმნა მისი უფროს ვაჟიშვილი **დაჩი**, პირველის ცოლისაგან ნაყოლი. სიკვდილის წინ ვახტანგმა სთხოვა დაჩის, რომ მის მეორე ცოლისგან ნაყოლის შვილებისთვის—ლეონისა და მირდატისთვის—მიეცა საერისთავოდ შავის ზღვის პირად მდებარე მხარეები.

ბერძნებზე გამარჯვებული კობადი დაბრუნდა ისევ საქართველოში და დაიჭირა დარიალის ხეობა, აქ ციხეში ჩააყენა თავისი ჯარი და ამნაირად უზრუნველ ჰყო თავისი საბრძანებელი კავკასიის მხრით. საქართველოს მეფე დაჩი იძულებული შეიქნა მორჩილება გამოეცხადებინა კობადისთვის და ეკისრნა ხარკის ძღევა.

7. **ვახტანგის შემდეგი მეფეები.**—დაჩის შემდეგ მეფობდა შვილი მისი **ბაკურ**, რომელიც მამის მსგავსად იძულებული იყო ეცნო სპარსეთის ზეხელმწიფება და ეძლია ხარკი. მისმა შვილმა **ფარსმან მეხუთემ** სცადა სპარსეთის უღელი მოესპო, მაგრამ სპარსელები შემოესიენ საქართველოს თავიანთ უფლების ასადგენად და იძულებულ ჰყვეს ფარსმანი გამოეცხადებინა მორჩილება. სპარსთა მფლობელობამ უფრო მოიკიდა ფეხი შემდეგის ორის მეფის დროს—ფარსმან მეხუთის ძმისწულის **ფარსმან მეექვსისა** და ამის ძის **ბაკურისა**. ეს მფლობელობა ისე გაძლიერდა, რომ ბაკურის სიკვდილის შემდეგ მის მცირეწლოვანის შვილის გამეფება ვერ

შესძლეს ქართველებმა და პირდაპირ დაემორჩილენ სპარსეთს (570 წ.).

8. იმიერ-საქართველოს გაბოლვა და ლაზიკის დაარსება.—ვახტანგის შემდეგ დამყარებულს სპარსთა მფლობელობას ის შედეგი მოჰყვა კიდევ, რომ შავის ზღვის პირად მდებარე ქვეყნები ბერძნების დახმარებით ცალკე გადგნენ და დაარსეს ცალკე სამეფო, **ლაზიკად** წოდებული. მაგრამ არც ეს ნაწილი საქართველოსი იყო დამოუკიდებელი, რადგან ბერძნები მუდამ ცდილობდენ იქ დაემყარებინათ თავიანთ გავლენა. სპარსეთი არ ყაბულობდა ბერძნების მფლობელობას ამ ქვეყანაში და ამიტომ გამუდმებული ბრძოლა იყო ამ ქვეყნის გამო სპარსთა და ბერძენთა შორის, ვიდრე საბოლოოდ არ გადაწყდა მათი დავა მით, რომ სპარსეთმა დაუთმო ლაზიკა ბიზანტიას (562 წ.).

9. სპარსელების პოლიტიკა და მისი შედეგი.—სპარსეთის მთავრობა მთელს თავის ძალ-ღონეს ვახტანგის შემდეგაც იმას ანდომებდა, რომ ქართველობა ცეცხლის თაყვანისცემისთვის დაებრუნებინა. აუარებელი რიცხვი მოგვებისა, რომელთაც მფარველობდა მთავრობა, შემოდიოდა საქართველოში და ქადაგებდა ზარატუშტრას მოძღვრებას. არავითარმა ქადაგებამ და დევნამ ვერ ააღებინა ქართველებს ხელი ქრისტიანობაზე. მართალია, ბიზანტია ახლა ძალით ვერ ეწინააღმდეგებოდა სპარსეთის საქართველოში მფლობელობას, მაგრამ სამაგიეროდ დიდს ზნეობრივს შემწეობას აძლევდა ქართველებს მის პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლელად. თუ სპარსეთი გზავნიდა მოგვებს, ვიზანტია აძლევდა საქართველოს ქრისტიანობის მქადაგებლებს. ასეთ მქადაგებელთა შორის ცნობილნი არიან ჩვენს ისტორიაში

ათცამეტი სირიელნი მამანი, რომელნიც შემოვიდენ საქართველოში ფარსმან მეექვსის დროს. ჯერ არ არის გამორკვეული, ვინ იყვნენ ის ათცამეტნი მამანი, რომელნიც იწოდებიან სირიელებად *). შესაძლებელია ისინი ნამდვილი ქართველებიც ყოფილიყვნენ, სირიაში აღზრდილნი. ეს კი ცხადია, რომ მათმა ქადაგებამ და ბრძოლამ ცეცხლის თაყვანისმცემელთა წინააღმდეგ გაამაგრა ქართველობაში ქრისტიანობა და მიასუსტა ცეცხლის თაყვანისცემის გავლენა ხალხზე.

V

არაბთა მფლობელობის დრო.

გურამ ბაგრატიონის გამეფება.—გურამის გამეფებითგან არაბების შემოსევამდე.—არაბების მფლობელობის დამყარება.—პოლიტიკური სისუსტე.—სარწმუნოებრივ-კულტურული განვითარება—ეროვნულის გრძნობის გაღვიძება.

1. **გურამ ბაგრატიონის გამეფება.**—ბაკურ III-ის სიკვდილის შემდეგ (570 წ.) სპარსელებმა ნება არ მისცეს ქართველებს მეფე დაესვათ და გამოგზავნეს ტფილისში თავიანთ კაცი მთავარმართებლად (მარზბანად). თავიანთ მფლობელობის დასამყარებლად სპარსელებმა ქართველს დიდებულებს დიდი უპირატესობანი მიანიჭეს და ერისთავებს საშვილიშვილოდ დაუმტკიცეს

*) აი სახელები ამ ათცამეტის მამისა: იოანე ზედაძელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტყოფელი, ისე წილკნელი, თათე სტეფანწმინდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბელი და პიროს ბრეთელი.

მათი საგამგებლო ადგილები. პირველად ეს ამბავი ესიამოვნათ დიდებულებს, მაგრამ შემდეგ დაინახეს, რომ სპარსთაგან მათი პირდაპირი დამოკიდებულება არ იყო მათთვის სასარგებლო, ხოლო ხალხისთვის ხომ მეტად დამღუპველი იყო, რადგან სპარსები უზომო ხარჯს ახდევინებდენ, სდევნიდენ ქრისტიანობას და მით სულს უხუთავდენ. დიდებულებმა ისარგებლეს სპარსთა და ბიზანტიელთა შორის ატეხილის ომით და მიმართეს გამარჯვებულს ბიზანტიის იმპერატორს, რომ საქართველო მიეღო თავის მფარველობაში და მეფედ ეცნა კლარჯეთის ერისთავი **გურამ კუროპალატი.** იმპერატორმა სიამოვნებით მიიღო ქართველის დიდებულების თხოვნა და საქართველოს მეფედ შეიქნა გურამ ბაგრატიონი. (575 წ.).

2. **გურამის გამეფებითვან არაბების შემოსევამდე.**—გურამისა, მის შვილის **სტეფანოზის** და შვილისშვილის **ადარნასეს** დროს გამუდმებული ბრძოლა იყო სპარსთა და ბიზანტიელთა შორის და, იმის მიხედვით თუ რომელი მხარე გაიმარჯვებდა, საქართველოც ხან ერთის, ხან მეორე სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოექცევოდა ხოლმე. როდესაც სპარსეთი იმარჯვებდა, ის მაშინვე მოინდომებდა ხოლმე თავის უფლების აღდგენას საქართველოში და ნიშვნადა ჩვენის ქვეყნის მმართველად მარზბანს. ამის გამო საქართველოს მეფეებმა დაჰკარგეს თავიანთ ძალა და ერისთავის ანუ მთავრის ხარისხზე ჩამოიქვეითეს, რის გამოც გურამის მემკვიდრეები კარგა ხანს იწოდებიან მთავრებად და არა მეფეებად.

3. **არაბების მფლობელობის დამყარება.**—ადარნასე მთავრის შვილის **სტეფანოზ** მთავრის დროს საქართველოს გაუჩნდა ახალი მეზობელი და მასთან

მრისხანე მტერი—არაბები. არაბეთის ნახევარ-კუნძულ-ზე მცხოვრებნი, მაჰმად მოციქულის მიერ დაარსებულის ახალის სარწმუნოებით აღფრთოვანებულნი, ისე გაძლიერდენ პოლიტიკურად, რომ სულ მცირე ხნის გამავლობაში 632 წლითგან 641 წლამდე დაიპყრეს ეგვიპტე, პალესტინა, სირია, სასომხეთი და სპარსეთი. სპარსეთსა და სასომხეთთან ერთად საქართველოშიაც შემოვიდნენ არაბები და დაიპირეს ტფილისი, სადაც დაადგინეს ამირა (მთავარი), რომელსაც უნდა დაეცვა არაბთა მფლობელობა საქართველოზე. ეს მფლობელობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ქართველებს უნდა ეძლიათ არაბებისთვის შეწერილი ხარჯი და მათ წინაამდეგ არაფერი ჩაედინათ-რა.

არაბთა მფლობელობას საქართველოსთვის სამნაირი შედეგი ჰქონდა: პოლიტიკური სისუსტე, სარწმუნოებრივ-კულტურული განვითარება და ეროვნულის გრძნობის გაღვიძება.

4. პოლიტიკური სისუსტე.—მეფის უფლების შესუსტებისა გამო საქართველოს ნაწილები ერთი-ერთმანეთს დაშორდენ და ცალკე პოლიტიკური ცხოვრება იწყეს. ერთის მხრით აფხაზეთის ერისთავი გაძლიერდა იმოდენად, რომ გავლენა მოიპოვა მთელს იმიერ-საქართველოში, იწოდა მეფედ და თავისი სამეფო ტახტი გადმოიტანა ქუთაისში. ამ ხნითგან მთელი იმიერ-საქართველო წოდებულ იქმნა აფხაზეთად. მეორე მხრით კახეთმა გასწყვიტა კავშირი ქართლთან და დაემორჩილა თავის საკუთარს მთავრებს. ტფილისი, სადაც ცხოვრობდა არაბთა ემირი, არაბების პირდაპირს დამოკიდებულებაში იყო და მის მიდამო ადგილებით სრულიად გაცალკეებული იყო დანარჩენის საქართველოთგან. მხოლოდ ქარ-

თლი და სამხრეთი საქართველო შერჩა ბაგრატიონებს. მაგრამ არც თვით ბაგრატიონთა სამფლობელოში იყო ერთიანობა. ბაგრატიონთა გვარის წევრებს განაწილებული ჰქონდათ მთელი ტერიტორია ერთმანეთში და თუმცა გვარში ერთის უფროსობას სცნობდენ, მაინც საკმაოდ დამოუკიდებლები იყვნენ ერთი-ერთმანეთისაგან.

ბაგრატიონებს მუდამ კავშირი ჰქონდათ ბიზანტიასთან, რასაც ხელს უწყობდა არაბების მეზობლობა და მათთან ბრძოლა. ბიზანტია დიდს ყურადღებას აქცევდა საქართველოს და მის მმართველებს და ცდილობდა ისინი მჭიდროდ დაეკავშირებინა თავისთან, თუ პოლიტიკურად არა, ზნეობრივ მაინც. ამ პოლიტიკის ბრალია ის მოვლენა, რომ ბაგრატიონთა გვარის წევრნი მთელს ამ ხანში ატარებდენ სხვა-და-სხვა ბიზანტიურს დიდის ხარისხის ტიტულებს და იწოდებოდენ: **კუროპალატებად, მაგისტროსებად, პატრიკებად და ანთიპატოსებად.** ბიზანტიის იმპერატორები ურიგებდენ ამ ტიტულებს ბაგრატიონის გვარის წევრებს იმის მიხედვით, თუ რაოდენად თვითეული მათგანი ემსახურებოდა ბიზანტიის ინტერესებს. ამით აიხსნება, რომ ხშირად უდიდესი ბიზანტიური ხარისხი თვით მეფეს კი არა ჰქონია, არამედ სხვა წევრს; ან ერთსა და იმავე დროს ერთნაირის ტიტულის მქონე რავდენიმე ბაგრატიონი ყოფილა. თვით მეფის ტიტულიც ხშირად მიეთვისებოდა ხოლმე რომელსამე ბაგრატიონს მის პირადის უნარის და ღირსების ძალით და არა ჩამომავლობითის უფლებით. ბერძნულის ტიტულების გარდა ბაგრატიონებში გავრცელებული იყო აგრეთვე ქართული ტიტულები **ერისთავისა, ერისთავთ-ერისთავისა** და **მამფლისა.**

საქართველოს ასეთი განაწილება მავნებელი იყო ქართველის ერისათვის, რასაც, რა თქმა უნდა, გრძნობდენ ყველგან, როგორც კახეთში, ისე სამცხეში და აფხაზეთში. სურვილი საქართველოს გაერთიანებისა და მტრის ულლის მოშორებისა ყველგან იყო, მაგრამ იგი გამოიხატებოდა არა მშვიდობიანს დაკავშირებაში საქართველოს ყველა ნაწილებისა, არამედ ერთისგან მეორე ნაწილის მიკერძებაში თავის სასარგებლოდ. კახეთის მთავრები ცდილობდენ თავიანთ სამფლობელოსთვის შეეერთებინათ ქართლი და ამიტომ ხშირად უხდებოდათ ბრძოლა ბაგრატიონებთან. მეორე მხრით აფხაზეთის მეფეები ცდილობდენ შეეერთებინათ როგორც ქართლი, ისე კახეთი და ამიტომ ბრძოლა უხდებოდათ მათ როგორც ბაგრატიონებთან ისე კახეთის მთავრებთან. ურთიერთშორისის ბრძოლის გარდა ქართველებს ამ ხნის გამავლობაში ხშირად მოუხდებოდათ ხოლმე შეტაკება არაბებთან. ტფილისის ამირას ტფილისში საკმარისი ჯარი ჰყავდა, რომ მცირე ურჩობის საბაბით გაელაშქრა ხოლმე ქართველთა ან ერთს ან მეორე სამფლობელოზე. თუ თავის საკუთარის ჯარით ვერ მოახერხებდა ურჩობის მოსპობას, ტფილისის ამირა იჩივლებდა ხოლმე ხალიფასთან (არაბთა ხელმწიფეა) და ხალიფაც გზავნიდა მხედრობას ქართველების დასასჯელად და ხარკის ძლევის საიძულებლად. ხანდახან თვით ტფილისის ამირაც გააწყრომებდა ხოლმე ხალიფას მით, რომ შესაფერს ერთგულობას არ იჩენდა და საქართველოს მიწა-წყალზე, ქართველებთან დაახლოებულს დამოუკიდებლობა უფრო ტკბილს ხილად ეჩვენებოდა, ვიდრე ყურმოჭრილი ყმობა შორეულის ბატონისა. ამისთანა შემთხვევაშიაც ხალიფა გზავნიდა ჯარს რომლისამე სანდო ამირას წინამძღოლობით და სჯიდა

ურჩს ტფილისის ამირას. რა თქმა უნდა, რომ ტფილისის ამირას დასასჯელად მოსული არაბების ჯარი გზად ქართველებსაც ხვირს არ დააყრიდა ხოლმე.

5. **სარწმუნოებრივ-კულტურული განვითარება.** — სამაგიეროდ არაბების მფლობელობას სპარსეთში და საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანობის გამტკიცებისათვის საქართველოში. ცეცხლის თაყვანისცემა თუ კიდევ მაგრად იყო ჩვენში ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ეს იმიტომ რომ იგი იყო ძველი სახალხო სარწმუნოება და თან მას მფარველობას უწევდა სპარსეთი. ახლა კი როდესაც სპარსეთმა არაბების გავლენით უარ-ჰყვეს ცეცხლის თაყვანისცემა, ამ სარწმუნოებას საქართველოშიაც მოაკლდა ქომაგი და ხალხში დარჩენილმა უქომაგოდ ვეღარ გაუძლო ქრისტიანობის ძალას, რომელმაც სრულიად ამოფხვრა იგი ყოველგან საქართველოში.

ქრისტიანობის გამტკიცებას თან მოჰყვა ქართველის ერის კულტურული განვითარება. ამ ხანში ითარგმნა ქართულს ენაზე სრულად საღვთო წერილი, მრავალნი თხზულებანი ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა, საქრისტიანო ქადაგებანი და მოძღვრებანი და მსოფლიო წმინდანთა ცხოვრებანი. ამას გარდა დაიწერა ქართველთა წმინდანთა ცხოვრებანი და საქართველოს საერო ისტორია. თავდაპირველად მთარგმნელები და მწერლები იყვნენ ბერები, რომელთაც მიღებული ჰქონდათ სწავლა სასამხეთის, სირიის და საბერძნეთის მონასტრებში. შემდეგ უცხო მონასტრებში გაზდილმა ქართველებმა დააარსეს ქართული მონასტრები როგორც თვით საქართველოში, ისე უცხოეთში. ამ მონასტრებში გაჩაღებული იყო სამწერლო შრომა, თარგმნიდენ და მრავ-

ლად გადაწერილს ცალებად ავრცელებდენ ერში წიგ-ნებს. ამავე მონასტრებში წვრთნიდენ ყმაწვილებს და ასწავლიდენ ყოველისფერს, რაც მაშინ საჭიროდ მიაჩნ-დათ. მწერლობასთან ერთად ქრისტიანობის გავლენით აყვავდა საქართველოში ხუროთ-მოძღვრება და მხატვ-რობა. მეფეები, მთავრები და დიდებულები ხელს უწ-ყობდენ წიგნების თარგმანს და გავრცელებას და არ იშურებდენ არაფერს მშვენიერის საყდარ-მონასტრების ასაგებად და მათთან სასწავლებლების დასაარსებლად.

სარწმუნოებრივ-კულტურულს განვითარებას შეუწ-ყო ხელი საქართველოს ეკლესიის გათავისუფლებამ ან-ტიოქიის პატრიარქის დამოკიდებულებისგან. წინად საქარ-თველოს კათოლიკოზად ანტიოქიის პატრიარქი ნიშნავ-და თავის სურვილისამებრ ხშირად, თუ ყოველთვის არა, სხვა ეროვნების კაცს. ახლა კი არაბების შიშით ანტიოქიისა და საქართველოს შორის მისვლა-მოსვლის გაძნელების გამო, მეშვიდე საუკუნის დასაწყისითგან-ვე, ქართველი სამღვდელოება თვით ირჩევს კათო-ლიკოზს, რომელიც მართავს ეკლესიას ანტიოქიის პატრიარქის დაუკითხავად. ასეთი თავისუფლება საქარ-თველოს ეკლესიისა დაადასტურა თვით ანტიოქიის პატრიარქმა მერვე საუკუნის ნახევარში მხოლოდ იმ პირობით, რომ საქართველოს კათოლიკოზს თავის ლოცვებში მოეხსენებინა ანტიოქიის პატრიარქი. ამას გარდა პატრიარქმა შეინარჩუნა უფლება საეკლესიო საქმეებში ჩარევისა იმ შემთხვევაში, როდესაც რამე არევ-დარევა მოხდებოდა.

5. ეროვნულის გრძნობის გაღვიძება. — მართა-ლია, ქართველი ერი არაბთა მფლობელობის დროს იყო პოლიტიკურად დაცემული და რავდენსამე სამე-

ფოდ და სამთავროდ განაწილებული, მაგრამ სამაგიეროდ მას ამხნევებდა და აერთებდა ერთი სარწმუნოება, ერთი ენა და ერთი მწერლობა. გონებრივ და ზნეობრივ ქართველებს ახლა თავიანთ თავი სხვებზე ნაკლებად აღარ მიაჩნდათ და ამიტომ უკეთესის მომავალის იმედით იყვნენ აღსავსენი. ქრისტიანულის სარწმუნოების დამკვიდრებამ მათ შორის დაიცვა ისინი გამაჰმადიანებისგან, ხოლო ქართულის ენისა და მწერლობის განვითარებამ დაიფარა ისინი ეროვნულის გადაგვარებისაგან. ქართველი ხედავდა საქართველოს ყველგან, სადაც კი ისმოდა ქართული ლაპარაკი და წირვა-ლოცვა. ზნეობრივად და ეროვნულის გრძნობით დაკავშირებული ქართველები საჭიროებდენ ახლა მხოლოდ პოლიტიკურად გაერთიანებას და არაბთა მფლობელობის მოსპობას. შეგნებული ქართველობა მხნედ მიისწრაფოდა ამ პოლიტიკურის გაერთიანებისაკენ და ბოლოს კიდეც მიაღწია, ოთხასის წლის განაწილების და დაცემულობის შემდეგ (985 წ.).

VI

დავით კუროპალატი და მეფე ბაგრატ მესამე.

დავით კუროპალატი.—აფხაზეთის უკანასკნელი მეფეები.—ბაგრატის გამეფება აფხაზეთში.—ბაგრატ მეფე და მამა მისი გურგენი.—გურგენის გამეფება და დავით კუროპალატის სიკვდილი.—კახეთის დაპერა ბაგრატ მეფისაგან.—განჯის ამირას დამორჩილება:

1. **დავით კუროპალატი.** — მეათე საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის ბაგრატიონთა შორის თავი იჩინა ტაოს მფლობელმა **დავით კუროპალატმა.** ის იყო შვილი ადარნასე მაგისტროს-კუროპალატისა და შვილისშვილი ბაგრატ მაგისტროსისა. ტაოს გამგებლად შეიქნა 966 წ. თავის ჰკვიანურის მართვით, მშვიდობიანის ხასიათით, სწავლა-განათლების მფარველობით და ვაჟკაცობით დიდი სახელი გაითქვა როგორც საქართველოში, ისე მეზობელს ქვეყნებში და კერძოდ ბიზანტიაში. თუმცა ჩამომავლობით მეფის ტიტული მის დროს სხვას ჰქონდა, მაგრამ ქართველებიც და უცხოელებიც ხშირად იხსენიებენ მას მეფედ. 978 წელს, როდესაც დავით კუროპალატმა დიდი დახმარება გაუწია ბიზანტიას მით, რომ მიაშველა იმპერატორებს ბასილს და კონსტანტინეს ქართველი ჯარი, 12,000 კაცისაგან შემდგარი, რომელმაც დაამარცხა გამდგარი ხალეროსი, ბიზანტიამ დაუთმო მას სამფლობელოდ თავის მაზრები, სადაც ცხოვრობდენ სომხებიც. სომხის ისტორიკოსი, თანამედროვე დავითისა, ასოღიკი აი რასა სწერს მის შესახებ: „სიწყნარით და მშვიდობის მოყვარეობით დავით აღემატებოდა ყველა ხელმწიფეებს, რომელნიც კი ჩვენს დროს ცხოვრობენ; დავით იყო მიზეზი მუუდროებისა და წესიერებისა ყველა აღმოსავ-

ლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით სასომხეთში და საქართველოში. მან მოსპო ომები, რომელნიც ყოველის მხრით ატყდებოდენ ხოლმე და სძლია ყველა მეზობელს ხალხს, ასე რომ ყველა ხელმწიფენი ნება-ყოფლობით ექვემდებარებოდენ მას.“

ქართლის მეფედ დავითის დროს ითვლებოდა **ბაგრატ რეგვენი** (958—994), რომელიც იყო მეტად სუსტი და უნიკო კაცი. ის სრულებით ემორჩილებოდა დავით კუროპალატის გავლენას და არავითარი მნიშვნელობა ჰქონდა-რა პოლიტიკაში. დავით კუროპალატი თვით უშვილო იყო და თავის მემკვიდრედ და შვილობილად გამოაცხადა **ბაგრატ გურგენის** შვილი, შვილის შვილი მეფე ბაგრატ რეგვენისა. დავით კუროპალატმა იშვილა ბაგრატი იმ აზრით, რომ მის ხელში მთელი ქართლი გაერთიანებულიყო.

2. **აფხაზეთის უკანასკნელი მეფეები.**—დავით კუროპალატის სურვილი, რომ საქართველოს ნაწილები შეერთებულიყვნენ და ჩვენი ქვეყანა გაერთიანებულიყო, მალე ადვილად შესაძლებელი გახდა შემდეგის გარემოების გამო. აფხაზეთის მეფის **ლეონის** სიკვდილის შემდეგ (967 წ.) მისი ძმები **დემეტრე** და **თევდოსე** ერთმანეთს ედავებოდნენ ტახტს. მეფე დემეტრემ შეიპყრო თევდოსე და დაბრმავა. დემეტრეს სიკვდილის შემდეგ, აფხაზეთში გამეფდა ბრმა თევდოსე. თევდოსეს შემდეგ კი აფხაზეთის სამეფო გვარი სრულებით ისპობოდა, რადგან ვაჟიშვილი არ დარჩენიათ არც თევდოსეს, არც დემეტრეს. ამ გარემოებამ აფიქრებინა დავით კუროპალატს და სხვა მამულის მოყვარე ქართველებს, აფხაზეთში გაემეფებინათ უკანასკნელის მეფეების დემეტრეს და თევდოსეს დისწული ბაგრატი, შვილობილი

დავით კუროპალატისა. ეს რომ მოხერხებულიყო, საქართველო თითქმის მთლად იქნებოდა შეერთებული ერთის ტახტის ქვეშ, რადგან ბაგრატი იმავე დროს იყო მემკვიდრე ქართლისა და ტაოსი.

3. **ბაგრატის გამეფება აფხაზეთში.** — ქართლში ამ დროს იყო ერთი გამოჩენილი მამულიშვილი ერისთავი **იოანე მარუშიძე.** აი ეს მამულიშვილი შეუდგა მეცადინეობას, რო აფხაზეთის დიდებულებს ბრმა თევდოსეს მაგიერ მეფედ დაესვათ ბაგრატი. საქართველოს გაერთიანების სურვილი აფხაზეთშიაც ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი და ამიტომ იმათაც მოინდომეს ბაგრატის გამეფება. დიდებულებმა სთხოვეს დავით კუროპალატს, რომ ბაგრატი გაეშვა აფხაზეთში გასამეფებლად. დავითმაც მოუმართა ხელი ბაგრატს და გაგზავნა ქუთაისს. აფხაზეთის დიდებულებმა მეფობა ჩამოართვეს ბრმა თევდოსეს და **ბაგრატი** დასვეს მეფედ (985 წ.).

4. **ბაგრატ მეფე და მამა მისი გურგენი.** — ბაგრატ მეფემ თავის ტახტის გასამაგრებლად, გამეფდა თუ არა, თევდოსე მეფე გაგზავნა თავის მამობილთან ტაოში. მართალია, ქართლში მეფედ ითვლებოდა ბაგრატ რეგვენი, მაგრამ ის სრულებით უძლური იყო და სამეფოს განაგებდა შვილი მისი გურგენი, რომელიც ცხოვრობდა უფლისციხეში. ბაგრატი თავის მამას მფარველობდა და როდესაც კახეთის მთავარი შემოესეოდა და ან დიდებულები ურჩობას გაუწევდენ, აფხაზეთის ჯარით მიეშველებოდა ხოლმე. გურგენის მტრებს სწყინდათ მისი გაძლიერება და ამიტომ ცდილობდენ გადაეკიდებინათ მისთვის და ბაგრატისთვის როგორც მეფე ბაგრატ რეგვენი, ისე დავით კუროპალატი. იმ დროს

გამოჩენილი იყო თავის სიმძლავრით და დამოუკიდებლობის მოყვარეობით კლდე-კარის ერისთავი რატი ორბელიანი. აი ამ დიდებულის დასამორჩილებლად ბაგრატ მეფე აფხაზთა ჯარით მიეშველა თავის მამას გურგენს (988 წ.). რატი ორბელიანმა გადაიბირა თავისკენ მეფე ბაგრატ რეგვენი და თვით დავით კუროპალატიც კი დააჯერა, ვითომც ბაგრატს განძრახული ჰქონოდეს მის მოკვლა და ტაოს დაპატრონება. დავით კუროპალატი მაშინვე წამოვიდა ჯარით გურგენისა და ბაგრატ მეფის წინააღმდეგ. დავით კუროპალატსავე შეუერთდა ბაგრატის პაპა ბაგრატ რეგვენი. გურგენის ჯარი შეხვდა დავით კუროპალატის ჯარს და გაიმართა ბრძოლა. გურგენი დამარცხდა და შეეფარა წეფთის ციხეს. ბაგრატ მეფე კი ამ დროს თავის ჯარით თრიალეთში იყო და აპირებდა რატი ორბელიანთან შებმას, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ რატი ორბელიანს იცავდა მისი მამობილი დავით კუროპალატი, მარტოდ-მარტო მივიდა მამობილთან და ბოდიში მოიხადა, რომ კინაღამ არ მოუხდა მასთან შეტაკება. როდესაც დავით კუროპალატმა შეიტყო რომ ბაგრატს არა ჰქონია განძრახვა მის მოკვლისა, გაუშვა და თითონაც დაბრუნდა ტაოში. ბაგრატ მეფე ამ ხელად პირდაპირ აფხაზეთს დაბრუნდა, მაგრამ დაზამთრდა თუ არა, მოულოდნელად გადმოვიდა ჯარით და თავს დაეცა რატი ორბელიანს. რატი ორბელიანი იძულებული იყო თავისი ციხე გადაეცა ბაგრატისთვის და საცხოვრებლათ დასახლებულიყო არაგვეთში (989 წ.).

5. გურგენის გაფფება და დავით კუროპალატის სიკვდილი.—994 წ. მოკვდა ქართლის მეფე ბაგრატ რეგვენი და გამეფდა შვილი მისი **გურგენი**, ბაგ-

რატ მეფის მამა. შვიდის წლის შემდეგ გადაიცვალა თვით დავით კუროპალატიც (1001 წ.) და მის სამფლობელოს მემკვიდრედ შეიქმნა მისი შვილობილი ბაგრატ მეფე. მაგრამ ამ მემკვიდრეობის მიღების გამო შეტაკება მოუხდა ბიზანტიის იმპერატორს ბასილთან. როგორც ვსთქვით, დავით კუროპალატს საბერძნეთის იმპერატორისაგან მიცემული ჰქონდა ზოგიერთი მაზრები ბიზანტიისა სიკვდილამდე სამფლობელოდ. როდესაც დავითი მოკვდა, ბასილ იმპერატორი მოკიდა ამ მაზრების დასაჭერად. ამის გამგონი მეფეები ბაგრატ და გურგენი გაეშურნენ, რომ არ დაენებებინათ ბასილისთვის დავითის სამფლობელო. აქ გაიმართა მოლაპარაკება იმპერატორსა და მეფეთა შორის და გათაკდა მორიგებით: ზოგიერთი მაზრები დაიბრუნა იმპერატორმა და სამაგიეროდ უბოძა მეფეებს საპატიო ტიტულები —გურგენს **მაგისტროსობა**, ბაგრატს **კუროპალატობა**.

6. **კახეთის დაჭერა ბაგრატ მეფისგან.**— შვიდის წლის შემდეგ გადაიცვალა გურგენ მეფეც (1008 წ.) და ბაგრატი შეიქნა მარტოდ-მარტო **მეფედ აფხაზთა და ქართველთა**. მხოლოდ კახეთი არ ემოჩილებოდა ბაგრატს. ამიტომ ბაგრატმა მოინდომა ეს ქვეყანაც დაეპყრო და მით მთელი საქართველო ერთს სამეფოდ გადაექცია. ამ დროს კახეთში მთავრობდა **დავითი**. ბაგრატმა პირველად მოსთხოვა დავითს დაეთმო ის ქართლის ციხეები, რომლებიც მას ეჭირა. დავითმა უარი შემოუთვალა. მაშინ ბაგრატი შეესია კახეთს თიონეთის მხრითგან, დაიპყრო ერეთი, ერისთავად დაადგინა აბულალ და გამოპრუნდა უკან. მაგრამ ერელებმა განდევნეს აბულალი და ისევ დავითს მიუდგნენ. ამის გამგონმა ბაგრატმა ხელახლად გამოილაშქრა კახეთში. ამ

დროს მოკვდა დავით მთავარი და გამთავრდა შვილი მისი **კვირიკე**. ბაგრატი შევიდა კახეთში და დაიჭირა ციხეები. კვირიკე გამაგრდა და დიდი წინაამდეგობა გაუწია ბაგრატს. ორის წლის განმავლობაში ებრძოდა ბაგრატი კვირიკეს და ბოლოს სრულებით დაიჭირა კახეთი. კვირიკე მთავარი კი თან წამოიყვანა და თავის კარზე იყოლია.

7. **განჯის ამირას დამოკრჩილება.**—კახეთის დაპერის შემდეგ საქართველო გაერთიანდა, თუმცა მას აკლდა დედა-ქალაქი ტფილისი, რომელიც არაბების ხელთ იყო. ბაგრატმა ტფილისის აღება ჯერ უდროვოდ სცნო, რადგან იგი ძალიან გამაგრებული იყო და მისი ამირაც საბაბს არ აძლევდა ლაშქრობისას. სამაგიეროდ განჯის ამირამ **ფადლონმა** გაარისხა ბაგრატი თავის საქციელით. ფადლონი მოურიდებლად შეესეოდა ხოლმე კახეთს და იკლებდა იქაურობას. მის დასასჯელად და მოსამორჩილებლად ბაგრატმა შემწეობა სთხოვა სომეხთა მეფეს **.გაგიკ შაჰანშას.** ბაგრატი თავის და გაგიკის ჯარით შეესია განჯის ქვეყანას. ფადლონი დამარცხდა და გამაგრდა შანქორში. ბაგრატი შემოერტყა ჯარით ამ ქალაქს და აპირებდა იერიშით აღებას. შეშინებულმა ფოდლონმა შემოუთვალა მორიგების პირობები: მორჩილება, ხარჯის ძღევა და ლაშქრის მიხმარება მტრის წინაამდეგ. ბაგრატმა მიიღო ეს პირობები და დაბრუნდა უკან.

სამწუხაროდ, ბევრს ხანს ვერ იცოცხლა ამის შემდეგ ბაგრატ მეფემ, რომ დაემთავრებინა საქართველოს გაერთიანება ტფილისის აღებით. იგი მოკვდა 1014 წ. ისტორიაში ეს მეფე წოდებულია ბაგრატ მესამედ.

VII

მეფენი გიორგი პირველი და ბაგრატ მეოთხე.

კახეთის და განჯის გადგომა.—დავა და ბრძოლა ბიზანტიასთან. მათ შედეგი.—აზნაურთა გადგომა ბაგრატისაგან.—მარიამ დედოფლის წასვლა იმპერატორ რომანოზთან.—ლაშქრობა განჯაზე და ტფილისის ამირას შეპყრობა.—ტფილისის აღების ცდა.—კახეთის დაპერის ცდა.—ლიპარიტ ორბელიანის პირველი გადგომა.—ტფილისის დაპერა.—ლიპარიტის მეორე გადგომა.—ლიპარიტის დატყვევება თურქთაგან და გათავისუფლება. ბაგრატის წასვლა კონსტანტინოპოლს.—გიორგის გამოცხადება მეფედ ბაგრატის ნაცვლად.—ბაგრატის დაბრუნება და ლიპარატის განდევნა.—თურქების შემოსევა.—განჯის ამირას შეპყრობა და ტფილისის ხელმეორედ დაპერა.—საქართველოს კულტურული განვითარება გიორგი პირველის და ბაგრატ მეოთხის დროს.

1. **კახეთის და განჯის გადგომა.**— მართალია, ბაგრატ მესამის დროს გაერთიანდა საქართველო, მაგრამ დიდი შრომა და გამჭრიახობა იყო საჭირო როგორც ერის, ისე მმართველთა მხრით, რომ ეს ერთიანობა გამაგრებულიყო. ამას გარდა საქართველოს ძალლონის მოსაკრეფად საჭირო იყო, რომ გარეშე პირობებსაც შეეწყოთ ხელი და ახლად აღდგენილი საქართველო მიენებებინათ თავისთვის დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის. სამწუხაროდ აგრე არ მოხდა. ბაგრატის სიკვდილის შემდეგ (1014 წ.) გამეფებულმა სრულებით გამოუცდელმა თვრამეტის წლის მისმა შვილმა **გიორგი** პირველმა ვერ გამოიჩინა შესაფერი გამჭრიახობა და სიბეჯითე, რომ აღდგენილი ერთიანობა დაეცვა. ეს ერთიანობა შეარყიეს პირველად კახელებმა, რომელთაც გიორგის გამეფებისათანავე უარ-ჰყვეს ერთობა დანარჩენს საქართველოსთან და კახეთის მთავრად ხელახლად აღიარეს კვირიკე. კახელების განდგომის შემდეგ განჯის

ამირამაც გაითავისუფლა თავი გიორგი მეფის ზეხელ-მწიფებისაგან და სრულებით აღარ ემორჩილებოდა მას. ბოლოს თვით ბიზანტიამ აუტეხა დავა საქართველოს და წაართვა სამხრეთის საზღვრებზე მდებარე ადგილები.

2. დავა და ბრძოლა ბიზანტიასთან. მათ შედეგი.—ბიზანტიის იმპერატორი ბასილი გიორგის გამეფების პირველს წლებში გართული იყო ბოლგარებთან ბრძოლაში და, მოიცალა თუ არა ამ ბრძოლისგან, მოსთხოვა გიორგი მეფეს, რომ დაეთმო ის ადგილები, რომლებიც დავით კუროპალატისგან უნდა მას დარჩენოდა და რომლებიც არ დაანება მას ბაგრატ მესამემ. გიორგი მეფემ არ შეიწყნარა ასეთი მოთხოვნილება და ბიზანტიის წინაამდეგ კავშირის შესაკვრელად მოციქულობა გამართა ხალიფა ხაკიმთან. ამის შემდეგ ბასილი ჯარით შემოვიდა საქართველოს არემარეში (1021 წ.). გიორგი მეფე მის დასახვედრად თავის ჯარით მივიდა ბასიანს, მაგრამ, როდესაც დაინახა ბერძნების დიდი ძალა, უკან გამობრუნდა და მივიდა თრიალეთს, სადაც ელოდა მაშველს ჯარს. ბერძნებიც უკან გამოედევნენ მას. როდესაც მაშველი ჯარი მიუვიდა, გიორგი მეფე მზად იყო შებრძოლებოდა ბერძნებს, მაგრამ ბერძნები უკან დაბრუნდნენ. ბასილ იმპერატორმა ის ზამთარი გაატარა ტრაპიზონში. აქ გიორგი მეფემ მიუგზავნა მოციქულები შერიგების შესახებ. კიდევაც მორიგდენ. გიორგის უნდა გადაეცა ბასილისთვის ციხეები და მძევლად გაეტანებინა შვილი თვისი ბაგრატი. გაზაფხულზე (1022 წ.) ბასილ იმპერატორი ხელახლად შემოვიდა საქართველოში. გიორგი მეფე თავის ჯარით წინ მიეგება, ვითომ აღთქმულის პირობის შესასრულებლად. მაგრამ ქართველები მოულოდნელად შეეტაკნენ ბერ-

ძნებს და მოხდა ბრძოლა, რომელშიაც დამარცხდნენ ქართველები. გიორგიმ ხელახლა ითხოვა ზავი, რომლის შედეგი იყო ის, რომ ბასილმა დაიჭირა სადავო ადგილები და მიიღო მძევლად გიორგის ოთხის წლის ვაჟიშვილი **ბაგრატი.**

ბაგრატი დარჩა ბიზანტიაში სამს წელს და დაბრუნდა საქართველოში 1025 წ. ორის წლის შემდეგ მოკვდა გიორგი მეფე და გამეფდა ბაგრატი (1027 წ.).

3. **აზნაურთა გაღგოვა ბაგრატისაგან.**—ბაგრატის მცირეწლოვანობის გამო სამეფოს განაგებდა დედა მისი მარიამი, ასული ვასპურაკანის (სასომხეთის ნაწილია) მეფის სენაქერიმისა, რომელმაც თავის სამფლობელო უანდერძა ბიზანტიას. მარიამ დედოფალს ქვეყნის მართვაში ეხმარებოდა ქართლის ერისთავთ-ერისთავი **ლიპარიტ ორბელიანი.**

საქართველოს ტახტზედ მცირე-წლოვანის ბაგრატის ასვლამ ტაო-კლარჯეთის აზნაურებს აფიქრებინა გაცალკევებულიყვნენ ძველებურად, გაემეფებინათ კლარჯეთის ბაგრატიონი დემეტრე გურგენის ძე და ეთხოვნათ მფარველობა და შემწეობა ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინესთვის. ამ განძრახვით ბაგრატ მეოთხის გამეფებისათანავე წავიდნენ კონსტანტინოპოლში დიდებული აზნაური ვაჩე კარიჭიძე, ეპისკოპოზი იოანე ბანელი და მათი თანაგამძრახველნი, ნახეს იმპერატორი და სთხოვეს დახმარება. ტაო-კლარჯეთის აზნაურების ასეთი თხოვნა სასიამოვნოდ დარჩა იმპერატორს და გაგზავნა ჯარი საქართველოში (1028 წ.). განდგომილმა აზნაურებმა გადასცეს ბერძნებს თავიანთ ციხეები. მტრის მოსაგერებლად ლიპარიტ ორბელიანი გამაგრდა ციხე კლდე-კარში. ბერძნები მიადგნენ ამ

ციხეს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ ლიპარიტის მიერ. დიდი წინაამდეგობა გაუწიეს ბერძნებს აგრეთვე შავ-შეთში ტბეთის ეპისკოპოზის საბას თაოსნობით სვეტის სიმაგრეში. მართალია, ბევრი აზნაური მიუდგა ბერძნებს და გადასცა თავისი ციხეები, მაგრამ მათი მიმხრობა არ იყო საკმარისი, რადგან ბერძნების წინაამდეგ იყო მთელი ხალხი და ნაწილი აზნაურებისა, რომელნიც თავიანთ ციხეებითგან წამ-და-უწუმ თავს ესხმოდენ ბერძნებს და აწუხებდენ. ეს ამბავი რომ მიუვიდა კონსტანტინოპოლში იმპერატორს, ბრძანება გასცა, რომ ჯარი დაბრუნებულიყო საქართველოთგან.

4. მარიამ დედოფლის წასვლა იმპერატორ რომანოზთან. — გიორგი მეფეს ბაგრატის გარდა დარჩა კიდევ ერთი ვაჟი სახელად დემეტრე, რომლის ამბავი ჩვენს ისტორიას ჯერ კარგად არა აქვს გამორკვეული. ჩვენის აზრით, ის უნდა ყოფილიყო ნაშობი გიორგის პირველის ცოლის ოსის ქალის ალდასაგან, რომელიც რაღაც მიზეზით მიუტოვებია ქმარს. საუფლისწულოდ დემეტრეს და მის დედას ალდას ჰქონდათ მიცემული შავის ზღვის პირად მდებარე ქალაქი ანაკოფია. გიორგის შემდეგ სამეფო ტახტი უნდა რგებოდა მის უფროსს ვაჟს დემეტრეს, მაგრამ, ეტყობა, დიდებულს აზნაურებს რამე მოსაზრებით, უფრო კი მარიამ დედოფლის გავლენით, უპირატესობა მიუციათ ბაგრატისთვის. ამისთანა უსამართლობით უკმაყოფილო დემეტრემ და მისმა დედამ ალდამ ქალაქი ანაკოფია გადასცეს ბიზანტიას და თვითონ გადასახლდენ კონსტანტინოპოლს იმ აზრით, რომ იმპერატორი მიემხროთ თავიანთკენ და ემოქმედნათ ბაგრატისა და მარიამ დედოფლის წინაამდეგ (1032 წ.)

დემეტრეს და მის დედის გადასახლება კონსტანტი-

ნოპოლში იყო იმის მიზეზი, რომ იმავე წელს მარიამ დედოფალი გაემგზავრა კონსტანტინოპოლს. დედოფალს მინდობილი ჰქონდა, დემეტრესა და მის დედის გავლენა გაექარწყლებინა, ბაგრატი საქართველოს მეფედ აღიარებინა იმპერატორისთვის და გამოეთხოვნა მის საცოლოდ ერთერთი იმპერატორის სახლის ასული. იმპერატორმა რომანოზ არგიროზმა დიდის პატივით მიიღო მარიამ დედოფალი, ბაგრატი აღიარა საქართველოს მეფედ, მიანიჭა მას კუროპალატის ხარისხი, მოათხოვა თავისი ძმის წული ელენე და დაუბრუნა ტაოკლარჯეთში ის ციხეები, რომლებიც ბერძნებმა დაიჭირეს 1028 წელს. მარიამ დედოფალი კმაყოფილი დაბრუნდა საქართველოში და დაარქორწინა ბაგრატი ელენეზე.

5. **ლაშქრობა განჯაზედ და ტფილისის ამირას შეპყრობა.**—ბაგრატ მეფის მცირეწლოვანობაში ლიპარიტ ორბელიანის თაოსნობით მოხდა ორი შესანიშნავი ამბავი. ერთი იყო განჯის ამირას წინააღმდეგ გალაშქრება, მეორე—ტფილისის ამირას შეპყრობა. განჯის ამირა არამც თუ აღარ ემორჩილებოდა საქართველოს, არამედ აწუხებდა კიდეც შემოსევით და დარბევით. მისივე უკმაყოფილონი იყვნენ აგრეთვე კახეთის მეფე კვირიკე, სომხეთის მეფე დავითი და ტფილისის ამირა ჯაფარი. ლიპარიტ ორბელიანმა შეუერთა ამათ ჯარს ქართველი ჯარი და მათთან ერთად გაილაშქრა განჯის წინააღმდეგ. შეერთებულმა ჯარმა დაამარცხა ამირა და აიძულა დაწყნარებულიყო. რავდენისამე ხნის შემდეგ ლიპარიტ ორბელიანმა მოინდომა ტფილისის აღება. იოანე აბაზაძის დახმარებით იმან გამოიტყუა ტფილისის ამირა ჯაფარი ქალაქს გარეთ და შეი-

პურო, მაგრამ ქალაქის აღება კი ვერ მოახერხა. სამაგიეროდ ამირა შეპყრობილი ჰყავდა და არ უნდოდა გაეშვა, ვიდრე ქალაქი არ დანებდებოდა.

ამ ხანებში დავაჟკაცდა კიდეც ბაგრატ მეფე და შეუდგა სახელმწიფო საქმეების მართვას. ორბელიანის მტრების ჩაგონებით ბაგრატმა გააშვებინა შეპყრობილი ამირა და ამნაირად ხელი აიღო ტფილისის დაპყრაზე.

6. **ტფილისის აღების ცდა**. — ტფილისის ამირას გაშვება მეფისაგან ტფილისის დაუპერელად ძალიან ეწყინა ორბელიანს, რომელსაც ამ ქალაქის აღება იმიტომ უფრო უნდოდა, რომ იმედი ჰქონდა, მეფე ქალაქს იმას მისცემდა საგამგებლოდ. ამიტომ ის მუდამ იმას ცდილობდა, რომ ჩაეგონებინა ბაგრატისთვის ტფილისის დაპყრობის საჭიროება. მისმა მეცადინეობამ გასჭრა და ბაგრატ მეფემ გადაწყვიტა დაეპყრო ტფილისი. ლიპარიტ ორბელიანს კარგი განწყობილება ჰქონდა კახეთის მეფე გაგიკთან და იმის თხოვნით გაგიკი მიეშველა ბაგრატს ტფილისის ასაღებად. ტფილისს გარს შემოადგა—ერთის მხრით ბაგრატის ჯარი, მეორე მხრით გაგიკისა ქალაქის გარემოცვამ გასტანა ორს წელიწადს. სიმშილმა გაუჭირა საქმე მოქალაქეებსა და ამიტომ მათ გადაწყვიტეს დამორჩილებოდენ ბაგრატს. ამირა ჯაფარი კი გასაქცევად ემზადებოდა განჯისკენ. ლიპარიტის მტრებმა, რომელთაც ეშინოდათ, რომ ტფილისის აღებას არ მოჰყოლოდა მის გაძლიერება, ჩააგონეს ბაგრატს მოლაპარაკება გაემართა ამირასთან და ტფილისი მიეტოვებინა მისთვის იმ პირობით, რომ ამირა ყოფილიყო მეფის მორჩილი, ხოლო მის სიკვდილის შემდეგ ქალაქი გადასცემოდა ბაგრატს. მეფემ მიიღო ეს რჩევა, მოლაპარაკება გამართა ამირასთან და აღნიშნულის პირობით ტფილისი მასვე დაუტოვა (1040 წ.)

7. **კახეთის დაჭერის ცდა.**—ტფილისის მაგიერ ბაგრატმა მოინდომა კახეთის დაჭერა. იმან მოლაპარაკება გამართა კახეთის ზოგიერთს აზნაურებთან და მათგან თანხმობა მიიღო. ამიტომ შევიდა კახეთში და შეუდგა ციხეების დაჭერას (1042 წ.). გაგიკ მეფე ყველგან ძლეული შეიქმნა, მაგრამ ბაგრატმა ვერ დაასრულა კახეთის დაჭერა, რადგან მოუვიდა ცნობა ლიპარიტ ორბელიანის განდგომისა და ბიზანტიის ჯარის შემოსვლისა საქართველოში.

8. **ლიპარიტ ორბელიანის პირველი გადგომა.** — მეტად განაწყენებულმა და გულნაკლულმა იმ გარემოებით, რომ ბაგრატ მეფემ ტფილისის დაპყრობაზე ხელი აიღო, ლიპარიტმა მოინდომა ბაგრატის ტახტითგან ჩამოგდება და მის ძმის დემეტრეს გამეფება. თავისი განძრახვა შეატყობინა ბიზანტიის იმპერატორს და სთხოვა დახმარება. იმპერატორმა შეიწყნარა ეს თხოვნა და დემეტრეს გამოატანა ჯარი (1042 წ.). ლიპარიტმა დემეტრე გამოაცხადა საქართველოს მეფედ. ეს რომ შეიტყო კახეთში მყოფმა ბაგრატმა, გადმოვიდა ქართლში. საშიში იყო ბაგრატის მდგომარეობა. დემეტრეს მიუდგნენ ბევრნი აზნაურნი. კახეთის მეფემ გაგიკმაც გაუგზავნა დემეტრეს და ლიპარიტს მაშველი ჯარი. გაიმართა ბრძოლა დემეტრესა და ბაგრატის მომხრეთა შორის. ახალქალაქის, ატენის და სხვა ციხეების წინაამდეგობამ დიდი დახმარება გაუწია ბაგრატის საქმეს. განდგომილები ვერ გადმოსცილდენ თრიალეთს. ამასობაში დადგა ზამთარიც. ბერძნის ჯარმა ველარ შესძლო დარჩენა საქართველოში და დაბრუნდა უკან. დემეტრეც თან წაჰყვა მას. ამის შემდეგ ლიპარიტ ორბელიანიც იძულებული შეიქმნა შერიგებოდა მეფეს.

9. **ტფილისის დაჭერა**—ლიპარიტ ორბელიანისა და თავის ძმის დემეტრეს დამარცხების შემდეგ ბაგრატმა მოინდომა წაერთმია ბერძნებისათვის დემეტრეს მიერ გადაცემული ანაკაფია და ამიტომ მიადგა ამ ქალაქს ჯარით (1043 წ.). ამ დროს მოკვდა ტფილისის ამირა ჯაფარი და, შეიტყო თუ არა ბაგრატმა ეს ამბავი, მიანება ანაკოფიას თავი და გაემართა ტფილისის დასაჭერად. ტფილისელებმა დიდის ამბით მიიღეს ბაგრატი და დამორჩილდნენ. ამნაირად შესრულდა ლიპარიტ ორბელიანის სურვილი ტფილისის აღებისა, მაგრამ არ გაუმართლდა მას თავის იმედი. ბაგრატმა ტფილისი საგამგებლოდ არ მისცა ლიპარიტს.

10. **ლიპარიტის მეოთხე გადგომა.**—ამით გაჯავრებული ლიპარიტი ხელახლად გაუდგა ბაგრატს და გამოიწვია საბერძნეთითგან დემეტრე. დემეტრე შემოვიდა მეორედ საქართველოში (1044 წ.). ქართლისა და სამცხის აზნაურთა უმეტესი წილი გადავიდა დემეტრეს მხარეზე, ასე რომ ბაგრატი და მისი მომხრენი ყველგან დამარცხდენ. ბაგრატმა მიატოვა ქართლი და გადავიდა ქუთაისს. მართალია, დემეტრე მალე გადაიცვალა, მაგრამ ლიპარიტი მაინც არ დაემორჩილა ბაგრატს და თავის თავი და ქართლი გამოაცხადა ბიზანტიის ქვეშევრდომად. რავდენჯერაც კი სცადა ბაგრატმა ქართლის დაჭერა, იმდენჯერ დამარცხდა ლიპარიტისაგან.

11. **ლიპარიტის დატყვევება თურქთაგან და გათავისუფლება. ბაგრატის წასვლა კონსტანტინოპოლს.**—1048 წელს ბიზანტიის სამფლობელოს საქართველოს საზღვრებს ახლოს შემოესიენ თურქები და ბერძნებს მოუხდათ მათთან ბრძოლა. იმპერატორის თხოვნით ლიპარიტმა მიიღო მონაწილეობა ამ ბრძოლა-

ში. თურქებმა გაიმარჯვეს და ლიპარიტი ტყვედ წაიყვანეს. ბაგრატ მეფემ თავისუფლად დაიჭირა ახლა ქართლი (1048 წ). ლიპარიტი ტყვედ ჰყავდათ თურქებს ორის წლის განმავლობაში. ტყვეობიდგან გათავისუფლებული და ბიზანტიის იმპერატორისგან დიდად პატივცემული ლიპარიტი მივიდა ანს (1050 წ.) და აპირებდა საქართველოში შემოსვლას ბერძნების ჯარით. ბაგრატი გაემართა თავის ჯარით მის დასახვედრად, მაგრამ რაკი დაინახა, რომ გამარჯვება შეუძლებელი იყო, გადაწყვიტა თვითონ წასულიყო კონსტანტინოპოლს და თავისი საქმე იმპერატორთან გაერიგებინა. ქუთაისში მეფედ თავის ადგილს დატოვა ძე თვისი გიორგი და წავიდა საბერძნეთს (1050 წ.).

12. **გიორგის გამოცხადება მეფედ ბაგრატის ნაცვლად.** — რაკი ამნაირად მიაღწია თავის წადილს და იძულებულ ჰყო ბაგრატი მეფობაზე ხელი აეღო, ლიპარიტ ორბელიანმა ძე მისი გიორგი აღიარა საქართველოს მეფედ. ბაგრატის დის გურანდუხტის შუამავლობით ლიპარიტმა სთხოვა გიორგის დედას ბორენა დედოფალს (ბაგრატის მეორე ცოლს), რომ გიორგი გაეგზავნა ქართლში გასამეფებლად. ბორენა დედოფალი დათანხმდა მით უფრო, რომ ბაგრატ მეფეს ბიზანტიის იმპერატორი არ უპირებდა მალე გამოშვებას საქართველოში. გიორგი აკურთხეს ქართლის მეფედ რუისის ეკლესიაში (1051 წ.). ქართლის საქმეებს განაგებდა ლიპარიტ ორბელიანი.

13. **ბაგრატის დაბრუნება და ლიპარიტის განდევნა.** — ბაგრატი დარჩა კონსტანტინოპოლში სამს წელიწადს. იქითგან დაბრუნებული (1053 წ.) შეუდგა აფხაზეთის მართვას, ქართლს კი წინანდებურად განაგე-

ბდა ლიპარიტი გიორგის სახელით. ლიპარიტის გამგეობამ მოთმინებითგან გამოიყვანა სამცხის დიდებული აზნაურები. ამათ შეიპყრეს ლიპარიტი და შეუთვალეს ბაგრატს, რომ გადმოსულიყო და დაეჭირა ქართლიც. ბაგრატი გადმოვიდა მაშინვე (1059 წ.). ლიპარიტმა ითხოვა ბაგრატისგან შეწყალება და დაჰპირდა ბერად შედგომას და სრულებით მოშორებას საქართველოთგან. მართლაც ეს დიდებული და მძლავრი აზნაური შედგა ბერად და წავიდა სამოღვაწოდ ათონის მონასტერში, სადაც იწოდებოდა ანტონად.

14. **თურქების შემოსევა.**—ამნაირად იძლია ურჩი და თავ-მოყვარული აზნაური ლიპარიტ ორბელიანი. გაიმარჯვა საქართველოში მეფის უფლებამ. ბაგრატი შეუდგა ქართველის ერის საუკუნოებრივის მისწრაფების შესრულებას — საქართველოს გაერთიანებას. ზედი-ზედ ერთს მეორის შემდეგ ბაგრატი იპერდა კახეთის ციხეებს და მაზრებს და იმედი იყო მალე შეიერთებდა ამ ქვეყანას სრულებით, რომ არ გასჩენოდა საქართველოს ახალი და მეტად საშიში მტერი—თურქნი-სელჩუქნი. მათი სულთანი გამოჩენილი **ალპ-არსლანი** ანუ **არფასარანი** შემოესია საქართველოს 1064 წ. და მოარბია თრიალეთი, ჯავახეთი, სამცხე, შავშეთი, კლარჯეთი და ტაო. ამ მტრის რისხვამ სწრაფად გაიარა როგორც ქარიშხალმა. ჩამოვარდა სიწყნარე და ბაგრატი შეუდგა მოოხრებულის ქვეყნის მოშენებას. შემდეგ ისევ კახეთის დაპყრობას შეუდგა. ამ დროს იქ მეფობდა **აღსართანი**. 1068 წ., როდესაც ბაგრატი კახეთში იყო და ცდილობდა აღსართანისთვის წაერთმია უკანასკნელი ციხეებიც, საქართველოში შემოვიდა ხელახლად სელჩუქთა სულთანი არფასარანი. ბაგრატი ამ ამბის გაგებაზე კახეთით-

გან გადმოვიდა ქართლს, აღსართანი კი წინ მიეგება არფასარანს, გამოუცხადა მორჩილება და თავის ერთგულობის დასამტკიცებლად მიიღო კიდეც მაჰმადიანობა. კახეთითგან არფასარანი შემოვიდა ქართლში და აიკლო აქაურობა. ბაგრატი გადავიდა ქუთაისს დ იქითგან გამართა სულთანთან მოციქულობა მორიგების შესახებ. სულთანმა ითხოვა, რომ ბაგრატს ეკისრნა ხარჯის ძლევა. სანამ პასუხს მიიღებდა, ზამთრის სიცივეებისგან შეწუხებულმა სულთანმა დასტოვა ქართლი და წაეიდა სპარსეთს. განჯის ამირამ ფადლონმა სთხოვა სულთანს ტფილისი მისთვის მიეცა და სულთანმაც შეუსრულა ეს თხოვნა (1069 წ.)

15. **განჯის ამირას შეკურობა და ტფილისის ხელმეორედ დაჭერა.**—ტფილისის შეძენის შემდეგ განჯის ამირამ დაიწყო ქართლის რბევა, მაგრამ მუქთად არ ჩაუარა მას ქართლის შეწუხებამ. იმავე წელს ერთხელ, როდესაც ბაგრატმა გამოუყენა ჯარი დასარბევად გამოსულს ამირას, მისი ჯარი საშინლად დამარცხდა და თვით გაიქცა კახეთს. იქ შეიპყრეს ფადლონი და გადასცეს ბაგრატს. ამის შემდეგ ბაგრატმა დაიპირა ტფილისი და ამირად დააყენა თავისი სანდო კაცი დვინელი სითლარაბა. ტყვე ფადლონი კი რავდენისამე ხნის შემდეგ ბაგრატმა გაათავისუფლა არფასარანის თხოვნით.

16. **საქართველოს კულტურული განვითარება ზიორგი პირველის და ბაგრატ მეოთხის დროს.**—ამნაირი იყო პოლიტიკური მოღვაწეობა ბაგრატ მეოთხისა. დიდი შრომა და ბრძოლა მოუხდა მას საქართველოს ერთიანობის და დამოუკიდებლობის დასაცველად. ერთის მხრით ის ებრძოდა ერთიანობის შინაურს მტერს

მძლავარს აზნაურობას, მეორე მხრით დამოუკიდებლობის გარეშე მტრებს - ბიზანტიას **და** თურქებს. მტერთა ძალა გაცილებით აღემატებოდა მის ძალებს და ამიტომ საქართველომ მის მეფობაში ვერ მიაღწია ეროვნულს გაერთიანებას და პოლიტიკურს ძლიერებას. ამ ორგვარს მისწრაფებას, რომელიც ჰქონდათ მაშინდელს ქართველებს, უნდა დავუმატოთ მესამე მისწრაფება — კულტურულის განვითარების მიმართ, რომელიც უფრო მძლავრი იყო. არც შინაური განხეთქილება, არც გარეშე მტრების შემოსევა არ აჩერებდა შეგნებულის ქართველების შრომას ქრისტიანულის განათლების გასავცელებლად ერში. როგორც წინად, ახლაც ამ განათლების გამავრცელებელნი იყვნენ მონასტრები. ბაგრატის დროს ბრწყინავდა თავის ასეთის მოღვაწეობით **გიორგი მთაწმინდელი,** რომელიც განაგრძობდა ბაგრატ მესამის და გიორგი პირველის დროინდელის მოღვაწის **ექვთიმე მთაწმინდელის** საქმეს. ამ ორმა პირმა, ათონის მონასტერში მოღვაწეებმა, მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომეს საღვთო და საფილოსოფიო წიგნების თარგმნას და შეძინეს ქართულს ლიტერატურას აუარებელი თარგმანი. მათი ნათარგმნი იწერებოდა მონასტრებში მცხოვრებთ ბერთაგან და ვრცელდებოდა ხალხში. ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის თავდადებით მოღვაწე ბაგრატი დიდს დახმარებას უწევდა განათლების გამარცელებელს მონასტრებს, მთარგმნელებს და მწერლებს. ასეთსავე დახმარებას და მფარველობას უწევდა მწერლობას მის ურჩი ქვეშევრდომი ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ ორბელიანი. მწერლობის მფარველობასთან ერთად ბაგრატი და მისი ქვეშევრდომები აშენებდენ დიდებულს ტაძრებს, რომლებშიაც ინახებოდა წიგნები და ექა-

დაგებოდა მდაბიო ხალხს მათი შინაარსი. გიორგი პირველისა და ბაგრატ მეოთხის დროსვე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა **მელქისედეკ** კათოლიკოზ-პატრიარქი, რომელიც საქართველოს ეკლესიის ერთიანობის დაცვით ხელს უწყობდა ქართველის ერის ერთობას იმ დროს, როდესაც საქართველოს ნაწილები პოლიტიკურად ან ცალკე სახელმწიფოებს წარმოადგენდენ ან ბიზანტიას ემორჩილებოდენ. ბაგრატის მეფობაში საქართველოს ეკლესიამ შეიძინა სრული დამოუკიდებლობა ანტიოქიის პატრიარქისგან და თვით კათოლიკოზი იწოდა კათოლიკოზ-პატრიარქად. პირველი კათოლიკოზ-პატრიარქი იყო მელქისედეკი.

ბაგრატ მეოთხე გარდაიცვალა 1072 წ. და დასტოვა მეფედ შვილი თავისი გიორგი.

VIII

მეფე გიორგი მეორე

დიდებულების ამბოხება.—მალიქ-შაპის შემოსევა.—ანაკოფიის აღება, ყარსის და კარნუქალაქის დაპერა.—იკონიის თურქების შემოსევა და ქართველების გაპირება—გიორგი მეფის ტახტითგან ჩამოგდება და მის შვილის დავითის გამეფება.

1. **დიდებულების ამბოხება.**— მტრისაგან შერყეულს საქართველოში დიდებულმა აზნაურებმა ხელ-ახლად მოინდომეს თავიანთ გავლენისა და ძლიერების აღდგენა. 1073 წ. **ნიანია ქობულიძემ, იოანე ორბელიანმა** და **ვარდან** სვანეთის ერისთავმა ამართეს ურჩობის დროშა და დაიპირეს ციხეები და მაზრები. მეფე გიორგი მეორემ დაინახა, რომ ძალით შეუძლებელი იყო გალაღებულის დიდებულების დამორჩილება და ამიტომ მოლაპარაკება

გამართა. დიდებულები დაწყნარდენ, რადგან გიორგი მეფემ ყველას დაუთმო და მისცა ციხეები და მაზრები. ამ პირველმა დიდებულთა გამარჯვებამ არ დააკმაყოფილა იოანე ორბელიანი და ხელახლად ურჩობა დაუწყო მეფეს (1074 წ.). ამ ხელად გიორგიმ შესაძლებლად დაინახა იოანეს დამორჩილება ძალით, რადგან ის მარტოდ-მარტო იყო და ამას გარდა მის წინაამდეგ დამხმარეც იპოვა. ეს დამხმარე იყო კახეთის მეფე **აღსართანი,** რომელიც იოანეს არ ემადლიერებოდა მის თავნებობისათვის კახეთის საზღვრებში. გიორგი მეფე აღსართან მეფითურთ მიადგა სამშვილდის ციხეში გამაგრებულს იოანეს. ორბელიანმა ვერ შესძლო მოგერება მეფისა და ციხითგან გაიქცა მთებში **და** შემდეგ იძულებული იქმნა მორჩილება გამოეცხადებინა მეფისთვის. მაგრამ არც ამ დამარცხებამ დააწყნარა იოანე. 1075 წ. უღალატა გიორგი მეფეს და გაგის ციხე გადასცა განჯის ამირას ფადლონს.

2. **მალიქ-შაჰის შემოსევა.**—1077 წ. თურქების სულთანი **მალიქ-შაჰი** შემოვიდა რანში. იოანე ორბელიანი მიეგება წინ და მორჩილება გამოუცხადა. სულთანმა თავისთან დაიჭირა და აღარ გაუშვა. იოანე ორბელიანს ასეთი ტყვეობა მოსწყინდა და ჩუმად გამოეპარა სულთანს. სულთანმა იწყინა მისი ქცევა და გამოედევნა უკან. თურქები მიადგენ სამშვილდეს და შეიპყრეს ორბელიანი თავის ცოლშვილით. აქეთგან სულთანმა გაგზავნა ჯარი ქართლის დასარბევად და მალე გაბრუნდა განჯისკენ. განჯის აღების შემდეგ მალიქ-შაჰმა დატოვა განჯაში 48,000 ჯარის კაცი ამ ქვეყნისა და საქართველოს დასაპყრობლად და თითონ სპარსეთს დაბრუნდა.

განჯის ქვეყნის დაპყრობის შემდეგ თურქები შემოვიდნენ საქართველოში. გიორგი მეფე უკვე მომზადებული იყო მათ დასახვედრად. მის თხოვნით თურქებთან ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა კახეთის მეფემაც. ომი მოხდა ფარცხისში. თურქები დამარცხდნენ და განჯის ქვეყანაშივე დაბრუნდენ (1077 წელს).

3. **ანაკოფიის აღება. ყარსისა და კარნუქალაქის დაჭერა.**—ამის შემდეგ გიორგი მეფემ წაართვა ბერძნებს **ანაკოფია** და ის ციხე სიმაგრეები, რომლებიც სამხრეთს საქართველოში ეჭირათ (1078 წ.) ეს საქმე გაუადვილა გიორგი მეფეს იმ გარემოებამ, რომ ბერძნები ძალიან შევიწროებულნი იყვნენ თურქთაგან და აღარ შეეძლოთ განაპირა ადგილების დაცვა. საბერძნეთის ასეთის დასუსტების გამო ბიზანტიის აღმოსავლეთის ადგილების მმართებელმა ქართველმა გრიგოლ ბაკურიანმა ამავე წელს გადასცა გიორგი მეფეს **ყარსი** და **კარნუქალაქი** (არზრუმი). ამნაირად გიორგიმ უშორესს მანძილამდე გასწია საქართველოს სამხრეთი საზღვრები. მაგრამ მარტო გაწევა არ კმაროდა. საჭირო იყო ამ საზღვრების შემაგრება. სამწუხაროდ გიორგი მეფემ ეს ვერ მოახერხა და მალე თვით საქართველო შეიქნა რბევის სარბიელად მტერთათვის.

4. **იკონიის თურქების შემოსევა და ქართველების გაჭირება.**—1080 წ. **იკონიის** თურქები შემოესიენ საქართველოს და აიღეს ყარსი. აქედგან წამოვიდნენ **ყველისციხისკენ**, სადაც იმ დროს იმყოფებოდა გიორგი მეფე. გიორგი დამარცხდა და გაიქცა აჭარისაკენ. ამავე წელს საქართველოს შემოესია მეორეჯერ თურქთა დიდი ლაშქარი, რომელიც დიდის სისწრაფით მოედო ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეს. შეუბრალე-

ბლად იკლებდენ და ალხრებდენ თურქები ყველაფერს. შეშინებული ხალხი გაიხიზნა მთასა და ტყეში და ამით გადაირჩინა თავი შემუსვრისაგან. ზამთარმა რომ მოაწია, თურქებმა მიატოვეს საქართველო და წავიდენ უკან. სახიზარითგან დაბრუნებულს ქართველებს თავიანთ საცხოვრებელს მიწაზე ცარიელი ნანგრევები-ღა დაუხვდათ. როგორც იყო ქართველებმა გაუძლეს ზამთარს, მაგრამ გაზაფხულზედ 1081 წ. თურქები ხელმეორედ შემოესიენ საქართველოს. ხალხი ხელახლა გაიხიზნა მთასა და ტყეში. ეს წელიწადიც ისეთივე უბედური იყო საქართველოსთვის როგორც წინა წელი. ზამთრის დამდეგს თურქები ისევ გავიდენ საქართველოთგან. ამნაირად რავდენისამე წლის გამავლობაში თურქები იკლებდენ საქართველოს მომეტებულს ნაწილს; შემოესევოდენ გაზაფხულზე და უკუ ბრუნდებოდენ საზამთროდ.

გიორგი მეფემ და დიდებულებმა სრულებით დაჰკარგეს ყოველივე იმედი და მხნეობა. იმათ სხვა ღონე ვერა იპოვეს-რა იმის მეტი, რომ სპარსეთის მფლობელის სულთან მალიქ-შაჰისთვის მიემართათ და ეთხოვათ მშვიდობა ნაცვლად მორჩილებისა და ხარჯის ძლევისა. ამ თხოვნით გიორგი მეფე თითონ გაემგზავრა სულთანთან სპარსეთს (1084 წ.). სულთანი დაჰპირდა გიორგის მშვიდობას და დიდის იმედით გამოისტუმრა უკან.

მაგრამ ტყუილი გამოდგა ეს იმედი. იკონიის თურქები თავისას არ იშლიდნენ და დრო გამოშვებით შემოესეოდენ ხოლმე ჩვენს ქვეყანას და არბევდენ. მეორე მხრით კახეთის მეფე აღსართანი გამხნევებული მით, რომ თურქები მას მხარს უჭერდნენ, რადგან ის გამუსულმანებული იყო, აგრეთვე დროგამოშვებით ესხმოდა ქართლს და იჭერდა სოფლებს და ქალაქებს. ამნაირად

1080 წლის აქეთ ქართველებს არ ჰქონიათ ერთი წელიწადი მოსვენება, რომ სული ამოედგათ და მხნედ წინაამდეგობა გაეწიათ თავგასულის მტრისათვის.

1088 წ. საქართველოს მოევლინა კიდევ სხვა გვარი უბედურება, რომელმაც გაჭირებას გაჭირება დაუმატა. ეს იყო დიდი და რავდენჯერმე გამეორებული მიწის ძვრა, რომელმაც დაანგრია ბევრი ქალაქი და სოფელი და იმსხვერპლა ბევრი ხალხი.

5. **გიორგი მეფის ტახტითგან ჩამოგდება და მის შვილის დავითის გამეფება.** – ქართველი ერი უკიდურესს განსაცდელში ჩავარდა. საჭირო იყო განსაკუთრებული ღონე, რომ გამოსულიყო ამ განსაცდელითგან. ვინმე უნდა გამოჩენილიყო ასეთის ღონის სახმარებლად. და განოჩნდა კიდეც. ეს იყო გიორგი მეფის შვილი **დავითი**, შემდეგში წოდებული **აღმაშენებლად.**

საზოგადო სასოწარკვეთილებისა და გულ-გატეხილობის დროს ქართველებში იყო მცირე, მაგრამ იმედიანი წრე, რომელიც შესაძლებლად ჰპოვებდა ქვეყნის ხსნას, თუ გაბედულად და ჭკვიანურად შეებრძოლებოდენ მტერს. ეს წრე ქვეყნის უბედურობის მიზეზად თვლიდა გიორგი მეფეს, რომელიც ვერ იჩენდა შესაფერს მხნეობას და გამჭრიახობას. სამაგიეროდ იგივე წრე დიდის იმედით უცქეროდა ახალგაზდა ჭკვიანს და გამბედავს მეფის შვილს დავითს, რომელიც ამ წრესთან ერთად არ ემადლიერებოდა თავის მამას ქვეყნის ასეთს უკიდურესობამდე მიყვანისათვის. ქვეყნის სამსახურის სურვილით აღფრთოვანებულს დავითს აზრად მოუვიდა გადაეყენებინა თავისი მამა ტახტითგან და თითონ ეტვირთა საქართველოს ხსნა მტერთაგან. ეს აზრი კიდევაც შეასრულა დავითმა თავის თანამოაზრეთა შემწეობით

და იძულებულ ჰყო გიორგი მეფე უარი ეთქვა ტახტზედ, ხოლო თითონ გამოაცხადა თვისი თავი მეფედ (1089 წ.). გიორგი მეფემ იცოცხლა ამის შემდეგ კიდევ 23 წელიწადი და თავის თვალ ით ნახა რაოდენადაც მის შვილის საქციელი საბედნიერო და სასიკეთო იყო საქართველოსთვის.

IV

მეფე დავით აღმაშენებელი.

დავით მეფის მეცადინეობა თურქების განდევნისათვის.—ბრძენება შინაურის წესიერების დამყარებისათვის.—კახეთის შემოერთება.—წართმევა თურქთაგან საქართველოს ციხეებისა და გალაშქრება შირვანსა და არაკსის ხეობაში.—სამუდამო ჯარის დაარსება ტყვეთაგან და ყივჩაყთაგან.—თურქების ცდა თავიანთ მფლობელობის დასაცველად და დავითის გამარჯვება მათზე.—ტფილისის აღება. ანის შემოერთება.—დავით მეფის პირადი ხასიათი და საქვეყნო მოღვაწეობა.

1. **დავით მეფის მეცადინეობა თურქების განდევნისათვის.**—მეფე გიორგი მეორის მეფობის უკანასკნელს წლებში საქართველო ასეთს სურათს წარმოადგენდა: ტფილისი და მისი არე-მარე ეჭირათ არაბებს, კახეთი ცალკე სამეფოს შეადგენდა, მთელს მტკვრის ხეობაში თურქები თავისუფლად დანავარდობდენ, დასავლეთი საქართველო სავსე იყო ნანგრევებით და ნაოხრებით. ქართველი ხალხი, მეტად გაღატაკებული და დაბეჩავებული, ძალიან გულ-გატეხილი იყო ზნეობრივ. მთელს სიცოცხლეს ატარებდა შრომაში და ამ შრომის ნაყოფს კი ართმევდა ან უფუქებდა დრო-გამოშვებით შემოსეული მტერი. იგი თავისით ვერ ახერხებდა შეერთებულის ძალით წინაამდეგობა გაეწია მტრისთვის. მეფე და მისი მოხელეები უძლურნი იყვნენ გაემხნევებინათ ხალხი თურქებთან საბრძოლელად.

მაგრამ ავიდა თუ არა ტახტზე დავითი, საქართველოს სურათს სწრაფად დაეტყო ცვლილება. ის უიმედობა და სასოწარკვეთილობა, რომელსაც მანამდე მოეცვა ქართველი ერი, გაჰქრა. ხალხი გამოფხიზლდა და გამხნევდა. ხალხის ასეთის აღფრთოვანების და გამოფხიზლების მიზეზი იყო ის პოლტიკური ცვლილება, რომელიც მოახდინა დავითმა თავის მამის და მის მოხელეების გადაყენებით, ახალის მთავრობის დამყარებით და წესიერების ჩამოგდებით.

ყოვლის უწინარეს დავით მეფე შეუდგა თურქების განდევნას მტკვრის ხეობითგან, სადაც ისინი ბინადრობდენ და საითგანაც დრო-გამოშვებით თავს ესხმოდენ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეს. მოუწოდა ხალხს, რომ შეედგინა ყველგან ადგილობრივი ჯარის რაზმები და გაბედულად დახვედროდა დასარბევად შემოსეულს თურქებს. მტერთაგან გათავისუფლების წადილით გამსჭვალული და დავით მეფის მოიმედე ხალხი ახლა კი მარჯვედ უხვდებოდა თურქებს და მამაცად ებრძოდა. თურქები, რომელნიც არ იყვნენ ჩვეულნი ასეთს გაბედულს მოქმედებას ქართველების მხრით, ყველგან მარცხდებოდენ და კადრულობდენ უკან დახევას. პირველის გამარჯვებით გამხნევებული ქართველები ახლა თვითონ სდევნიდენ თურქებს და ცდილობდენ მათ გაძევებას იმ ბინებითგან, რომელნიც მოკიდებული ჰქონდათ მტკვრის ხეობაში. ქართველების მხნეობას და სიმამაცეს ვერ უძლებდენ თურქები და იძულებულნი ხდებოდენ გაეწმინდათ მტკვრის ხეობა, სადაც სტოვებდენ მხოლოდ გაოხრებულს დაბა-სოფლებს. ამ აოხრებულს ადგილებში დავით მეფე ასახლებდა ხელახლა იმათ, ვინც თურქთა შემოსევისა გამო გახიზნულნი იყვნენ მთიანს

და მიუდგომელს ადგილებში. ხალხი არხეინად შეუდგა მშვიდობიანს შრომას და რავდენსამე წელიწადში ნივთიერად გამოკეთდა სრულებით. მართალია, თურქები კიდევ არ იშლიდნენ თავისას და ხან-და-ხან გაბედავდენ ხოლმე დასარბევად შემოსევას ხან ერთს, ხან მეორე კუთხეში, მაგრამ დიდის მარცხით უკუ იქცეოდენ ხოლმე ჩვეულებრივ.

2. **ზრუნვა შინაურის წესიერების დამყარებისთვის.**—მტრების მოშორების შემდეგ უმთავრესი საზრუნავი დავით მეფისა იყო შინაურის წესიერების დამყარება. უპირველესად დიდებულის აზნაურების თავნებობა იყო მიზეზი წესიერების დარღვევისა და ამიტომ მან მოითხოვა ყველა დიდებულთაგან მორჩილება. ვინც არ ასრულებდა მეფის ასეთს მოთხოვნას, შესაფერად ისჯებოდა. მაგ. დიდებული **ლიპარიტ ორბელიანი**, რომელიც ჰფლობდა დიდს მამულს ქართლში და რომელიც არ ასრულებდა მეფის მოთხოვნილებას წესიერების დაცვის შესახებ, შეპყრობილ და განდევნილ იქმნა საქართველოთგან.

შემდეგ უწესოების ჩამდენნი იყვნენ ზოგიერთი ეპისკოპოზები, რომელთაც ეპისკოპოზის ღირსება მიეთვისნათ არა იმიტომ, რომ ემსახურნათ ეკლესიისა და ერისთვის, არამედ იმიტომ, რომ ესარგებლათ საეკლესიო მამულებით. ამისთანა მწყეს-მთავრების ხელში ბევრი უწესოება დამყარდა და დაკანონდა როგორც თვით ეკლესიაში, ისე ერში. აი ამ უწესოებათა მოსასპობად დავით მეფემ მოიწვია 1103 წ. **საეკლესიო კრება** როგორც სასულიერო, ისე საერო პირთაგან. ამ კრებამ აღნუსხა ყველა უწესოებანი, გადააყენა ურიგო ეპისკოპოსები და დაადგინა მართებული წესები.

3. **კახეთის შემოერთება.**—საქართველოს შუაგულითგან თურქების განდევნის შედეგ დავითმა ხელი მიჰყო საქართველოს ნაწილების შემოკრებას. პირველად შეუდგა კახეთის შემოერთებას. კახეთის მეფედ იმ დროს იყო **კვირიკე.** დავითმა ძალით ჩამოართვა კვირიკეს ის ადგილები, რომლებიც მის მამამ აღსართანმა წაართვა გიორგი მეფეს. როდესაც კვირიკე მოკვდა და გამეფდა მისი ძმისწული **აღსართანი,** დავითმა მთელი კახეთი დაიჭირა კახეთის ზოგიერთის დიდებულების დახმარებით (1104 წ.).

4. **წართმევა თურქთაგან საქართველოს ციხეებისა და გალაშქრება შირვანსა და არაქსის ხეობაში.**—ამის შემდეგ იწყო დავითმა დაპყრობა. იმ ქალაქებისა, ციხეებისა და ადგილებისა, რომლებიც ეპირათ თურქებს. ერთი მეორის შემდეგ აიღო **სამშვილდე, რუსთავი, ლორი, აგარანი** და დაიჭირა მათი მიდამო ადგილები. დავითმა არ იკმარა ძირეულის საქართველოს ადგილების დაბრუნება და დაუწყო თურქებს დევა მეზობელის ქვეყნების მფარველობისათვის. მაგ 1117 წ. თავის სიძისს შირვანის მფლობელის თხოვნით დავითმა გაგზავნა შირვანში მაშველი ჯარი თურქების წინააღმდეგ. ამ ლაშქრობითგან ქართველები გამარჯვებულნი დაბრუნდნენ. აგრეთვე გამარჯვებულნი დაბრუნდენ ქართველები არაქსის ხეობაში გალაშქრებითგან, რომელიც მოახდინა დავითმა 1118 წ.

5 **სამუდამო ჯარის დაარსება ტყვეთაგან და ყივჩაყთაგან.**—თურქებთან განუწყვეტლივ საბრძოლელად დავით მეფეს „სჭირდებოდა მუდამ მზა და გაწვრთნილი ჯარი. ქართველები მხნედ და მარჯვედ იბრძოდენ, მაგრამ ეს გამუდმებული ბრძოლა აცდენდა ხალხს „შვი-

დობიანს შრომას, რომელიც ისე საჭირო იყო საქართველოს ნივთიერად აღსაორძინებლად. ამიტომ მეფემ იფიქრა ისეთი ღონე გამოეძებნა, რომ ქართველს ხალხს ხელი არ შეშლოდა მშვიდობიანის შრომისათვის და თან მასაც ჰყოლოდა მუდამ საომრად გამზადებული რაზმები. ასეთს ღონედ მან სცნო ჯერ ერთი მონასპის დაარსება და მეორედ ყივჩაყების მოწვევა. მონასპა დავით მეფემ შეადგინა მეზობელის ქვეყნების მიბაძვით გაქრისტიანებულის ტყვე თურქებისა და არაბებისაგან. ეს ჯარი, რიცხვით 5000 კაცამდე, მუდამ მზად იყო სალაშქროდ. ხოლო ყივჩაყები მოიწვია ცოლშვილით ჩრდილო-კავკასიითგან და დაასახლა საქართველოში იმ პირობით, რომ მშვიდობიანობის დროს უნდა შეემუშავებინათ მიცემული მამული და მზად ყოფილიყვენ სალაშქროდ გამოსასვლელად ყოველს წუთს. ესენი რიცხვით იყვნენ 50,000-მდე. მონასპას და ყივჩაყებს საჭიროების დროს დავით მეფე მიუმატებდა ხოლმე ქართველს ჯარსაც და ამნაირის ძალით ილაშქრებდა და უხვდებოდა მტერს.

6. **თურქების ცდა თავიანთ მფლობელობის დასაცველად და დავითის გამარჯვება მათზე.**— თურქები მეტად გაკვირვებულნი იყვნენ ქართველების გამოფხიზლებით და უფრო მხნედ ირჯებოდენ თავიანთ მფლობელობის შესანარჩუნებლად. ისინი ყოველს მარჯვე შემთხვევაში შემოესეოდენ ხოლმე საქართველოს, მაგრამ ყოველთვის დამარცხებულნი რჩებოდენ. როდესაც დაინახეს თურქებმა, რომ ქართველები არამც თუ თავიანთ არე-მარეს იცავდენ, არამედ სხვა ქვეყნებსაც უწევდენ მფარველობას და უერთებდენ თავიანთ სახელმწიფოს, გადაწყვიტეს ეხმარათ ყოველივე ძალღონე მის წინააღმდეგ. 1121 წ. ირანის მფლობელმა **მელიქ-**

თოღრულმა და სხვა საქართველოს მოსაზღვრე თურქთა მფლობელებმა შეაერთეს თავიანთი ჯარები და შეერთებულის ძალით, რომელიც უდრიდა 200,000 კაცს, შემოვიდენ საქართველოში. დავით მეფე დაუხვდა მათ დიდგორზე 55,000 კაცით და საშინლად დაამარცხა. ამ გამარჯვების შემდეგ თურქებს აღარ გაუბედნიათ საქართველოს არემარეში შემოსვლა.

7. **ტფილისის აღება. ანის შემოერთება.** კარგა ხანს დავით მეფე არას ერჩოდა ტფილისის ამირას და არ ჩქარობდა ამ ქალაქის აღებას. მართლაც და არც იყო საშური ტფილისის დაჭერა, რადგან ის აუცილებლად ჩაუვარდებოდა დავით მეფეს, როდესაც მის გარშემო მდებარე ციხე-ქალაქებს დაიჭერდა და თურქების მფლობელობას შემუსრავდა; 1121 წ. თურქების დიდგორზე დამარცხების შემდეგ დავითი მიადგა ტფილისსაც. ქალაქი ძალიან გამაგრებული აღმოჩნდა და საჭირო შეიქნა ხანგრძლივი ალყა. დავითმა აიღო იგი მხოლოდ რავდენისამე თვის გარემოცვის შემდეგ (1122 წ.).

ტფილისის აღების შემდეგ დავით მეფემ უფრო თავისუფლად დაიწყო ლაშქრობა შირვანისა და არაქსისაკენ და დაიპყრო კიდეც მთელი **შირვანი** დარუბანდამდე და მთელი **არქსის გამოღმა მხარე.** დავითის ძლიერებამ და კეთილ-კაცობამ ჩააგონა ანელს სომხებს, ეთხოვნათ მისთვის, რომ ქალაქი **ანი** და მის მიდამო ქვეყანა დაეჭირა თავისთვის და გაეთავისუფლებინა ამნაირად თურქთა მფლობელობისაგან. დავითმა შეუსრულა თხოვნა სომხებს და ანი და მის ქვეყანა დაიპყრო და შემოუერთა საქართველოს (1124 წ.)

8. **დავით მეფის პირადი ხასიათი და სა ფეეონ მოღვაწეობა:**—დავით მეფე იყო ᲐᲛᲐᲪᲘ, გონიე-

რი და მომთმენი, გულ-კეთილი და შემბრალებელი, თავდაბალი და ადამიანის მოყვარული. სწავლა-განათლება ჰქონდა მიღებული რაოდენადაც შეიძლებოდა იმ დროში საფუძვლიანი და სრული. მას აფრთოვანებდა ერთი აზრი. ეს იყო ხალხის ბედნიერება, რომელიც მოიპოვება ნივთიერის კეთილდღეობით, ზნეობრივის განკარგებით და გონებრივის განვითარებით. სწორედ ამ აზრის განხორციელებას წარმოადგენს მთელი მისი მოღვაწეობა.

ქართველს ხალხს არ შეეძლო თავისი ცხოვრება გაეუმჯობესებინა იმ დრომდე, ვიდრე თავისუფალი არ იქნებოდა უცხო ერის მფლობელობისაგან და საკმაოდ ძლიერი არ იქნებოდა, რომ მეზობლები აეძულებინა ხელი არ ეხლოთ მის დამოუკიდებლობისათვის. ამიტომაც იყო, რომ დავით მეფემ უარ-ჰყო თურქების მფლობელობა და მხნედ შეუდგა მათთან ბრძოლას. უძლური და დაღუპვის პირად მყოფი საქართველო დავით მეფემ სიძლიერის უზენაესს წერტილამდე მიიყვანა და შემოფარგლა ისეთის საზღვრებით, რომელთ იქით საქართველოს არას დროს არ გაუწევია წინად. ეს საზღვრები იყო: აღმოსავლეთით თეთრი ზღვა, დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით კავკასიის მთები და სამხრეთით არაქსი. მართალია, ამ საზღვრებში მოჰყვნენ უცხო ხალხნიც, მაგრამ დავით მეფემ არ მოუსპო ამ ხალხებს საკუთარი ეროვნული არსებობა და შეანარჩუნა მათ ადგილობრივი თვითმართველობა. თვით ტფილისშიაც კი, ამ საქართველოს დედა-ქალაქში, მის აღების შემდეგ, იქ დამკვიდრებულს არაბებს მიანიჭა თავიანთ საქმეთა თავისებურად წარმოების უფლება.

დამოუკიდებლობის მოპოების და პოლტიკურად გაძლიერების შემდეგ ხალხის ნივთიერის წარმატებისათვის საჭირო

იყო მისვლა-მოსვლის და გადაზიდ-გადმოზიდვის საშუალების განვითარება და სამართლიანის ურთიერთობის დამყარება მკვიდრთა შორის. ამიტომაც დავით მეფემ გაიყვანა მრავალი გზა-ტკეცილები და ააგო ხიდ-ბოგირები, შემოიღო საერთო და ყველასთვის სავალდებულო წესები და კანონები, დაადგინა მიუდგომელი და მოუსყიდველი მოსამართლეები

სამართლიანობის და წესიერების დამყარება, რასაკვირველია, ხელს უწყობდა ერის ზნეობრივს გაუმჯობესობასაც. მაშინდელს დროში ადამიანის ზნეობრივს მხარეს დიდი კავშირი ჰქონდა სარწმუნოებრივს ყოფასთან და ამიტომაც დავითი ცდილობდა სარწმუნოებრივის სიწმინდის დამკვიდრებას. მაგრამ ის არ იყო რომლისამე ერთის სარწმუნოების ბრმა მოთაყვანე, ის არ ფიქრობდა, რომ ადამიანი მხოლოდ ერთის სარწმუნოების გზით ცხონდებოდა, იმისთვის ყველა სარწმუნოება ერთნაირის პატივისცემის და შეწყნარების ღირსი იყო. ამიტომაც დავით მეფე თანაბარის გულ-კეთილობით ეკიდებოდა როგორც ქრისტიანებს, ისე მუსულმანებს, როგორც მართლმადიდებლებს, ისე გრიგორიანებს; ერთნაირად ხელს უწყობდა როგორც ეკლესიების აშენებას, ისე მეჩეთებსა; ერთნაირად მფარველობდა როგორც ეპისკოპოსებს და მღვდლებს, ისე მუფტიებს, ყადებს და მოლებს. მოძმეთა სიყვარული, დაჩაგრულთა და დავრდომილთა შებრალება, ავადმყოფთა შველა, რომელთაც ქადაგებს ყოველი სარწმუნოება, დავით მეფემ სახელმწიფო მოვალეობად აღიარა და შექმნა სახელმწიფო ხარჯით იმისთანა დაწესებულებანი, რომელნიც ასრულებენ ამ მოვალეობას: გამართა სამადლოები, სასტუმროები და საავადმყოფოები, სა-

დაც ათავსებდენ უძლურებს, თავს აფარებინებდნენ უბინაო მგზავრებს და უვლიდნენ ავადმყოფებს.

სწავლა-განათლება, ეს აუცილებელი პირობა ნამდვილის განვითარებისა როგორც ზნეობრივად, ისე ქონებრივად, შეადგენდა უდიდესს საზრუნავს დავით მეფისათვის. პირადად თითონ დიდი მოტრფიალე სწავლისა და წიგნებისა, ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, რომ გაევრცელებინა ხალხში სწავლა და წიგნები; აარსებდა სკოლებს, მფარველობდა მეცნიერებს და მწიგნობრებს და დიდს შემწეობას აძლევდა იმ მონასტრებს, სადაც გამართული იყო სასწავლებლები ან გაჩაღებული იყო მწიგნობრობა. დავითი ასეთის პატივით ეკიდებოდა არა მარტო ქართველს მეცნიერებს, არამედ უცხოებსაც. მაგ. ტფილისის აღების შემდეგ მეფემ დაუნიშნა პენსია არაბთა იმ პოეტებს და მეცნიერებს, რომელთაც მოისურვეს დარჩენა საქართველოში, ხოლო რომელთაც არ მოისურვეს დარჩენა, მათ მისცა საგზაო ფული და გაისტუმრა პატივით სპარსეთს. დავით მეფე არ სჯერდებოდა საქართველოში მიღებულს განათლებას და განსავითარებლად გზავნიდა ყმაწვილებს ბიზანტიაში.

დავითმა იმეფა 36 წელიწადი. გადაიცვალა 1125 წ. და დამარხულ იქმნა მის მიერვე აშენებულს გელათის მონასტერში. იმ ღვაწლისთვის, რომელიც მან დასდო საქართველოს, ისტორიამ უწოდა **აღმაშენებელი**, ხოლო საქართველოს ეკლესიამ ჩარიცხა წმინდათა შორის და მის ხსენებას დღესასწაულობს 26 იანვარს.

X

მეფე გიორგი მესამე.

ცნობების უქონლობა დიმიტრის მეფობის შესახებ.—ანის დაპერა ფადლონისაგან.—დამარცხება დოვინში. არზრუმის მფლობელის დატყვევება.—დიმიტრი მეფის შვილების გადამტერება, დიმიტრი მეფის ჩამოგდება და დავითის გამეფება.—დავითის სიკვდილი და გიორგის გამეფება.—ანის დაპერა და ლაშქრობა აშორნში.—ომი შაპერმანთან და მის მოკავშირეებთან.—ანის გამგებლების ცვლა.—დოვინის გამარჯვება.—ბრძოლა ელდგუ̆ზ-ათაბეგთან და მის მოკავშირეებთან.—ანის ქალაქის საქმეები.—ლაშქრობა შირვანში.—ორბელიანთა შეთქმულობა გიორგი მეფის წინააღმდეგ.—საეკლესიო კრება.—თამარის დანიშვნა ტახტის მემკვიდრედ.—შინაურის მშვიდობიანობის დამყარება.

1. **ცნობების უქონლობა დიმიტრის მეფობის შესახებ.**— დავით აღმაშენებელმა სიკვდილის წინ თვისი შვილი **დიმიტრი** გამოაცხადა მეფედ და გვირგვინი თვითვე დაადგა. დიმიტრიმ იმეფა 1125 წლითგან 1155 წლამდე სრული 30 წელიწადი, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულმა მატიანემ არ შეგვინახა არავითარი ცნობა ამ დროს შესახებ. მხოლოდ სომხის ისტორიკოსები გვატყობინებენ რავდენსამე ამბავს დიმიტრის დროისას, რაოდენადაც კი ეს ამბები შეეხება სომხებით დასახლებულს ადგილებს. ამ ცნობებითგან ჩანს, რომ დავით აღმაშენებელის დროს გაძლიერებულს საქართველოს დიმიტრის მეფობაში უხდებოდა ბრძოლა მეზობელს სახელმწიფოებთან თავის სამძღვრების და გავლენის დასაცავად.

2. **ანის დაპერა ფადლონისაგან.**— დავით აღმაშენებელისაგან ანის ქალაქის გამგებლად იყო დაყენებული **აბულეთ ორბელიანი.** დავითის სიკვდილის შემდეგ, 1126 წ. სპარსეთში მყოფი ანის უკანასკნელის ამირას (მფლობელის) შვილი **ფადლონი** სპარსთა ჯარით წამო-

ვიდა და მიადგა ანს, გამოდევნა აბულეთ ორბელიანი და დაიჭირა ქალაქი. ანი უქვე აღებული ჰქონდა ფადლონს, როცა დიმიტრი მეფე გაემართა მის წინაამდეგ. ფადლონმა დაინახა, რომ ცუდად იყო საქმე და სთხოვა დიმიტრის იგი ეცნო ანის მფლობელად. სამაგიეროდ დაჰპირდა ხარჯის ძლევას და მორჩილებას. დიმიტრი დათანხმდა და ამნაირად ანი დაუბრუნდა ისევ ძველის მფლობელის გვარს.

3. **დამარცხება დოვინში. არზრუმის მფლობელის დატყვევება.**—1135 წ. დიმიტრი მეფემ მიანდო **აბულეთ** და **ივანე ორბელიანებს** გალაშქრება დასაპყრობლად **დოვინის** ქალაქისა, რომელიც სამის წლის წინად დაიჭირეს სპარსელებმა მოულოდნელად. ქართველები შეებრძოლნენ სპარსელებს, რომელთაც წინამძღოლობდა ათაბაგი **ელდიგუზი**, და დამარცხდენ. ორბელიანები ტყვედ ჩაუვარდენ მტრებს. ელდიგუზმა ამ სასიხარულო ამბის მუდამ მოსაგონებლად დააჭრევინა თავები დახოცილის ქართველებისა, მოახარშვინა და ძვლები დააწყობინა დოვინის მინარეთის სახურავზე და ქალაქის კედლებზე. დიმიტრი მეფემ მხოლოდ ორის წლის შემდეგ (1137 წ.) გაილაშქრა და დაიხსნა ქართველი ტყვეები.

1153 წ. არზრუმის მფლობელი **სალდუხი** შემოესია საქართველოს და მიადგა ანის ქალაქს. დიმიტრი მეფემ ანის დასაცველად გაგზავნა ჯარი, რომელმაც დაამარცხა თურქები და თვით სალდუხიც დაატყვევა.

4. **დიმიტრი მეფის შვილების გადამტერება, დიმიტრი მეფის ჩამოგდება და გამეფება ლავითისა.**—დიმიტრის მეფობაში დიდებულთა შორის გამოჩენილნი იყვნენ უმეტესად ორბელიანები, რომელთაც დიდი თანამდებობანი ეჭირათ სახელმწიფოში. ამ ორბელიანთა ჩაგონებით ჩამოვარდა უსიამოვნება და მტრობა

დიმიტრის შვილების **დავითის** და **გიორგის** შორის. დიმიტრი მეფემ დაიჭირა გიორგის მხარე, რის გამოც დავითი მამის უკმაყოფილო შეიქმნა. საქმე იქამდის მივიდა, რომ დიმიტრიმ 1150 წ. თავის მემკვიდრედ გამოაცხადა გიორგი, უმცროსი შვილი. ამან ხომ უფრო გააბრაზა დავითი და მისი მომხრენი. ამათ შეთქმულობა გამართეს 1155 წ. და აიძულეს დიმიტრი, რომ მეფობაზე ხელი აეღო და ბერად შემდგარიყო. დავითმა თავის თავი მეფედ გამოაცხადა.

ძალად გამეფებულმა დავითმა ამოხოცა ბევრი დიდებული, რომელნიც გიორგის მომხრეობდენ, და დაუწყო დევნა ყველას, ვინც საეჭვოდ მიაჩნდა. მოსალოდნელი იყო დიდი უბედურება, თუ მალე არ მომკვდარიყო დავითი.

5 **დავითის სიკვდილი და გიორგის გამეფება.**—დავითმა იცოცხლა მხოლოდ ექვსს თვეს. ამბობდენ, ვითომ იგი მოეწამლოს სუმბატ ორბელიანს, იმიტომ რომ მას წაართვა ამირსპასალარობა და მისცა **თირქაშ ორბელიანს.** მომაკვდავმა დავითმა მეფობა უანდერძა თავის მცირეწლოვანს შვილს **დიმიტრის,** ხოლო სამეფოს გამგედ შვილის დავაჟკაცებამდე დანიშნა თავის ძმა გიორგი. აღზრდა თავის შვილისა მიანდო **ივანე ორბელიანს.**

დავითის სიკვდილის შემდეგ სამეფოს მართვას შეუდგა ძმა მისი გიორგი, რომელმაც მიუხედავად დავით მეფის ანდერძისა თავის თავი მეფედ გამოაცხადა (1156 წ.). ასეთი საქციელი გიორგიმ დააფუძნა იმაზედ, რომ დავითი ძალად იყო გამეფებული, მის საკვდილის შემდეგ მამა მისი კიდევ ცოცხალი იყო და მაშასადამე მეფობა ისევ მას უნდა დაბრუნებოდა. მაგრამ რაკი დიმიტრი

ბერად იყო შემდგარი და აღარ ინება გამეფება, მეფობა ეკუთნოდა მას, ვინც წინადვე იყო გამოცხადებული მეფედ თვით დიმიტრი მეფისგან, ე. ი. გიორგის.

6. **ანის დაჭერა და ლაშქრობა აშორნში.**—მას აქეთ, რაც ანი ისევ ძველის მფლობელის ჩამომავალმა დაიჭირა, მისი მფლობელები მუდამ მეცადინეობაში იყვნენ სრულებით გათავისუფლებულიყვნენ საქართველოს დამოკიდებულებისაგან. ასეთს მეცადინეობას გიორგის მეფობის დასაწყისში ზედ დაერთო ანის მფლობელის გვარის წევრთა შორის ქიშპი და დავა. **ფადლონმა** თავის ძმას **შადადს** წაართვა ანის მფლობელობა და ატყდა ამიტომ მათ შორის დავიდარაბა. ამ დავიდარაბის მოსასპობად და ქალაქის მტკიცედ დასაკავშირებლად საქართველოსთან გიორგი მეფემ 1161 წ. დაიჭირა ეს ქალაქი, განდევნა ფადლონი და გამგებლად დააყენა ივანე ორბელიანი. აქედგან გაილაშქრა აშორნში, რადგან ამ ქვეყნის მფლობელი შაჰ-ერმანი ხელს უწყობდა ანის მფლობელთა მისწრაფებას.

7. **ომი შაჰერმანთან და მის მოკავშირეებთან.** —ქართველების დაბრუნების შემდეგ შაჰ-ერმანი შეუდგა სამზადისს ქართველთათვის სამაგიეროს გადასახდელად. მიიშველია **სირიის**, **მესოპოტამიის**, **დიარბექირის** და **არზრუმის** მფლობელები და იმავე წელს მიადგა ანის ქალაქს, ერთის ისტორიკოსის თქმით, 80,000 ჯარის კაცით. გიგო თუ არა ეს ამბავი გიორგიმ, სწრაფად შეაგროვა 7000 კაცი და დაუყოვნებლად გაეშურა ანისკენ. პირველსავე შეხვედრაზე ქართველებმა დაამარცხეს მტრები და გააქციეს. გამარჯვება ისე დიდი იყო, რომ ქართველთაგან დატყვევებულთა რიცხვი ადიოდა 23,000 კაცამდე. ტყვეთა შორის ერია არზრუმის სულთანი სალ-

დუხი, რომელიც რვა წლის წინადაც იმავე ანის ქალაქთან ტყვედ ჩაუვარდა დიმიტრი მეფეს.

8. **ანის გამგებლების ცვლა.**—იმისთვის რომ ანი უფრო ერთგული ყოფილიყო, გიორგი მეფემ ამ ქალაქის გამგებლად დანიშნა ანელივე სომეხი **სათუნი.** მაგრამ მოსტყუვდა. სათუნი არ გამოდგა სანდო კაცი, ის აჰყვა მეზობელის მფლობელების ინტრიგას. გიორგი მეფემ ამის გამო ჩამოართვა გამგეობა და მის მაგიერ დანიშნა **სარგის მხარგრძელი,** ხოლო გაქცეული სათუნი შემდეგში შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა ღალატისათვის.

9. **დოვინის გამარჯვება.**—დოვინი 1132 წლის აქეთ ისევ სპარსელებს ეჭირათ. გიორგი მეფემ ამ ქალაქის დასაბრუნებლად გაილაშქრა 1162 წ. ქართველებმა აიღეს ქალაქი და დიდის პატივისცემით მოიხსენიეს 1135 წ. დახოცილი ჯარის-კაცები, რომელთა თავის-ქალები კიდევ ელაგა თვალსაჩინოდ მინარეთის სახურავზე და ქალაქის კედელზე. მეფის ბრძანებით ეს თავის-ქალები მოწიწებით ჩამოიღეს, ჩაალაგეს კუბოებში და ზედ ოქროქსოვილები დაუფარეს. შემდეგ ძვლებით სავსე კუბოები აჰკიდეს ზურგზე მუყრებს (მუსულმანთა სასულიერო პირები) და ფეხშიშველებს წააღებინეს ტფილისში. თვით მინარეთი, რომელიც ოცდაშვიდის წლის განმავლობაში ახსენებდა დვინელებს ქართველების დამარცხებას, დაარღვიეს. ამას გარდა ქართველებმა წამოიყვანეს ტყვედ 60,000 კაცამდე.

10. **ბრძოლა ელდიგუზ ათაბაგთან და მის მოკავშირეებთან.**—გიორგი მეფის ასეთის გამარჯვების შემდეგ ათაბაგმა ელდიგუზმა მოუწოდა მეზობელს მფლობელებს და სთხოვა გაელაშქრათ ქართველებზე. მეზობ-

ლებმა თანხმობა გამოუცხადეს და შეუდგნენ სამზადისს. ელდიგუზმა არ დაუცადა მათთან შეერთებას და თავის ჯარით გადმოვიდა საქართველოს სამზღვრებზე (1163 წ.), დაიჭირა გაგის ციხე და იწყო მიდამო ქვეყნის აკლება. ამ ამბის გაგებისათანავე გიორგი მეფე სწრაფად გაემართა დასახვედრად. ქართველების მიახლოვებაზე ელდიგუზი უკან გაბრუნდა. გაორგი მეფეს უნდოდა დასდევნებოდა უკან, მაგრამ დიდებულების რჩევით შეჩერდა და დარწმუნებულმა, რომ მტერი ველარ გაბედავდა ხელმეორედ შემოსევას, ჯარი დაითხოვა, ხოლო თითონ მცირეოდენის რაზმით დარჩა ლორისა და დმანისის შორის და დაიწყო ნადირობა.

გაქცეულს ელდიგუზს მალე შეუერთდენ მოკავშირეები. ამათ გადასწყვიტეს პირველად აეღოთ ანი. ამ ქალაქს მიადგა 50,000 მტრის ჯარი. აქ მალე შეიტყეს, რომ გიორგი მეფე იმყოფებოდა ლორის ახლო. რადგანაც წარმოდგენა არა ჰქონდათ, თუ რაოდენი იქნებოდა მის რაზმი, გაგზავნეს მეფესთან ვითომ მოციქულად მზვერავები. როდესაც მტრებმა გაიგეს მოციქულებისაგან, რომ მეფე თითქმის მარტოდ იმყოფებოდა უჯაროდ, მაშინთვე გამოგზავნეს მეფის შესაპყრობლად საკმაოდ დიდი ჯარი. ეს ჯარი მივიდა ქართველების ბანაკთან დილა-ადრიან, როდესაც ჯერ კიდევ ეძინათ მეფესაც და მის მხლებლებსაც. მტრის ხმაურობაზე გამოღვიძებული ქართველები ფიცხლავ მოახტნენ ცხენებს. გულ-ფიცხი და მამაცი მეფე მზად იყო შებმოდა მტრებს, მაგრამ დიდებულებმა ურჩიეს გაქცევით თავის დახწევა აუარებელის მტრისაგან. ხელცარიელი გაბრუნდა მტრის ლაშქარი ანისაკენ. მოკავშირეები რავდენსამე ხანს მეცადინეობდნენ ანის აღებას, მაგრამ ვერც ეს მოახერხეს და იძულებულები

გახდენ უკან წასულიყვნენ და სრულებით ხელი აეღოთ ლაშქრობაზე.

11. **ანის ქალაქის საქმეები.** — ხელი არ აიღეს მხოლოდ ანის ძველის მფლობელის გვარის წევრებმა თავიანთ მეცადინეობაზე, რომ როგორმე დაებრუნებინათ თავიანთ მფლობელობა ანში. ისინი უგზავნიდნენ გიორგი მეფეს მოციქულებს და ჰპირდებოდენ ერთგულობას და მორჩილებას, თუ დაუბრუნებდა ანს მათთვის შუამდგომლობდნენ თვით ხორასნის სულთანი და ელდიგუზ ათაბაგი. გიორგიმ დაინახა, რომ ისინი არ დაწყნარდებოდნენ თუ არ შეასრულებდა იმათ თხოვნას, და ამიტომ დააბრუნა ისინი ანში და ანის მფლობელად დაამტკიცა **ასლან** მაჰმადის შვილი. მაგრამ ანის ძველის მფლობელების ჩამომავალნი არ ასრულებდენ მორჩილების აღთქმას და იჭერდენ მეზობელს სახელმწიფოებთან კავშირს საქართველოსაგან გასადგომად. ასე მოიქცა ასლანის მემკვიდრე **მირ-შაჰი**. ამიტომ გიორგი მეფემ წაართვა მას ანი და გააწესა გამგებლად ივანე ორბელიანი (1174 წ.) ამირ შ.ჰს წაექომაგა თურქების სულთანი ალპარსლანი და მიადგა ანის ქალაქს, მაგრამ ვერ ნოახერხამისი აღება და უკანვე დაბრუნდა.

12. **ლაშქრობა შირვანში.** — ელდიგუზ ათაბაგის დამარცხების შემდეგ მტრის შემოსევას აღარ შეუწუხებია საქართველო. თუ წვრილმანს დარბევას გაბედავდენ ხოლმე რომელსამე სამზღვარზე, გიორგი მეფე უსევდა ჯარს და ბევრ-კეცად უხდიდა სამაგიეროს. 1167 წ. გიორგი მეფეს მოუხდა ლაშქრობა დარუბანდელების წინააღმდეგ, რომელთაც გამოაძიეს შირვანის მფლობელი აღსართანი—მორჩილი და მონათესავე მეფისა (დავით აღმაშენებელის შვილის შვილი). ქართველებმა განდევნეს შირვანითგან დარუბანდელნი და დაამკვიდრეს შირვანში აღსართანი.

13. **ორბელიანთა შეთქმულება გიორგი მეფის წინააღმდეგ.**—გიორგი მეფე იყო მხნე, მამაცი და მტკიცე ხასიათის კაცი. ასეთის თვისების გამო დიდებულებს არ შეეძლოთ იგი ჩაეგდოთ თავიანთ გავლენის ქვეშ, რის გამოც უკმაყოფილონი იყვნენ. ყველაზედ მეტად უკმაყოფილებას გრძნობდნენ ორბელიანები, რომელთაც მისი მამა დიმიტრი ხელთ ეჭირათ და ამიტომ მის მეფობაში დიდი გავლენა ჰქონდათ. თავიანთ გავლენის აღდგენას საქართველოში ახლა ორბელიანები ამყარებდენ მეფის ძმის წულს დიმიტრიზე, რომელიც დავით მეფემ მათ მიანდო ასაზრდელად. რადგან გიორგი მეფეს არა ჰყავდა ვაჟი-შვილი, დიმიტრი თავისთავად უნდა გამხდარიყო მეფედ გიორგის სიკვდილის შემდეგ. უეჭველია, როდესაც ის გამეფდებოდა, ორბელიანებიც გავლენას მოიპოვებდენ თავიანთ აღზრდილის წყალობით. მაგრამ ამ დიდებულთა გვარმა ვერ მოითმინა დიმიტრის კანონიერად გამეფებამდე და მოინდომა გიორგის სიცოცხლეშივე გაემეფებინა ის, მით უფრო რომ ორბელიანებს ჰქონდათ ვითომ საფუძველი გიორგის სიცოცხლეშივე დიმიტრის გამეფების კანონიერებისა. დიმიტრის მამამ დავით მეფემ სიკვდილის წინ ტახტი უანდერძა თავის შვილს, სამეფოს გამგებლობა კი მის სრულ-წლოვანობამდე მიანდო თავის ძმას გიორგის. ორბელიანებმა ხელი ჩასჭიდეს დავით მეფის ასეთს განკარგულებას და მოინდომეს მის ძალით დიმიტრის გამეფება და გიორგის ტახტითგან გადაყენება, როდესაც დიმიტრი სრულ-წლოვანი შეიქნა. ორბელიანებმა მიიმხრეს ბევრი სხვა დიდებულებიც და 1177 წელს შეუდგნენ თავიანთ სურვილის განხორციელებას. გადაწყვეტილი იყო, დიმიტრის მომხრეებს უნდა სომხეთში ორბელიანთ მამულში მო-

ეყარათ თავი, იქითგან მოულოდნელად დასცემოდენ ტფილისში გიორგი მეფეს, შეეპყრათ იგი და დიმიტრი გამოეცხადებინათ მეფედ.

გიორგი მეფემ შეიტყო ორბელიანებისა და სხვა დიდებულების განძრახვა და თავისებურის სისწრაფით გადაწყვიტა შეთქმულობის ჩაშლა და შეთქმულთა დამხობა. ხელად შეკრიბა 5,000 კაცი და გაგზავნა სომხეთში **ყუბასარის** წინამძღოლობით. რავდენისამე დღის შემდეგ თითონაც გაემართა იქითკენ სხვა ჯარით. ეს ამბავი რომ გაიგეს შეთქმულობის მონაწილეთ, სახტად დარჩნენ და შეშინდნენ, რადგან იმათ უფრო მოულოდნელად მეფეზე თავდასხმის იმედი ჰქონდათ. ახლა კი თვითონ მეფე ესხმოდა მათ მოულოდნელად. ბევრმა დიდებულმა არჩია მაშინვე გიორგის მხარეზე გადასვლა და შეწყნარების თხოვნა. ორბელიანებმა რომ დაინახეს ერთის მხრით გიორგი მეფის მათ წინაამდეგ ამხედრება, მეორე მხრით ზოგიერთა თავიანთ მომხრეების გადასვლა მეფის მხარეზე, არჩიეს გამაგრება ლორის ციხეში. გიორგი მეფემ დაიპირა მამულები ორბელიანებისა და მათ მიმდგომის აზნაურებისა და სხვა დიდებულებისა. აქ გიორგი მეფემ ვაიგო, რომ ორბელიანების დასახმარებლად კახეთში მოეგროვებინათ იქაურს დიდებულებს ჯარი და აპირებდენ სომხეთისკენ წამოსვლას. მაშინვე მეფემ გაგზავნა ჯარი კახეთისკენ **ჭიაბერის** წინამძღოლობით. ჭიაბერმა დაამარცხა განდგომილთა ჯარი და შეიპყრო უმთავრესი მოთავენი.

ლორის ციხეში გამაგრებულმა ორბელიანებმა გაგზავნეს დიმიტრის სახელით მოციქულები შაჰ-ერთმანთან და ადირბეჯანის მფლობელთან შემწეობის სათხოვნელად. გიორგი მეფე მიადგა ლორის ციხეს და შემოარტყა ალ-

ყა. გარემოცვამ გასტანა დიდხანს. შემწეობა არსაიდ-
გან მოსდიოდათ ორბელიანებს. ბევრს ციხეში გამომ-
წყვდეულს გული გაუტყდა, დაეკარგა გამარჯვების
იმედი და გადასწყვიტეს დანებებოდენ მეფეს. მხოლოდ
ორბელიანები იყვნენ ამის წინააღმდეგ და არ ნდომუ-
ლობდნენ დამორჩილებას. მაშინ ბევრნი დიდებულთა-
განნი საიდუმლოდ ჩამოეშვნენ საბელის შემწეობით
ციხის კედელზე და მივიდნენ მეფესთან. აგრეთვე მოიქ-
ცა დიმიტრი, რომელიც ყელზე საბელ-მობმული მივიდა
ბიძასთან და სინანული გამოუცხადა. ამის შემდეგ ბევრს
ხანს ვერ გასძლეს ციხეში ორბელიანებმა, ისინიც გამო-
ვიდნენ ციხითგან და დანებდენ მეფეს. ორბელიანები
უკვე გიორგი მეფის ხელთ იყვნენ, როდესაც სპარსეთით-
გან მათის თხოვნით დაიძრა 60,000 კაცი დიმიტრის
მოსაშველებლად. ამ ჯარმა გზაში გაიგო დიმიტრის შეპ-
ყრობა და უკანვე დაბრუნდა.

გიორგი მეფემ მკაცრათ დასაჯა განდგომილები. დი-
მიტრი დააბრმავა და გამოასაჭურისა, ესე იგი ისე დაა-
მახინჯა, რომ შვილი აღარ ეყოლებოდა. ორბელიანებს
კი ზოგს სიკვდილი მიუსაჯა, ზოგს დაბრმავება და ზოგს
განდევნა საქართველოთგან. მათი მამული კი დაურიგა
თავის ერთგულს დიდებულებს. მამულის წართმევითვე
დასაჯა ორბელიანთაგან დამოკიდებული აზნაურები და
სხვა მათი მომხრე დიდებულები.

14. **საეკლესიო კრება.**—1178 წ. გიორგი მეფემ
მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც იქონია მსჯე-
ლობა ეკლესიის სხვა და სხვა საჭიროების შესახებ და
მოახსენა მეფეს თავის განაჩენი შესასრულებლად.

15. **თამარის დანიშვნა ტახტის მემკვიდრედ.**—
დიმიტრი, როგორცა ვთქვით ითვლებოდა გიორგის მემ-

კვიდრედ, მაგრამ მის გამოსაჭურისების და დაბრმავების შემდეგ მისი გამეფება აღარ შეიძლებოდა. გიორგი მეფეს ახლა საზრუნავი გაუხდა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მის შემდეგ მეფედ. მახლობელი ნათესავი აღარავინ ჰყავდა, რომ იმისთვის გადაეცა მემკვიდრეობა. ამ ზრუნვაში გიორგის აზრათ მოუვიდა თავის ქალის **თამარის** გამეფება. მართალია, ქალი მანამდე არ ყოფილიყო საქართველოში მეფედ, მაგრამ გიორგის საღს ჭკუას არ ეუცხოვა ის აზრი, რომ ჭკვიანს ქალს შეეძლო ისეთივე მეფობა გაეწია, როგორც ვაჟს. თავის ქალის სიჭკვიანე კი მისთვის ცხადი იყო. ქალის გამეფების აზრი და მეტადრე თამარისა არ ეუცხოვათ არც მეფის მრჩეველს დიდებულებს. თამარის გამეფების უზრუნველ-საყოფელად გიორგი მეფემ მოინდომა მის გამეფება თავის სიცოცხლეშივე. 1178 წ. მიიწვია ნაჭარმაგევში (გორის ახლო) კათოლიკოზი, ეპისკოპოზები, დიდებულები და ჯარი, მათ წინაშე დიდის ამბით გამოაცხადა თამარი მეფედ და დააგვირგვინა.

16 **შინაურის მეფიდოგიანოგის დამეარეგა.**— ორბელიანთ განდგომილებაში მონაწილე აზნაურთ და დიდებულთ დასჯას მამულების წართმევით ერთი სამწუხარო შედეგი მოჰყვა. უშრომელად ცხოვრებას მიჩვეულს აზნაურებს უმამულოდ დატოვების გამო მეტად გაუძნელდათ ცხოვრება და ამიტომ მიმართეს იარაღით საზრდოს მოპოვებას, ე. ი. დაიწყეს მცარცველობა. ქვეყანა მეტად შეწუხდა გამბედავის ყაჩაღების ცარცვისაგან და დაიწყეს მეფესთან ჩივილი და შემწეობის თხოვნა. ამ ცარცვა-ყაჩაღობის მოსასპობად გიორგი მეფემ შეადგინა 1180 წ. ჯარის რაზმები და უბრძანა, მოეარნათ ყველა კუთხეები, სადაც ავაზაკობა ხდებოდა,

დაეპირათ ყაჩაღები და შემდეგ ჩამოერჩოთ იმ ნივთებითურთ, რომელნიც მათ ამოაჩნდებოდათ ნაცარცვი. მეფის ბრძანება სავსებით შესრულებული იქმნა და ამგვარის ღონისძიებით მალე მოისპო ყაჩაღობა.

უკანასკნელი წლები გიორგი მეფემ მშვიდობიანად გაატარა და გადაიცვალა 1184 წელს.

XI

თამარ მეფე.

მეზობლების ასევა თამარის გამეფების გამო.—დიდებულთა არეულობა.—თამარის დაქორწინება გიორგი რუსზე.—გიორგი რუსის სიავე და მისი განდევნა.— თამარის მეორედ დაქორწინება.—ამბოხება დავით სოსლანის წინაამდეგ.—დავით სოსლანის პირველი ლაშქრობანი.—გიორგი რუსის შემოსევა კახეთს.—შამქორის ომი.—საქართველოს საზღვრების გაფართოვება.—ბოლოსტეკის ომი.—ტრაპიზონის იმპერიის დაარსება.—დავით სოსლანის სიკვდილი.—არდებილის სულთნის თავდასხმა ანზე და არდებილის აკლება ქართველთაგან.—ლაშქრობა სპარსეთში.—ქვეყნის სიმდიდრე და კულტურული განვითარება.—თამარ მეფის პირადი ღირსებანი.

1. **მეზობლების ასევა თამარის გამეფების გამო.**—თამარის გამეფებამ ფრთები შეასხა და იმედი მისცა ერთის მხრით გარეშე მტრებს, მეორე მხრით შინაურის წესებით უკმაყოფილოებს. გაიგეს თუ არა ქალის გამეფება საქართველოში, მტრებმა იწყეს მოურიდებლად შემოსევა სხვა-და-სხვა მხრითგან. მაგრამ ქართველებმა ყველგან შესაფერი პასუხი გასცეს მათ და დაარწმუნეს ისინი, რომ ქალის გამეფებას არაფერი ცვლილება არ

მოჰყოლია იმ წესებში, რომლებიც შემოღებული ჰქონ-
დათ წინანდელს მეფეებს საზღვრების დასაცველად.

2. **დიდებულთა არეულობა.**—უფრო საშიში იყო
შინაური განხეთქილება, რომელმაც იჩინა თავი თამარის
მეფობის პირველსავე წელს დიდებულთა შორის. დიდე-
ბულთა ერთმა ნაწილმა გამოაცხადა, აღარ დავემორჩი-
ლებით ზოგიერთს ძველს ხელისუფლებს, ისინი უნდა
გამოცვლილ იქმნენ და ახლები დაინიშნენ ჩვენის არჩე-
ვითაო. ეს უკმაყოფილო დიდებულები იყვნენ დიდის
გვარის შვილები და არ მოსწონდათ ის, რომ უმაღლესი
სახელმწიფო თანამდებობანი ეჭირათ უგვარო პირებს.
მათს უკმაყოფილებას, მართლა, ჰქონდა ზოგიერთი სა-
ფუძველი, რადგან იყო მაგალითები იმისი, რომ ზოგს
დიდი თანამდებობა ებარა, თუმცა შრომა აღარ შეეძლო,
როგორც მაგალითად **ყუბასარს**, რომელსაც ეჭირა ამირ-
სპასალრისა და მანდატურთ-უხუცესის თანამდებობანი,
იმ დროს როცა ფილენჯის გამო აღარ უვარგოდა არც ენა,
არც ხელ-ფეხი; ზოგი უღირსად იყო ამაღლებული უმა-
ღლესს ხარისხამდე მეფის პირადის წყალობით, როგორც,
მაგალითად, მსახურთუხუცესი **აფრიდონი.** ხსენებულმა დი-
დებულებმა და მათ ჩაგონებით ჯარმაც მოითხოვეს ამ ორის
ხელისუფლის დამხობა და გადაყენება სამსახურითგან.
თამარმა შეიწყნარა ეს მოთხოვნილება და ჩამოართვა ერთ-
საც და მეორესაც თანამდებობა. ამ გარემოებამ გამოიწვია
დიდებულთა შორის დიდი ქიშპი ადგილების დაჭერის
გამო და გაიმართა გაუთავებელი ინტრიგა.

ამ ქიშპობის დროს თავი იჩინა მეჭურჭლეთ-უხუ-
ცესმა **ყუთლუ-არსლანმა.** მართალია, ეს ხელისუფალი
დიდის გვარის ჩამომავალი არ იყო, მაგრამ ამაღლების
სურვილი დიდი ჰქონდა. მან შეადგინა დიდებულთაგან

პარტია, მიიმხრო ლაშქარი და მოითხოვა, რომ თამარ მეფეს დაეთხოვნა სამსახურითგან ან გაეწესებინა მოხელეებად ისინი, რომელთაც დიდებულთა კრებული აღნიშნავდა. თვითონ ყუთლუ-არსლანმა მოინდომა თავისთვის ამირ-სპასალარის ადგილი. თამარ მეფეს მეტად უცხოდ ეჩვენა ყუთლუ-არსლანის საქციელი და დანარჩენთ დიდებულთა რჩევით დააჭერინა იგი. მისმა მომხრე დიდებულებმა და ლაშქარმა მოინდომეს ძალით გაეთავისუფლებინათ ყუთლუ-არსლანი და კედევაც აიღეს ხელში იარაღი; მაგრამ მათ დასაწყნარებლად თამარმა მიმართა მშვიდობიანს გზას — სიტყვიერს ჩაგონებას, რაიცა მიანდო ორს პატივცემულს მანდილოსანს — **ხვაშაქ ცოქელს** და **კარავ ჯაყელს**. იმათ პირით მეფე დაჰპირდა აჯანყებულებს სრულს პატივებასა, თუ დაწყნარდებოდენ. გასჭრა მანდილოსნების მოლაპარაკებამ და დიდებულები მივიდნენ თამართან პატივების სათხოვნელადა.

დიდებულთა საერთო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თამარმა გამოაცხადა, რომ ხელისუფალთა დანიშვნას ისე, როგორც ყოვლისავე სახელმწიფო საქმის გარდაწყვეტას, თვითონ-კი არ იკისრებდა მარტოდ-მარტო, არამედ ყველაფერში დაეკითხებოდა მთელის სახელმწიფოს დიდებულთა კრებულს. ამნაირად თამარ მეფემ უარჰყო თვითმპყრობელობა, რომელსაც იცავდენ და ესწრაფოდნენ მისი წინაპრები და თავისი უფლება განსაზღვრა დიდებულთა კრებულით. ამ წესის მიხედვით, დიდებულთა კრებულმა აარჩია ახალი ხელისუფალნი, რომელნიც მინისტრების თანამდებობას ასრულებდნენ: მწიგნობართ-უხუცესად და ჭყონდიდლად **ანტონ გელოვანი**, ამირ-სპასალარად **სარგის მხარგძელი**, მანდატურთ-უხუცესად **ჭიაბერი**, მსახურთ-უხუცესად **ვარდან დადია**-

ნი, მეტურფლეთ-უხუცესად **კახაბერ ვარდანიძე**, ჩუნჩერახად **მარუშიანი**, ამილახორად **გამრეკელ თორელი**. ამ ხელისუფლების საშუალებით თამარი ასრულებდა ყოველს სახელმწიფო საქმეს. ისინი, როგორც დიდებულები, მონაწილეობას იღებდნენ დიდებულთა ბჭობაში. დიდებულთა კრებული ერთის მხრით იხილავდა და იწონებდა მეფის წინადადებას, მეორე მხრით თავის საკუთარს აზრს უდგენდა მეფეს შესასრულებლად.

3. **თამარის დაქორწინება გიორგი რუსზე.** — ამ ცვლილების მოხდენის შემდეგ დიდებულთა კრებულმა პირველ საზრუნავს სგნად გაიხადა თამარისთვის საქმროს მოძებნა და მისი დაქორწინება. საქართველოს სამეფო გვარში აღარავინ იყო ისეთი, რომ ტახტის მემკვიდრის უფლება ჰქონოდა. ამიტომ საჭირო იყო თამარის მალე გათხოვება, რომ მემკვიდრე გასჩენოდა. ბევრი იფიქრეს დიდებულებმა, აიღ-დაიღეს და ბოლოს საუკეთესო საქმროდ თამარისათვის რუსის დიდის მთავრის ანდრიას შვილი **გიორგი** სცნეს. იმ დროს გიორგი ყივჩაყეთში ცხოვრობდა, რადგანაც განდევნილი იყო რუსეთითგან მის ბიძის ვსევოლოდის მიერ. გარეგნობით ძალიან მოეწონათ დიდებულებს გიორგი რუსი და წინადადება მისცეს თამარს, იგი შეერთო ქმრად. თამარი არ დაკმაყოფილდა საქმროს მოსაწონის გარეგნობით და სთხოვა დიდებულებს, დაეცადნათ იმ დრომდე, ვიდრე კარგად გაიცნობდენ გიორგი რუსის ხასიათს და ზნეობასა. დიდებულებმა შეუძლებელად სცნეს დაცდა და სთხოვეს თამარს, დაუყოვნებლად დაეწერა ჯვარი. ამასვე ურჩევდა თამარს მისი მამიდა რუსუდანი. თამარი იძულებული შეიქმნა მისთხოვებოდა გიორგი რუსს თავის სურვილის წინააღმდეგ (1185 წ.).

4. **გიორგი რუსის სიავე და მისი განდევნა.** —გიორგი რუსი ვერ გამოდგა რიგიანი კაცი. მართალია, მამაცი იყო და კარგი მხედართ-მთავარი, მაგრამ მასთან ლოთი და უზნეოც. ბევრს ეცადა თამარი მოეშლევინებინა გიორგი რუსისთვის ცუდი ქცევა, მაგრამ ვერას გახდა. ამიტომ სრულებით ხელი აიღო ბოლოს და აღარ იკარებდა. ამ ყოფაში გაატარა თამარმა ორწელიწად-ნახევარი. ნახეს დიდებულებმა, რომ მათი გარიგებული საქმე ცუდად გათავდა, ძალად შერთული ქმარი არ გამოდგა სასურველი თამარისათვის და მემკვიდრე, რომლისთვისაც ისე დაჟინებით მოინდომეს თამარის ქორწინება, არ გაუჩნდათ. ამიტომ დაადგინეს თამარი გიორგის განშორებოდა. გიორგი რუსი საქართველოთგან კონსტანტინოპოლს გაისტუმრეს (1188 წ.).

5. **თამარის მეოთხედ დაქორწინება.**—ახლა მეოთხე საქმროს ძებნას შეუდგნენ დიდებულები თამარისათვის. თამარის ხელის მაძიებელნი ბევრნი იყვნენ როგორც ქართველთა შორის, ისე უცხო ხელმწიფეთა შორის. ამ ჯერობაზედ დიდებულები აღარ მოიქცნენ ისე თავნებად, როგორც პირველად: თამარის საქმროდ იმისთანა კაცის ძებნა დაიწყეს, რომ თვით თამარისთვისაც მოსაწონი ყოფილიყო. ასეთს საქმროდ სცნეს ოსეთის მთავრის შვილი **დავით სოსლანი**, რომელიც როგორც ბაგრატიონთა გვარისშვილი და შორეული ნათესავი, შვილობილად ჰყავდა გაზრდილი თამარის მამიდას რუსუდანს თვითონ თამართან ერთად. დიდებულთა ასეთი არჩევა, როგორც თავის გულის წადილის შესაფერი, მიიღო თამარმა და ჯვარიც დაიწერა დავით სოსლანზედ (1189 წ).

6. **ამბოხება დავით სოსლანის წინააღმდეგ.** დავით სოსლანმა რაღაცა ჯერ კიდევ გამოურკვეველის

მიზეზით ვერ დააკმაყოფილა დიდებულთა ერთი ნაწილი. უკმაყოფილო დიდებულებმა მოახდინეს შეთქმულობა, რომ გიორგი რუსი დაებრუნებინათ საქართველოში, როგორც თამარის კანონიერი ქმარი, და დავით სოსლანი თამარისაგან განეშორებინათ. მათის ჩაგონებით გიორგი რუსი საქართველოში შემოვიდა. სამცხის ერისთავი გუზან აბულასანიძე საზღვარზედ მიეგება და გადაიყვანა იმერეთში. მთელის იმიერ-საქართველოს ერისთავები შეიკრიბნენ თავიანთის ლაშქრით გეგუთში. აქ მათ გიორგი რუსი გამოაცხადეს თამარის კანონიერს ქმრად და დაადგინეს ძალით გაემეფებინათ. განდგომილთა ჯარი ორს ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი თვით გიორგი რუსის წინამძღოლობით გადმოვიდა ქართლში, მეორე ვარდან დადიანის წინამძღოლობით სამცხეში. ორივე ნაწილი ერთს დროს უნდა მოსდგომოდა ტფილისს. გიორგი რუსი თავისის ჯარით მოვიდა გორამდის და იქ დაბანაკდა. აქედგან შეუთვალა ქართლისა და კახეთის დიდებულებს, რომ მიმხრობოდნენ მას. ვარდან დადიანს განზრახვა ჰქონდა გაევლო სამცხე, მიემხრო ჯავახეთი და სომხეთი და შემდეგ თრიალეთის მხრით დასცემოდა ტფილისს.

თამარ მეფემ თავის ერთგულის დიდებულების რჩევით ვარდან დადიანის ჯარის წინაამდეგ სამცხეში გაგზავნა ჯარი ამირ-სპასალარის გამრეკელის წინამძღოლობით. მოხდა ბრძოლა განდგომილებსა და თამარის ჯარს შორის ნიალის ველზედ, სადაც განდგომილები დამარცხდნენ. ეს ამბავი რომ გაიგო გორში გიორგი რუსმა, მაშინვე უკან გაბრუნდა; ასე რომ მის წინაამდეგ ჯარით წასულს დავით სოსლანს ქართლში ალარავინ დახვდა განდგომილთაგანი.

ამგვარად დამარცხების შემდეგ განდგომილმა დი-

დებულებმა შეინანიეს თავიანთი საქციელი და მიმარ-
თეს თამარს თხოვნით, რომ ეპატიებინა. სვანეთის დი-
დებულებმა-კი თვითონ გიორგი რუსი მიჰგვარეს თამარს
შეპყრობილი. თამარ მეფემ შეიწყალა ყველანი. გიორგი
რუსი ხელმეორედ გაისტუმრეს საბერძნეთს (1190 წ).
დიდებულების განდგომილებას შედეგად მოჰყვა ის, რომ
მეფეს დაუბრუნდა უფლება თვისის ნებით დაეჯილდო-
ებინა ერთგული დიდებულები. თამარმა გამარჯვების
შემდეგ დაწინაურა და დაასაჩუქრა დიდებულთა კრე-
ბულის დაუკითხავად ის დიდებულები, რომელთაც მო-
ნაწილეობა მიიღეს განდგომილთა წინაამდეგ ბრძოლაში.

7. **დავით სოსლანის პირველი ლაშქრობანი.**—
გაამართლა დავით სოსლანმა იმედი იმ დიდებულე-
ბისა, რომელნიც თამარის ქმრად ნატრულობდნენ სა-
მხედრო ნიჭის პატრონსა და მხნე მეომარსა. დამყარდა
თუ არა ქვეყანაში მშვიდობიანობა გიორგი რუსის გან-
დევნის შემდეგ, დავით სოსლანი ლაშქრობას შეუდგა
მეზობელს ქვეყნებში. პირველი ლაშქრობა დავითის წინა-
მძღოლობით მოხდა 1192 წ., ტახტის მემკვიდრის გიო-
რგი ლაშას დაბადების მცირე ხნის შემდეგ რანის (გან-
ჯის) ქვეყანაში, ქალაქ ბარდავის წინაამდეგ. გაიმარჯვეს
ქართველებმა. დავით სოსლანმა ახლად დაბადებულის
გიორგის სადღეგრძელოდ 30,000 ტყვე გაათავისუფლა.
ბარდავითგან დაბრუნებულმა დავითმა გაილაშქრა არზ-
რუმზედ, საიდგანაც აგრეთვე ძლევა-შემოსილი დაბრუ-
ნდა. როგორც ამ წელს, ისე შემდეგს 1193 წელსაც
რავდენიმე ლაშქრობა გამოიარეს ქართველებმა და ყველ-
გან გაიმარჯვეს.

8. **გიორგი რუსის შემოსევა კახეთს.**—კონ-
სტანტინოპოლითგან გამოძევებული გიორგი რუსი 1194

წელს მოვიდა ადერბეჟანის ათაბაგთან და მფარველობა სთხოვა. ათაბაგმა საცხოვრებლად განჯა მიუჩინა, უეჭველია, იმ აზრით, რომ იქითგან ინტრიგები გამართა თამარისა და დავით სოსლანის წინაამდეგ. გიორგი რუსი ინტრიგას არ დასჯერდა და ძალაც იხმარა საქართველოს წინაამდეგ. შეაგროვა ჯარი და შემოესია კახეთს. მაგრამ კახეთის ერისთავი მარჯვედ დაუხვდა და დამარცხებული განდევნა უკან. ამ წლითან აღარ იხსენიება გიორგი რუსი საქართველოს ისტორიაში.

9. **შამქორის ომი.**—დიდი ბრძოლა გადაიხადა საქართველომ სპარსელებთან 1195 წ. ამ წელს ადერბეჟანის ათაბაგმა **ამირ-ბუბაქარმა** შეჰყარა დიდძალი ჯარი და გამოემართა საქართველოს წინაამდეგ. ათაბაგის ძმა **ამირ-მირანი** ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა და თამარს ეევდრებოდა შემწეობას ძმის წინაამდეგ, რომელმაც მას წაართვა მისი სამფლობელო რანი. ქართველებიც ემზადებოდნენ მისთვის შემწეობის აღმოსაჩენად. რაკი შეიტყო მთავრობამ, რომ თვითონ ათაბაგი მოდიოდა საქართველოზედ, შეგროვილს ჯარს არ დასჯერდა და კიდევ მოიწვია ახალი ლაშქარი მთელის საქართველოთგან. ათის დღის შემდეგ ყველაფერი მზად იყო ასამხედრებლად. ჯარს დავით სოსლანი წინამძღოლობდა. ქართველები შეხვდნენ სპარსელებს **შამქორის** ახლოს. გაიმართა მეტად ფიცხელი და გაშმაგებული ბრძოლა ორისავე მხრით. ქართველების გაუტეხავობამ, და მოხერხებულობამ სძლია მძლავრს მტერს და გააქცია. მისი ავლადიდება მთლად ქართველებს დარჩათ. შამქორის დაჭერის შემდეგ ქართველები მივიდნენ განჯას. ქალაქის მცხოვრებლები წინ გამოეგებნენ ქართველებს, გამოუცხადეს მორჩილება და მშვიდობა სთხოვეს. თამარ-

მა რანის სულთნად დაადგინა ისევ ამირ-მირანი, რომელ-მაც მორჩილება შეჰფიცა და თავს იდვა ხარკის ძლევა.

10. **საქართველოს საზღვრების გაფართოება.**— სახელმწიფოს საზღვრების გამაგრების საჭიროება და მეზობელის მძლავრის მტრების—სპარსებისა და თურქების ალაგმვის სურვილი აიძულებდა საქართველოს მთავრობას საზღვრად მდებარე ქვეყნებისა და ციხეების დაჭერას. ამნაირად დაიჭირეს ქართველებმა შირვანი კასპის ზღვამდე, რანი არეზის ნაპირებამდე და ყარსის ციხე მისის მიდამოებით. ქართველების ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი იწვევდა ახალის ნაბიჯის გადადგმას, რადგან ისეთი ბუნებრივი საზღვარი არ იყო, რომ შეეჩერებინა ძლევა-მოსილი წინმსვლელობა ქართველებისა. ეს გარემოება-კი მეორე მხრით იწვევდა მეზობელს სახელმწიფოებში შეურიგებელს მტრობას ქართველების მიმართ და სურვილს სამაგიეროს გადახდისას. ასეთის მტრობით იყო გამოწვეული, მაგალითად, ამხედრება იკონიისა და მცირე-აზიის სულთნის **ნუქარდინისა** საქართველოს წინაამდეგ.

11. **ბოლოსტიკის ომი.**—1202 წ. ნუქარდინ სულთანმა დიდძალი ჯარი შეაგროვა, მატიანის თქმით 400,000 კაცი, და ამხედრდა საქართველოზედ გამოსალაშქრებლადა. წინდაწინვე გამოუგზავნა თამარ მეფეს თავხედი და შეურაცხმყოფელი წერილი, რომლითგანაცა სჩანდა, რომ ნუქარდინს არავითარი ეპვი არა ჰქონდა გამარჯვებისა. ნუქარდინი ემუქრებოდა თამარ მეფეს მთელის საქართველოს შემუსვრას, თუ თავისის ნებით არ დაემორჩილებოდა მას და არ მიიღებდა ისლამს. მიიღეს თუ არა წერილი, საქართველოს მთავრობა მაშინვე მზადებას შეუდგა. დავით სოსლანის წინამძღოლობით

ქართველი ლაშქარი ბასიანისკენ გაემართა ნუქარდინის დასახვედრად. თვით თამარ მეფემ მიაცილა ჯარი ვარძიამდე. გაჰარჯვების სრული მოიმედე თურქები ბასიანში დაბანაკებულიყვნენ **ბოლოსტიკის** მინდორზედ. ქართველები სწრაფად გაეშურნენ მათკენ და მოულოდნელად დაესხნენ თავსა. გაიმართა ცხარე ბრძოლა. შუა ბრძოლის დროს ქართველებმა ორის მხრით შემოუარეს მტერსა და დაუშინეს მარცხნივაც და მარჯვნივაც. მტრის ჯარი შეირყა და გაიქცა. ქართველები დაედევნენ გაქცეულებსა და ბევრი დახოცეს და დაატყვევეს.

12. **ტრაპიზუნის იმპერიის დაარსება.**—ბოლოსტიკის გამარჯვების შემდეგ ქართველების ძალა და სიმაგრე საგრძნობელი შეიქნა ყველა მეზობლებისათვისა და აზრადაც აღარავის მოსდიოდა მის წინაამდეგ შებრძოლება. პირ-იქით ყველანი მასთან კარგის განწყობილების დაჭერასა და მის მფარველობის ქვეშ ყოფნასა ცდილობდნენ. საქართველოს მფარველობით ისარგებლა ბიზანტიის იმპერატორის შვილისშვილმა ალექსი კომნენოსმა: ჯვაროსნებმა რომ ბიზანტია დაიჭირეს და მის ადგილას ლათინთა იმპერია დააარსეს, თამარის ნათესავმა კომნენოსმა თამარის დახმარებით დაიჭირა შავის ზღვის პირად მდებარე ქვეყნები და ქალაქები და დააარსა ტრაპიზონის იმპერია (1204 წ.).

13. **დავით სოსლანის სიკვდილი.**—1207 წ. გარდაიცვალა დავით სოსლანი და დასტოვა ორი შვილი—ვაჟი **გიორგი-ლაშა**, თხუთმეტის წლისა, და ასული **რუსუდანი**, თოთხმეტის წლისა. თამარ მეფემ გიორგი ლაშა ამავე წელს აკურთხებინა მეფედ და თანაზიარი გაიხადა სახელმწიფო საქმეებში.

14. არდებილის სულთანის თავდასხმა ანზე და არდებილის აკლება ქართველთაგან. — როგორცა ვთქვით, ქართველთა ძლევამოსილებამ თითქმის ყველა მეზობელი სახელმწიფოები აიძულა საქართველოსთვის მოკრძალებით ეცქირათ. მაგრამ მეზობლებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ვერ შერიგებოდნენ საქართველოს ასეთს ამაღლებასა და სიძულვილით დაბრმავებულნი მზად იყვნენ ვნება მოეტანათ მისთვის, თუ დრო და შემთხვევა ხელს შეუწყობდათ. ასეთის გრძნობით აიხსნება **არდებილის** სულთანის თავხედი საქციელი. 1208 წ. ეს სულთანი მოულოდნელად შემოვიდა საქართველოს საზღვრებში, ზედ აღდგომა ღამეს დაეცა ანის ქალაქს, აიღო იგი, აიკლო და დიდის ალაფით დატვირთული სწრაფად გაბრუნდა უკან. ადვილი წარმოსადგენია, რა საწყენიც იქნებოდა ქართველებისათვის არდებილის სულთნის ასეთი თავხედობა. მთავრობამ გარდასწყვიტა სამაგიეროს გადახდა. ამირ-სპასალარის ზაქარია მხარგრძელის წინამძღოლობით ქართველებმა გაილაშქრეს და მოულოდნელად დაესხნენ არდებილის ქალაქს მუსულმანთა დღესასწაულის აიდის წინა ღამეს არდებილელებს ახლა ისეთივე დღე დაადგათ, რაც ანელებს მათგან.

15. ლაშქრობა სპარსეთში — გარდა იმისა, რომ მტრების დამარცხება და უცხო ქვეყნების დაპყრობა საჭირო იყო საქართველოს პოლიტიკურის ძლიერების დამყარებისათვის, სასარგებლოც იყო კერძოდ ლაშქრისა და მის წინამძღოლთათვის იმითი, რომ ალაფის ნაწილი მათი იყო. რაც უფრო ხშირი იყო ლაშქრობა, მით უფრო ბევრსა შოულობდნენ ძლევა-მოსილი მეომრები და მათი წინამძღოლები. ამიტომაც გასაკვირველი არ არის, რომ პირადის ინტერესებით აღძრული და თავის ძალ-

ლონის მოიმედე ლაშქარი ნატრობდა და თხოულობდა ლაშქრობას მაშინაც-კი, როცა ეს საჭირო არ იყო თვით ქვეყნის პოლიტიკურის ძლიერებისათვის. ასე მოხდა 1210 წელს, როდსაც ჯარის წინამძღოლებმა სთხოვეს თამარ მეფეს, ნება მიეცათ გაელაშქრათ მთელს სპარსეთზედ. მართალია, ამ ლაშქრობის საჭიროებას სახელმწიფოს გაძლიერებით ასაბუთებდნენ: განიცდიან სპარსელები და შეიგნებენ, რა ძალა აქვთ ქართველებსაო, მაგრამ უფრო ნამდვილი მიზეზი ალაფის შოვნის სურვილი იყო. თამარ მეფემ ჯარის წინამძღოლთა თხოვნის განხილვა დიდებულთა კრებას მიანდო. ყველამ მოიწონა სპარსეთში გალაშქრების განზრახვა და დაადგინეს კიდეც შეესრულებინათ. ზაქარია ამირ-სპასალარის მხარგრძელის წინამძღოლობით ქართველთა დიდი ჯარი სპარსეთში შევიდა და მთლად გაიარა ეს ქვეყანა იმ გზით, რომელზედაც მდებარეობენ ქალაქები: **მარანდი, თავრიზი, ზანა, ზანგანი, ყაზმინი, რომგვარი** და **გურგანი.** ამ ქალაქებმა ზოგმა უომრად, ზოგმა წინაამდეგობის გაწევის შემდეგ მორჩილება გამოუცხადეს და მისცეს ხარკი ქართველებს. ჯარს უფრო შორს უნდოდა წასვლა, მაგრამ რადგანაც დიდი ალაფი იშოვა, მეტად ძნელი იყო მისი თან ტარება, ამიტომ უკან გამობრუნდა. გურგანითგან ქართველები დაუბრკოლებლად დაბრუნდნენ საქართველოში იმავე გზით, რომლითაც გაიარეს. ეჭვი არ არის, ეს ლაშქრობა მეტევრმეტყველურად ღიდადებს, თუ რავდენად ძლიერი იყო თამარ მეფის დროინდელი საქართველო პოლიტიკურად.

16 **ქვეყნის სიმდიდრე და კულტურული განვითარება.**—პოლიტიკურმა ძლიერებამ და ხალხში დატრიალებულმა სიმდიდრემ კულტურულად ააღორძინა

საქართველო. აჰყვავდა ვაჭრობა, მეურნეობა, ხელოსნობა. გამდიდრებული სახელმწიფო ხაზინა სიმდიდრეს გზებისა და ხიდების აშენებაზედ, არხებისა და რუების გაყვანაზედ, საყდარ-მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეების აგებაზედ, სასწავლებლების გამართვაზედ, საავადმყოფოებისა და სამადლო სახლების დაარსებაზედ ხმარობდა. ქართულმა ლიტერატურამაც უმაღლესს ხარისხამდე მიაღწია. საუკეთესო წარმომადგენელი ძველის საერო მწერლობისა უკვდავი **შოთა რუსათაველიც** სწორედ ამ დროსა ,ცხოვრობდა. მას მხარს უმშვენებდნენ **ჩახრუხაძე** და **სარგის თმოგველი.**

17. **თამარ მეფის პირადი ღირსება.**—1213 წ. გარდაიცვალა თამარ მეფე, რომლის ხსოვნაც დღესაც უკვდავია ქართველს ერში, არა მარტო იმიტომ, რომ მის მეფობაში გაძლიერდა საქართველო, არამედ იმიტომაც, რომ პირადად კეთილი და სათნოიანი ადამიანი იყო. მის კეთილს გულს ხალხი უსაზღვროდ უყვარდა და არაფერი შურდა ღარიბ-ღატაკთა და ობოლთა ბედის შესამსუბუქებლად, მთელს თავის სიმდიდრეს თამარი ქველმოქმედებასა და საქვეყნო საქმეებს ახმარებდა, თვითონკი ცხოვრობდა უბრალოდ და ქრისტიანულად. მის უმანკო გულს არ უდგებოდა არავითარი გავლენა ინტრიგისა, მლიქვნელობისა და პირადობისა. სახელმწიფო საქმეებში იგი ხელმძღვანელობდა მხოლოდ ქვეყნის სარგებლობითა და სურვილით. ამ ღირსებათათვის საქართველოს ეკლესიამ თამარი ნეტართა შორის ჩარიცხა და მის ხსოვნის დღედ 1 მაისი დაადგინა.

XII

საქართველო თამარ მეფის შვილების დროს.

გიორგი ლაშას პირადი თვისებანი.—განჯის გადგომა და დაწყნარება.—საქართველოს სიძლიერე.—თათრების გამოჩენა.—თათრების შემოსევა საქართველოში და მათი განდევნა.—გიორგი ლაშას სიკვდილი და რუსუდანის გამეფება.—ჯალალ-ედინი და პირველი ბრძოლა მასთან.—ჯალალ-ედინის წინადადება რუსუდანის შერთვის შესახებ.—ჯალალ-ედინი საქართველოში.—რუსუდანის მეცადინეობა თავის შვილის გამეფების ათვის.—ამიერ-საქართველოს დაჭერა თათრებისაგან.—რუსუდანის მიმართვა პაპისადმი შემწეობისათვის და შვილის გაგზავნა თათრების ყაენთან მეფედ დასამტკიცებლად.

1. **გიორგი ლაშას პირადი თვისებანი.**—თამარის შემდეგ საქართველოში გამეფდა მისი ერთად-ერთი ვაჟი **გიორგი ლაშა** (1213 წ.). ბუნებით გიორგი იყო გონიერი და მამაცი, მაგრამ ცუდის აღზრდის გამო იმას ჰქონდა შეთვისებული ბევრი ცუდი ნაკლულევანება. იყო მეტად უზრუნველი, თავნება და გართობისა და ქეიფის მოყვარული.

2. **განჯის გადგომა და დაწყნარება.**—მეფის გამოცვლით მოინდომეს ესარგებლათ განჯელებმა, რომლებიც თვით თამარის მეფობაშიაც კი მზად იყვნენ მუდამ თავი დაეხწიათ საქართველოსაგან დამოკიდებულებისათვის. 1214 წ. განჯელებმა არ გაუგზავნეს გიორგი ლაშას დაწესებული გადასახადი. მთავრობამ განჯის მოსამორჩილებლად გადაწყვიტა გალაშქრება. ამ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა თვით გიორგი ლაშამაც. ქართველი ჯარი მიადგა განჯის ქალაქს და ალყა შემოარტყა. ქალაქის გარემოცვამ დიდხანს გასტანა. განჯელები ძალიან გამაგრებულიყვნენ და მხნედ უხვდებოდნენ ქართველებს ქალაქის ხან ერთს, ხან მეორე კართან. ერთს დღეს გიორგი ლაშამ ოთხი-ათასის კაცის ამარად

შემოუარა ქალაქს დასაზვერავად. განჯელებმა შენიშნეს მეფე მცირე ჯარით, გააღეს კარი და შეებნენ გიორგი ლაშას. თუმცა განჯელების რიცხვი ათი-ათასამდე იყო, ქართველები მაინც მარჯვედ შეებრძოლნენ. დამარცხებულმა განჯელებმა თავი შეაფარეს ქალაქის გალავანს. ამისთანა გაბედულის და საშიშის შეტაკებისათვის დიდებულებმა საყვედური გამოუცხადეს გიორგი ლაშას. ახალგაზდა მეფე იძულებული იყო თავისი ბრალი აღიარებინა და ბოდიში მოეხადნა დიდებულების წინაშე. გიორგი ლაშას თავხედურს საქციელს ის კარგი შედეგი მოჰყვა, რომ განჯელებმა დაჰკარგეს გამაგრების ყოველი იმედი და პატარა ხანს უკან შემოუთვალეს ქართველებს, რომ მიეღოთ შეწერილი გადასახადი და სხვა ძღვენი. განჯელების ამ დამარცხებამ გაუმაგრა ყველას რწმენა, რომ საქართველოს სამხედრო ძალა ისეთივე უძლეველი იყო, როგორც თამარის დროს. ამ რწმენის არსებობის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ აქ ერთს შემთხვევას, რომელსაც გადმოგვცემს ევროპელი ისტორიკოსი სანუტი.

3. **საქართველოს სიძლიერე.**—1218 წ., როდესაც იერუსალიმის **ჯვაროსნები** გარს ადგნენ **დამიეტის** ქალაქს და უნდოდათ მისი აღება, **დამასკის** მფლობელი **კორედინი** გაემართა თვით იერუსალიმის ასაღებად. გიორგი ლაშამ ამ ამბის გაგებაზე შეუთვალა კორედინს, არ გაებედნა იერუსალიმზე ლაშქრობა. ჯვაროსნებმა დამიეტის აღების შემდეგ სთხოვეს გიორგი ლაშას, რომ შემწეობა აღმოეჩინა მათთვის თვით დამასკის ან რომლისამე სხვა ქალაქის დაპყრობით. გიორგი მეფე ჯვაროსნების თხოვნისამებრ კიდეც ემზადებოდა მათ საშველად, მაგრამ თავის განზრახვის შესრულება ვეღარ მოასწრო, რადგან საქართველოს მოულოდნელად გამოუჩნდა ახალი მტერი, რო-

მელმაც ქართველებს აფიქრებინა უფრო თავიანთ თავის დაცვაზე, ვიდრე სხვების მიშველებაზე.

4. **თათრების გამოჩენა.**—თამარ მეფის უკანასკნელს წლებში საქართველოს აღმოსავლეთით, თეთრის ზღვის გაღმა, მოხდა დიდი ამბავი, რომელსაც თან მოჰყვა უდიდესი შედეგი მთელის აზიისთვის, ნახევარ-ევროპისთვის და კერძოდ საქართველოსთვის. ეს ამბავი არის **თათართა** წვრილ-წვრილის ტომების შეერთება და დაარსება **ჩინგიზ-ყაენის** მიერ უძლიერესის სახელმწიფოსი (1202 წ).

თათართა სხვადასხვა ტომების ერთს სახელმწიფოდ შეერთების შემდეგ ჩინგიზ-ყაენმა იწყო სხვადასხვა ქვეყნების დაპყრობა. პირველად დაიპყრო ჩრდილოეთი ჩინეთი, შემდეგ გამობრუნდა ირანისაკენ. 1220 წ. ჩინგიზ-ყაენმა საშინლად დაამარცხა **ხვარაზმის** მამაცი სულთანი **ჯალალ-ედინი** და შეუსია ჯარი მთელს სპარსეთს. თათრების ჯარმა გამოიარა მთელი ირანი და მოადგა ჩვენის ქვეყნის საზღვრებსაც იმავე წლის გასულს. თათრების ქვეყანა ისე შორს იყო და ისე სწრაფად მოხდა მათი გაძლიერება, რომ ქართველებმა ვერ მოასწრეს თავის დროზე ამის შეტყობა, ამიტომ თათრების გამოჩენა საქართველოს საზღვრებზე მოულოდნელი იყო.

1220 წლის გასულს თათრები მუღანის მინდვრებში დაბანაკდნენ ზამთრის გასატარებლად და აქედგან შემოუსიეს საქართველოს 20,000 კაცი. რაოდენად უცნობნი იყვნენ თათრები ქართველებისთვის იქითგან ჩანს, რომ სარწმუნოებით წარმართი თათრები მათ ქრისტიანებად მიაჩნდათ. ამ ცრუ წარმოდგენისა გამო, საქართველოში შემოსეულს თათრებს ბევრგან ხალხი

მიეგება წინ შემოსილის მღვდლების წინამძღოლობით ჯვრებითა და ხატებითურთ. საქართველოს მთავრობა სრულებით არ ელოდა თათრების ასეთს შემოსევას და ამიტომ ვერავითარი წინაამდეგობა გაუწია. თათრებმა აიკლეს საზღვრების ახლო მდებარე ადგილები და გაბრუნდენ უკანვე მუღანს.

5. თათრების შემოსევა საქართველოში და მათი განდევნა.—თათრების გამოჩენამ ჩააფიქრა გიორგი ლაშა და მისი მთავრობა. ახლა იმათ დაინახეს, რომ ახალი მტერი არ ჰგავდა საქართველოს ძველს და კარგად ცნობილს მტრებს. ცხადი იყო, რომ ეს ახლად გამოჩენილი ხალხი მეტად მამაცი და მხნე მეომრები იყვნენ, მათი ომიანობის წესი და ხერხი სულ სხვა იყო. ამიტომ ქართველები შეუდგნენ მზადებას თათრების საკვლავოდ დასახვედრად. გიორგი მეფემ გამართა მოლაპარაკება მეზობელს სახელმწიფოებთან, რომ შეერთებულიყვნენ საერთო მტრის მოსაგერებლად. ადირბეჟანის ათაბაგმა **უზბეკმა** და ქელათის მეფემ **მელიქ-აშრაფმა** მიიღეს გიორგი ლაშას წინადადება და დაჰპირდენ მასთან შეერთებას მომავალს გაზაფხულზე თათრებთან შესაბრძოლებლად, რადგან ეგონათ, რომ თათრები ზამთარში არ ილაშქრებდნენ. მაგრამ მოკავშირეებს იმედი არ გაუმართლდათ. 1221 წლის იანვარში თათრები შემოვიდენ მუღანითგან საქართველოს არე-მარეში და დაიწყეს აკლება-აოხრება.

გიორგი ლაშამ ამ გზობით თათრების წინაამდეგ გაგზავნა კარგა დიდი ჯარი—60 თუ 80 ათასი კაცი. უეჭველია, თათართა რიცხვი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. თათრებმა ქართველები დაამარცხეს ბერდუჯის ნაპირას და სდიეს სამშვილდემდე. ამ დამარცხების შემ-

დეგ საქართველოს მთავრობა ხელახლა შეუდგა მზადებას და ახალის ჯარის შეგროვებას თათრების გასადევნად. თათრებმა კი უფრო წინ წამოიწიეს, ტფილისამდე მოვიდენ და იწყეს მიდამოების აკლება-აოხრება. ქართველებს ახლა შესწავლილი ჰქონდათ თათრების ომიანობის წესი და ხერხი და ამიტომ ახლა უფრო მარჯვედ იგერებდნენ მათ და კიდეც ამარცხებდნენ. თათრებმა დაინახეს, რომ ქართველების დამორჩილება ძნელი იყო, რომ მათ ჰქონდათ საქმე მამაცს და მარჯვე ხალხთან. ამიტომ ანებეს თავი საქართველოს და გავიდენ მის სამზღვრებითგან (1221 წ. მარტში). მართალია, დიდი ზიანი მოუტანეს საქართველოს თათრებმა, მაგრამ არც მათ დაუჯდათ იაფად თავიანთ შემოსევა. ქართველებმა დახოცეს 25,000-ამდე თათარი და ბევრიც ტყვედ ჩაიგდეს. საქართველოთგან გასვლის შემდეგ თათრები გაემართნენ შირვანისკენ და იქითგან გადავიდნენ კავკასიის იქით—ყივჩაყეთში.

ამნაირად გაიარა თათართა შემოსევამ და საქართველო ისევ ძველებურს პირობებში დარჩა. გიორგი ლაშამ აღადგინა თავის სამეფოს ძლიერების სახელი. მეზობელი სახელმწიფოები ისევ უწინდელის მოწიწებით და მოკრძალებით უცქეროდენ საქართველოს.

6. **გიორგი ლაშას სიკვდილი და რუსუდანის გამეფება.**—გიორგი ლაშა გადაიცვალა 1223 წ. 18 იანვარს და დატოვა ერთად-ერთი შვილი, ჯერ კიდევ სრულებით ყმაწვილი **დავით.** სამეფო ტახტი ანდერძით დაუტოვა თავის დას **რუსუდანს** იმ პირობით, რომ შემდეგ მეფობა გადაეცა მის შვილის დავითისათვის, როდესაც იგი მოიწიფებოდა.

რუსუდანიც თავის ზნეობით ისევ დაბლა იდგა,

როგორც მისი ძმა გიორგი ლაშა. მეტად ამპარტავანი და ვნებათა ამყოლი, არ ერიდებოდა არავითარს საშუალებას, ოღონდ კი დაეკმაყოფილებინა თავის პირადი ინტერესი და სიამოვნების ჟინი.

პირველს ორს წელიწადს რუსუდანმა იმეფა მშვიდობიანად. საქართველო სავსებით სარგებლობდა იმ ძლიერებით, რომელიც შეძენილი ჰქონდა მას წინა დროებში. თათრების შემოსევამ გიორგი ლაშას დროს გრიგალივით გაიარა და ყველას ეგონა, რომ აღარავითარი საშიშროება მოელოდა საქართველოს. რუსუდან და მისი მთავრობა ახლა იმის ფიქრს შეუდგენ, რომ გაეხორციელებინათ გიორგი ლაშას განძრახვა ჯვაროსნულის ლაშქრობის გამართვის შესახებ პალესტინის დასახსნელად. ამის შესახებ რუსუდანმა მისწერა კიდეც წერილი პაპს **ჰონორიოს** და ეკითხებოდა, როდის წამოვა სალაშქროდ იმპერატორი ფრიდრიხი, რომ ჩვენც მაშინ გავილაშქროთო. მაგრამ არც რუსუდანს დასცალდა ამ განძრახვის განხორციელება, რადგან საქართველოს ხელახლა მოევლინა მძლავრი მტერი. ეს იყო ხვარაზმის სულთანი **ჯალალ-ედინი**.

7. ჯალალ-ედინი და პირველი ბრძოლა მასთან.—თათრებისგან შევიწროებულმა ჯალალ-ედინმა დამორჩილებას თავის ქვეყნის მიტოვება ამჯობინა. იმან გამოუცხადა თავის ქვეშევრდომებს, ვისაც არ გინდათ თათრების მონობა, გამომყეთ დასავლეთისკენ, სხვა ქვეყანა დავიჭიროთ და იქ დავმკვიდრდეთო. ეს წინადადება ბევრმა მიიღო და აუარებელი მეომარი ცოლშვილით გამოჰყვა მას. ამ ჯარით ჯალალ-ედინი მოვიდა ადირბეჟანს და აქედგან შემოვიდა საქართველოს არე-მარეში (1225 წ.).

ამ ამბის გაგონებაზე ძალიან დაფაცურდნენ ქართველები. რუსუდან მეფემ და მისმა დიდებულებმა გადაწყვიტეს მკაცრი წინაამდეგობა გაეწიათ ხვარაზმელებისათვის. ამირ-სპასალარის და ათაბაგის **ივანე მხარგრძელის** წინამძღოლობით გაემართა ქართველი ჯარი ჯალალ-ედინისკენ, რომელიც დაბანაკებული იყო გარნისში. აქ მოხდა შეტაკება ქართველებისა და ხვარაზმელებისა. სამწუხაროდ ჯარის წინამძღოლი ივანე მხარგრძელი პირადის მტრობით თავის დროზე არ მიეშველა მოწინავე ჯარს, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ძმანი **შალვა** და **ივანე ახალციხელები.** ამის გამო მოწინავე ჯარი დამარცხდა და მის შემდეგ სხვა ჯარიც შეშინებული უკან გამობრუნდა. ამ ბრძოლას ის შედეგი მოჰყვა, რომ ხვარაზმელები შეჩერდენ და წინ აღარ წამოუდგამათ ფეხი. ჯალალ-ედინმა თავის სამოქმედო ნიადაგად გახადა ადირბეჟანი და იქითგან ორის წლის განმავლობაში მხოლოდ დასარბევად თუ გამოგზავნიდა ხოლმე ჯარს საქართველოს სამძღვრებზე.

8. **ჯალალ-ედინის წინადადება რუსუდანის შერთვის შესახებ.**—თათრებისაგან გამოქცეულს და ადირბეჟანში დაბინავებულს ჯალალ-ედინს არ შეეძლო თავის თავი უშიშარს მდგომარეობაში წარმოედგინა. ის ხედავდა, რომ თათრების წინმსვლელობას ვერაფერი აკავებდა და რომ მალე მას ახალს ბინაზედაც მოსძებნიდნენ. რომ ზურგი გაემაგრებინა თათრების წინაამდეგ, ჯალალ-ედინმა მოლაპარაკება გამართა საქართველოს ახალს ამირ-სპასალართან **ავაგ მხარგრძელთან** (ივანეს შვილია) იმის შესახებ, რომ რუსუდანი მისთხოვებოდა მას და შეერთებულის ძალით შებრძოლებოდენ ხვარაზმელები და ქართველები საერთო მტრებს—თათრებს.

ცხადია, ამ საშუალებით ჯალალ-ედინს უნდოდა მშვიდობიანად დაეპყრო საქართველო და ბინა მოეკიდნა თავის ხალხით ჩვენს ქვეყანაში, როგორც ჩვენის მეფის მეუღლეს. თქმა არ უნდა, ამისთანა წინადადებას საქართველოს მთავრობა არ შეიწყნარებდა. რუსუდანისაგან უარის მიღების შემდეგ ჯალალ-ედინმა დაინახა, რომ ქართველთაგან ის ვერავითარს დახმარებას მიიღებდა თათრების წინაამდეგ და ამიტომ გადაწყვიტა საქართველოს ძალით დაჭერა და მაში გამაგრება.

9. **ჯალალ-ედინი საქართველოში.**—ჯალალ-ედინმა დასძრა თავისი ჯარი და გამოემართა ტფილისისაკენ **1227** წ. ამ ამბის გაგონებაზე რუსუდანმა დასტოვა ტფილისი და გაემართა ქუთაისისკენ. ტფილისი გაამაგრეს ქართველებმა და შიგ ჩააყენეს მცველი ჯარი. აგრეთვე გაამაგრეს ყველა ციხე-ქალაქები, ხოლო ხალხი შეეფარა სიმაგრეებს. ტფილისისკენ მომავალი ჯალალ-ედინი შეუბრალებლად იკლებდა ყველაფერს, რაც გზაში ხვდებოდა. ტფილისთან ფიცხელი წინაამდეგობა გაუწიეს ქართველებმა ხვარაზმელებს. მაგრამ შინაურმა გამცემლებმა—ტფილისში მცხოვრებმა სპარსებმა მეორე დღეს გაუღეს ღალატით ქალაქის კარი ჯალალ-ედინს და შეუშვეს მისი ჯარი. ქართველი მცველი ჯარი ცხარე ბრძოლის შემდეგ გამაგრდა ავლაბარში. მაგრამ მალე მას მოუვიდა ქუთაისითგან ბრძანება, რომ მიეტევებინა ქალაქის ეს ნაწილიც და უკან დაეხია.

გამხეცებული ჯალალ-ედინი მეტად უდიერად მოეკიდა ტფილისის მცხოვრებლებს ქალაქი გააცარცვინა თავის ჯარს, დააწვევინა სახლები, დაახოცინა აუარებელი ხალხი და გააუპატიურებინა ქალები. მან არ დაინდო ქართველთა სარწმუნოებრივი გრძნობაც-კი. სიონის

ტაძრის გუმბათი დააქცევინა, მის ადგილას ტახტი დაადგმევინა და იმაზედ დამჯდარი სტკბებოდა ქალაქის აოხრების სურათით. გასცა ბრძანება, რომ ქართველებს, ვინც ცოცხალი გადარჩა, ერთგულობაზე შეეფიცნათ მისთვის და მის ნიშნად მიეღოთ მაჰმადიანობა. ვინც ამას არ შეასრულებდა, ახოცვინებდა. ქართველთა მომეტებულმა ნაწილმა არ შეასრულა ასეთი ბრძანება და დასდო თავი ეროვნულის და სარწმუნოებრივის თავისუფლებისათვის.

ტფილისის აოხრების შემდეგ ჯალალ-ედინმა დაგზავნა ჯარის რაზმები ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების მოსარბევად და ასაკლებად. ხვარაზმელების მისვლას ყოველს სოფელსა და ქალაქში თან მოსდევდა ცარცვა, სახლების წვა, ხალხის ცემა-ტყეპა და ხოცვა, ქალების გაუპატიურება და ერთგულობაზე დაფიცება მაჰმადიანობის მიღებინებით. ასე გაოხრა და დააწიოკა ჯალალ-ედინმა მთელი აღმოსავლეთი საქართველო: კახეთი, ქართლი, სომხეთი, ჯავახეთი, სამცხე, ტაო, კარნიფორი და ანის არე-მარე. ამ სიმხეცით ჯალალ-ედინს უნდოდა დაეშინებინა ქართველობა და საუკუნოდ ხელი აეღებინებინა თავისუფლებისადმი მისწრაფებაზე.

საქართველოს მთავრობამ, ქუთაისში გახიზნულმა, ვერა მოახერხა-რა, რომ წინააღმდეგობა გაეწია ხვარაზმელებისათვის აღმოსავლეთ-საქართველოში. მხოლოდ დასავლეთი საქაროველო გაამაგრა და არ უშვებდა იქ მტერს. ასე გაიარა სამმა წელმა. 1230 წ. ჯალალ-ედინმა შეიტყო, რომ თათრის დიდი ჯარი მოდიოდა დასავლეთისაკენ. თათრების შესაჩერებლად ჯალალ-ედინი გავიდა ტფილისიდგან თავის ჯარით და მივიდა ადირბეჟანის სამძღვრებამდე, საითგანაც შეუთვალა ქელათის

ეფეს და ბაღდადის ხალიფას, რომ შეერთებოდ ენ მას და ერთად დახვედროდენ თათრებს. მათ არ მიიღეს ეს წინადადება და ჯალალ-ედინი ისევ უკან გამობრუნდა.

ჯალალ-ედინის ტფილისითგან გასვლის შემდეგ ქართველებმა შეაგროვეს ჯარი და მოინდომეს ხვარაზმელების განდევნა საქართველოთგან. ქართველი ჯარი გორის ახლოს იყო თავმოყრილი, როდესაც გაიგეს ჯალალ-ედინის უკან გამობრუნება. ქართველები გაეშურენ მის შესახვედრად და შეებნენ მას ბოლნისის-ხევში. აქ ხელახლად დამარცხდენ ქართველები და ტფილისში დაბრუნებულმა ჯალალ-ედინმა ხელ-მეორედ ააოხრა აღმოსავლეთი საქართველო.

მაგრამ ჯალალ-ედინი ვერ დატკბა თავის გამარჯვებით. მალე საქართველოში შემოვიდენ თათრები. ესენი პირველად მიადგენ განჯას და სამის დღის გარემოცვის შემდეგ აიღეს. აქედგან წამოვიდენ ტფილისისაკენ. ამის შემტყობმა ჯალალ-ედინმა მიანება ტფილისს თავი და თავის ჯარით გაეშურა მცირე-აზიისაკენ. თათრები უკან გამოედევნენ. მისი ჯარი გაფანტ-გამოფანტეს და თითქმის მარტოდ დარჩენილი ჯალალ-ედინი თავის შეფარებას ქურთისტანის მთებში აპირებდა. ის, უეჭველია, თათრებს ტყვედ ჩაუვარდებოდა, ერთს ქურთს რომ არ მოეკლა ძილის დროს (1230 წ.).

10. რუსუდანის მეცადინეობა თავის შვილის გამეფებისთვის.—ჯალალ-ედინის გაქცევის შემდეგ რუსუდან მეფე ისევ ტფილისს დაბრუნდა. თათრები მცირე-აზიაში გაერთნენ ქვეყნების დაპყრობასა და ლაშქრობაში და საქართველო დროებით თავისუფალი შეიქნა მათ შემოსევისაგან. კარზედ მომდგარის მტრის შემოსევის შიშში მყოფი რუსუდანი შეუდგა იმის ზრუნვას,

რომ საქართველოს მეფის ტახტი დაემტკიცებია თავის შვილის **დავითისათვის.** რუსუდანს ქმრად ჰყავდა სელ-ჯუკი მოგითედინი, გაქრისტიანებული, რომელსაც სახელმწიფო საქმეებში არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა და რომელიც ძალიან დაბრიყვებული იყო მისგან. დავითის გარდა რუსუდანს ჰყავდა ქალი, სახელად **თამარი.** 1234 წ. რუსუდანმა სამეფო გვირგვინი უკურთხა თავის მცირე წლოვანს შვილს. მაგრამ ეს არ კმაროდა მის უზრუნველსაყოფელად. მეფობის უფლება იმაზედ მეტი ჰქონდა გიორგი ლაშას შვილს დავითს. თავის გულითადის სურვილის მისაღწევად რუსუდანმა გადაწყვიტა თავის ძმისწულის დაღუპვა. ამ აზრით მან გაუგზავნა იგი თავის ასულის თამარის ქმარს იკონიის სულთანს **ყიასდინს,** რომელსაც სთხოვა თან მისი მოკვლა. როდესაც ყიასდინმა არ შეასრულა მისი მხეცური სურვილი, რუსუდანმა გამართა ისეთი ჯოჯოხეთური ინტრიგა ძმისწულის წინაამდეგ, რომ ყიასდინმა საპყრობილეში ჩააგდებინა იგი.

11. **ამიერ-საქართველოს დაჭერა თათრებისაგან.**—ამ დროს თათრებმა საქართველოსთვისაც მოიცალეს და დაიწყეს შემოსევა ჩვენს ქვეყანაში. გულ-გატეხილმა და დაძაბუნებულმა საქართველოს მთავრობამ ველარ მოახერხა საკმარისის ჯარის შეგროვება თათრების მოსაგერებლად. რუსუდან მეფემ მიატოვა ტფილისი და გადავიდა ქუთაისს. ამიერ-საქართველოს დიდებულები თავ-თავიანთ სიმაგრეებში გამაგრდენ. თათრები მიესიენ ციხე-ქალაქებს. ვინც თავის ნებით ემორჩილებოდა, ჰპირდებოდენ ხელშეუხებლობას და თავის მამულზედვე დატევებას. ზოგან დაპირებით, ზოგან ძალით თათრებმა რავდენსამე წელიწადში დაიპირეს მთელი

ამიერ-საქართველო. თათრებმა მოსთხოვეს დამორჩილება რუსუდან მეფესაც, მაგრამ ვერ გასჭრა მათმა არც მუქარამ და არც დაპირებამ: რუსუდანი მტკიცედ იდგა უარზე, იმიერ-საქართველოში გამაგრებული. თათრებმა ვერ მოახერხეს ამ ქვეყნის ძალით დაჭერა. თათრები ქართველებს და რუსუდან მეფეს პორჩილების ნიშნად ორს რასმე სთხოვდენ: გადასახადს ფულად და ჯარს სალაშქროდ. სხვაფრივ ცხოვრებასა და მართვა-გამგეობაში უტოვებდენ სრულს დამოუკიდებლობას.

12. **რუსუდანის მიმართვა პაპისადმი შემწეობისათვის და შვილის გაგზავნა თათრების ყაენთან მეფედ დასამტკიცებლად.**— თათრების განდევნის საშუალების ძებნის დროს რუსუდან მეფეს აზრად მოუვიდა, შემწეობა ეთხოვნა ევროპიელებისათვის და წერილიც მისწერა ამის შესახებ პაპს გრიგოლ მეცხრეს. პაპმა პასუხად შემოუთვალა 1240 წელს, რომ მას არ შეეძლო არავითარის შემწეობის აღმოჩენა, რადგან თითონაც მეტად გაჭირებულს მდგომარეობაში იყო მუსულმანთა და მწვალებელთაგან.

ევროპელთაგან შემწეობის იმედის დაკარგვის შემდეგ რუსუდანმა შეუთვალა თათრებს, რომ იგი დაემორჩილებოდა თათართა მფლობელობას, თუ მის შვილს დავითს სცნობდენ საქართველოს მეფედ (1241 წ). თათრებმა უპასუხეს, რომ საქართველოს მეფედ სცნობენ მის შვილს, თუ გაგზავნიდა მათთან. ამ პასუხის მიღების შემდეგ რუსუდანი წავიდა ტფილისს და თან წაიყვანა შვილი. ტფილისითგან დავითი გაგზავნა ბარდავს თათრის ნოინებთან (მთავრებთან) 1242 წ. ნოინებმა დავითი გაისტუმრეს ყაენთან **ყარაყორუმში**, დავითის ყაენთან გაგზავნის შემდეგ რუსუდანს შეეშინდა,

მეც არ შემიპყრან თათრებმაო და ამიტომ მიატოვა კიდევ ტფილისი და გადასახლდა ხელ-ახლად ქუთაისს.

რუსუდანი ვერ მოესწრო თავის შვილის დაბრუნებას ყარაყორუმითგან. იმის მაგიერ, რომ დავითი მალე დაებრუნებინა უკან, ყაენმა დასტოვა თავისთან და არავინ იცოდა, როდის გაისტუმრებდა. ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა რუსუდანი. შვილის დაბრუნების მოლოდინში მწუხარე რუსუდანი ავად გახდა და გადაიცვალა 1245 წ.

XIII

საქართველოს შინაური ცხოვრება მეთორმეტე საუკუნეში.

საქართველოს ძლიერების ხანა და ამ დროს შინაურის ცხოვრების ცვლა.—სოციალი წეს-წყობილება.—სამოქალაქო და სამხედრო მართვა-გამგეობა.—სამღვდელოება და საეკლესიო წეს-წყობილება.—გონების განვითარება.—მონასტრების დვაწლი.—არაბების და სპარსების განათლების გავლენა.—ეკონომიური მდგომარეობა.

1. **საქართველოს ძლიერების ხანა და ამ დროს შინაურის ცხოვრების ცვლა.**—თათრების შემოსევით გათავდა ის ხანა საქართველოს ისტორიისა, რომელსაც ჰქვიან ძლიერების ხანა. ეს ხანა დაიწყო XI საუკუნის დასაწყისს და გათავდა XIII საუკ. მეორე მეოთხედში. პოლიტიკურის მდგომარეობის ცვლილებასთან იცვალა აგრეთვე შინაურის ცხოვრების წეს-წყობილება, რომელიც მკაფიოდ გამოირკვა XII საუკუნეში. ამიტომ რაც ითქმის მეთორმეტე საუკუნის შესახებ, იგი შეეხება ცოტად თუ ბევრად მთელს ამ ხანას.

2. **სოციალი წეს-წყობილება.**—საქართველოს სოციალი წეს-წყობილება მეთორმეტე საუკუნეში წარ-

მოადგენს შემდეგს სურათს. მთელის ერის თავში იდგა და ქვეყნის პატრონი იყო **მეფე**, რომელიც მართავდა სამეფოს. მას მოსდევდენ **აზნაურები**, რომელნიც ორს წყებად იყოფებოდნენ: იყვნენ **დიდებული აზნაურები**, რომელნიც იწოდებოდნენ მოკლედ **დიდებულებად**, და **დაბალი აზნაურები**, რომელნიც იწოდებოდნენ პირდა-პირ **აზნაურებად**. დიდებულები მეფის შემდეგ უწარჩინებულესნი პირნი იყვენ ქვეყანაში, მასთან ერთად იღებდენ მონაწილეობას სამეფოს საქმეთა მართვაში, მასთან ერთად ზრუნავდენ ქვეყნის სიკეთისათვის და ასრულებდენ უმაღლესის ხელისუფლების და ერისთავების თანამდებობას. აზნაურები პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდენ სამეფოს მართვაში, მაგრამ დიდს სამსახურს უწევდენ მას თავიანთ პირადის შრომით და სისხლით. ისინი შეადგენდენ ცხენოსანს ჯარს, მეციხოვნობას სწევდენ დაპყრობილს ციხე-ქალაქებში და ასრულებდენ დაბალს ხელისუფლობას.

აზნაურებს მოსდევდენ **გლეხები.** ესენი იყვენ მიწის შემმუშავებელნი და ყოველნაირის ხარჯისა და ბეგარის გადამხდელები და თან მეომრებიც, როდესაც სამშობლო გაჭირვებაში ჩავარდებოდა ანუ საჭირო იქნებოდა სამშობლოს დიდებისათვის გალაშქრება.

ეს სამი წოდება დიდებულთა, აზნაურთა და გლეხთა, თუმცა მემკვიდრეობითი იყო, მაინც ერთითგან მეორეში გადასვლა ხშირად ხდებოდა. გლეხი აზნაურდებოდა და აზნაური დიდებულდებოდა რაიმე ღვაწლისათვის. აგრეთვე დიდებული უბრალო აზნაურის ხარისხზე იქვეითებდა და აზნაური გლეხად იქცეოდა რაიმე დანაშაულის გამო.

ამ სამს წოდებასთან სამეფოში იყო კიდევ მეოთხე წოდება — სასულიერო, რომელიც თითქო ცალკე სამეფოს წამოადგენდა ისეთისავე იერარქიით, როგორიც იყო საერო უწყებაში. უმაღლესი მეფის მსგავსი ადგილი ეკავა კათოლიკოზს, დიდებულებისა მთავარ-ეპისკოპოზებს და ეპისკოპოზებს, მათ შემდეგ აზნაურის მსგავსი ადგილი ეჭირათ მონასტრის წინამძღვრებს და ქორ-ეპისკოპოზებს, ხოლო სულ დაბალი ადგილი ეკავათ ხუცესებს, მღვდლებს და დიაკვნებს და აგრეთვე უბრალო ბერებს.

იყო კიდევ ერთი მცირე რიცხვოვანი წოდება. რომელსაც დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა საქართველოში. ესენი იყვენ მოქალაქენი, შემდგარნი ორის წყებისაგან: მდიდარის ვაჭრებისაგან და მეწვრილმანე-ხელოსანთაგან.

მეფე ითვლებოდა სამეფოს პატრონად და მთელი მიწა-წყალი მის საკუთრებად. ამ მიწას ამუშავებდენ გლეხები და მეფეს სამაგიეროდ უხდიდენ ხარჯს და ბეგარას. მეფისაგან აზნაურებს ჰქონდა მიცემული სასარგებლოდ და სარჩოდ მამული იმ გლეხებით, რომელნიც ამ მამულზე ცხოვრობდენ. მამულის მფლობელობასთან ერთად მეფისაგან დათმობილი ჰქონდათ აზნაურებს მომეტებული ნაწილი გლეხის სამსახურისა. დიდებულებსაც აგრეთვე ჰქონდათ მიცემული მეფისაგან დიდი მამული მასზედ მცხოვრების გლეხებით და აზნაურებით, რომელნიც მეფის სამსახურის მომეტებულს ნაწილს დიდებულს უწევდენ.

ამნაირად ერთის მხრით მიწის მფლობელობა, მეორე მხრით მეფის სამსახური ჰქმნიდა საქართველოს მაშინდელს სოციალს წეს-წყობილებას. მეფე იყო ბატონი, სხვები იყვენ მისი ყმები. უწარჩინებულესი მეფის ყმები

იყვენ დიდებულები, რომელთაც ეპირათ მამული და დაქვემდებარებული ჰყავდათ ამ მამულის მოსარგებლე გლეხები და აზნაურები. უკანასკნელნი ან მეფეს ექვემდებარებოდენ პირდაპირ, ან რომელსამე დიდებულს. ერთსაც და მეორე შემთხვევაშიაც აზნაურებს ექვემდებარებოდენ გლეხები, რომელნიც მათ მამულზედ ცხოვრობდენ. ბოლოს იყვენ გლეხები, რომელნიც ცხოვრობდენ ან პირდაპირ მეფის მამულზე, ან პირდაპირ დიდებულისაზე, ან აზნაურისაზე, რომელიც თავის მხრით ან პირდაპირ მეფის ყმა იყო, ან დიდებულისა. ამიტომ გლეხი იყო ოთხნაირი: 1) პირდაპირ მეფის ყმა, 2) სამეფო აზნაურის ყმა, 3) დიდებულის ყმა და 4) დიდებულის აზნაურის ყმა. აზნაური ორნაირი იყო: 1) პირდაპირ მეფის ყმა და 2) დიდებულის ყმა. დიდებული პირდაპირ მეფის ყმად ითვლებოდა. ხოლო ყველანი საერთოდ მეფის ყმებად ითვლებოდენ.

დიდებულის ვალდებულება მეფის წინაშე მდგომარეობდა იმაში, რომ მას მეფის ბძანებისამებრ უნდა მოეკრიფა თავის საყმოში ჯარი აზნაურთა და გლეხთაგან და გამოსულიყო სალაშქროდ. ასეთივე ვალდებულება აწვა მეფის აზნაურს. დიდებულის აზნაური კი დიდებულის მოთხოვნილებისამებრ უნდა გამოსულიყო თავის გლეხებით დიდებულის დროშის ქვეშ საბრძოლელად. მეფის ყმა გლეხები ვალდებული იყვენ, როგორც პირადის სალაშქრო სამსახურით, ისე ხარჯის ძლევით და ბეგარის გადახდით. დიდებულის გლეხი მოვალე იყო დიდებულისთვის ეძლია ხარჯი, ეწია ბეგარა და გაჰყოლოდა სალაშქროდ მის მოთხოვნილებისამებრ. ასეთსავე სამსახურს უწევდა აზნაურს მისი გლეხი. დიდებულის გლეხები, ისე როგორც აზნაურისა, პირდაპირის ბატონის სამსა-

ხურის გარდა, მოვალენი იყვენ ზოგიერთი ხარჯი და ბეგარა ეხადათ მეფისთვისაც.

ასეთივე დამოკიდებულება არსებობდა სასულიერო უწყებაში. კათოლიკოზს და მცხეთის ეკკლესიას ჰქონდა დიდი მამულები, რომლებზედაც მოსახლობდენ გლეხები და აზნაურები. პირველს შემთხვევაში გლეხები და აზნაურები ითვლებოდენ საკათოლიკოზო ან მცხეთის ყმებად, მეორე შემთხვევაში ისინი იწოდებოდენ სამონასტრო ყმებად. მათი დამოკიდებულება კათოლიკოზისა და მონასტრისაგან ისეთივე იყო, როგორც დიდებულისა და აზნაურისაგან.

მეფეს შეეძლო. თუ საჭიროდ დაინახავდა, საერთო სარგებლობისათვის ან დასასჯელად, წაერთმია მამული დიდებულისთვის ან სამეფო აზნაურისთვის ზედ-მოსახლე გლეხებითურთ და მიეცა ან სხვა დიდებულისა და აზნაურისათვის, ან ეკკლესიისათვის. თუ მეფე უდანაშაულოდ ართმევდა დიდებულს ან აზნაურს, ჩვეულებრივ სხვაფრივ აკმაყოფილებდა მას ახალის მამულის მიცემით სამაგიეროდ

დიდებულებს და აზნაურებს შეეძლოთ თავიანთ მამულის გაყიდვა ან გაჩუქება, მაგრამ ყოველთვის მეფის თანხმობა უნდა აეღოთ.

მოქალაქეები ექვემდებარებოდენ ან პირდაპირ მეფეს ან რომელსამე გამოჩენილს დიდებულს, რომელსაც აძლევდენ ისინი ხარჯს და სალაშქროდ სამსახურს უწევდენ.

3. **სამოქალაქო და სამხედრო მართვა-გამგეობა.**— მეფედ ხდებოდა ჩვეულებრივ მეფის უფროსი ვაჟი შვილი, რომელსაც მეფე თავისსავე სიცოცხლეში აცხადებდა მეფედ ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მემკვიდრედ.

ასე მოიქცა გიორგი II დავით აღმაშენებელის შესახებ, გიორგი III თამარის შესახებ და თამარი გიორგი ლაშას შესახებ. მხოლოდ რაიმე გარემოება უნდა ყოფილიყო, რომ მამას ტახტი გამოეწირა თავის უფროსის ვაჟისთვის და მიეცა შემდეგისთვის. ასეთი შემთხვევა მოხდა დიმიტრის მეფობაში, როდესაც დიმიტრიმ უპირატესობა მიანიჭა უმცროსს შვილს გიორგის და ამით უფროსი შვილი დავითი ძალიან გაანაწყენა, რამაც გამოიწვია რევოლუცია, რომლის შედეგი იყო დიმიტრის გადადგომა და დავითის გამეფება. თუ საკუთარი ვაჟი ან მახლობელი ნათესავი ვაჟი არ ეყოლებოდა მეფეს, მეფობა გადადიოდა ქალიშვილზე. თავის სიცოცხლეში მეფედ გამოცხადებულს შვილს მეფე ადგამდა გვირგვინს და ასრულებდა ცერემონიას დიდებულთა თანადასწრებით. ისიც მამასთან ერთად იწოდებოდა მეფედ, მაგრამ ნამდვილად კი არ მეფობდა.

მეფედ შვილის გამოცხადება მამისავე სიცოცხლეში უდრიდა მემკვიდრის დანიშვნას, რომელიც ახლანდელს დროშია მიღებული. ამნაირად წინდაწინვე მეფედ დანიშნული ადვილად და დაუბრკოლებლად იჭერდა მამის სიკვდილის შემდეგ ტახტსა. ამ ნამდვილს გამეფებას მეფე იხდიდა დიდის ამბით და ცერემონიით. იკრიბებოდენ დიდებულები სამეფოს ყველა კუთხითგან, თავს იყრიდა ჯარი, შემდგარი აზნაურთა და გლეხთაგან და მათ წინ ხდებოდა დაგვირგვინება და ტახტზედ ასვლა. მთავარეპისკოპოზი ადგამდა მეფეს თავზე გვირგვინს, დიდებულები აცმევდენ პორფირს, ზეზს, ფესვედს და ბისონს, არტყამდენ ხმალს, აძლევდენ ხელში სკიპტრას. ამის შემდეგ მეფე ადიოდა ტახტზე და ამბობდა სიტყვას. ამ შემ-

თხევისა გამო იმართებოდა ნადიმი და მეფის ხაზინითგან აძლევდენ საჩუქრებს და მოწყალებას.

მეფე ხშირად იწოდებოდა შვიდის სამეფოს მეფედ და მისი სამეფო შვიდის სამეფოსაგან შემდგარად, რის გამოც მეფე იხსენიებოდა მეფეთა-მეფეთ. ეს ტიტული ნამდვილის გამომთქმელი არ იყო. ის იყო გადმოღებული არაბთაგან, რომელთა ხალიფის საბძანებელი ითვლებოდა შეიდის სამეფოსაგან შემდგარად და ხალიფის ტიტულიც იყო შვიდის სამეფოს მბძანებელი.

მართალია, მეფე ითვლებოდა უმაღლესს გამგებლად ქვეყნისა, მაკრამ ის არ იყო ერთად-ერთი გადამწყვეტი საქმისა და განუსაზღვრელის უფლების მექონი. დიდებულთა დაუკითხავად და მოუწონებლად ნაბიჯს ვერ გადასდგამდა. რა საქმეც უნდა ყოფილყო, თუ სამეფოსათვის რამე მნიშვნელობა ჰქონდა, დიდებულების ყრილობა უნდა გაემართა და იმათთვის ეკითხა, მოესმინა მათი აზრი და შემდეგ მიეღო უმეტესობის აზრი, თუმცა ხანდახან უმცირესობის აზრსაც არჩევდა და თავის პასუხის გების ქვეშ იქცეოდა. მაგრამ ეს ძალიან იშვიათად მოხდებოდა ხოლმე. ხელისუფლებსაც კი მეფე დიდებულთა რჩევით ნიშნავდა და თვით ლაშქრობის დროსაც მეფეს, როგორც უმთავრესს ჯარის წინამძღოლს, დიდებულები ჰყავდა მრჩევლებად.

სახელმწიფო საქმეების სამართავად მეფეს ჰყავდა ხელისუფლები. ყველაზე დიდი ხელისუფალი იყო მწიგნობართუხუცესი (სახელმწიფო საქმეების უმაღლესი გამგებელი), შემდეგ ამირ-სპასალარი (ჯარის უფროსი წინამძღოლი), მას მოსდევდენ მსახურთუხუცესი (ციხეების და სალაშქრო იარაღის გამგებელი), მანდატურთუხუცესი (პოლიციის უფროსი), მეჭურჭლეთუხუცესი

(სამეფო ხაზინის და ქონების უფროსი გამგებელი), მეჯინიბეთუხუცესი და სხ. ამათ ებარათ მთელის სამეფოს საერთო საქმეები და მეფის მახლობელნი და მუდამ თანამხლებელნი იყვენ. სამეფო გაყოფილი იყო საერისთავოებად და ყველა საერისთავოში თვითო ერისთავი იჯდა, რომელიც მეფის მოალაგე იყო. საერისთავოები იყო: ქართლისა, კახეთისა, ერეთისა, რაჭა-თავკვერისა, სვანეთისა, გურიისა, ეგრისისა, აფხაზეთისა, სამცხისა, კლარჯეთისა. ტფილისში იყო განსაკუთრებული მოხელე ქალაქისა და მის არე-მარის მმართველად, რომელსაც ერქვა ტფილისისა და ქართლის ამირა.

სამხედრო წესიერება საკმაოდ განვითარებული იყო მეთორმეტე საუკუნეში. ყოველი ქართველი, რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო, მოვალე იყო საომრად გამოსულიყო და მეომრად გადაქცეულიყო. მეომრები შეადგენდენ სპასა ანუ ლაშქარს. ლაშქარი გაყოფილი იყო რაზმებად, რომელთაც ჰყავდათ უფროსნი—სპასპეტები. ჯარის ნაწილის უფროსი იწოდებოდა სპასალარად, ხოლო მთავარ-უფროსი მთელის საქართველოს ჯარისა ამირსპასალარად.

ქართველთა გარდა ჯარი სდგებოდა უცხოთაგანაც, რომელნიც მოწვეულ იქნებოდენ ხოლმე ჯამაგირით, მაგალ., ოსები, ყივჩაყები, ვარანგები, და ტყვეებად წამოყვანილთ და გაქრისტიანებულთ მუსულმანთაგან. უკანასკნელთაგან შემდგარი ჯარი იწოდებოდა მონასპად.

გალაშქრების დროს ჯარს თან მისდევდა სპასალარისა და სპასპეტის გარდა ეპისკოპოზი ჭყონდიდელი და ჯვარის-მტვირთველი. ის ჯარი, რომელიც მეფეს ახლდა და იცავდა მას, იწოდებოდა ტაძრეულთა ჯარად.

ჯარი, რომელსაც აყენებდენ ციხეებში დასაცველად, იწოდებოდა ციხოვანად. ციხის უფროსს ერქვა ციხის პატრონი. ომის დაწყების წინად ჯარს აწყობდენ ამნაირად: წინამბრძოლად აყენებდენ სამხრეთის საქართველოს მკვიდრთ, მემარჯვენედ იმიერ-საქართველოს მკვიდრთ და მემარცხენედ ამიერ-საქართველოს მკვიდრთ. ჯარი ორნაირი იყო: ცხენოსანი და ქვეითი.

იარაღი ჰქონდათ ქართველებს: ფარი, მახვილი, წათი, ხმალი, ოროლი, შვილდ-ისარი, შუბი და ლახვარი. სამხედრო ჩაცმულობა: ჯაჭვი და მუზარადი. საომარი მოწყობილობა იყო ფილაკავანი, მოსაგერებელი — სხარტი და ხანდაკი.

საომარი საკრავები იყო: სპილენძ-ჟური, ბუკი, ქოსი და წინწილა.

4. **სამღვდელოება და საეკლესიო წეს-წყობილება.**—საქართველოს ეკლესიის უფროსი იყო კათოლიკოზი ანუ პატრიარქი, რომელსაც ირჩევდა მეფე დიდებულების დაკითხვით მთავარ-ეპისკოპოზთაგან. თუმცა ის ემორჩილებოდა მეფეს, მაგრამ პატივი კი მეფისა ჰქონდა მინიჭებული და დიდს მონაწილეობას იღებდა სამეფოს გამგეობაში დიდებულებთან ერთად. კათოლიკოზის შემდეგ იყვენ მთავარ-ეპისკოპოზები და ეპისკოპოზები, რომელნიც მართავდენ ცალკე მაზრებს, საეპისკოპოზოებად წოდებულებს. კათოლიკოზად და ეპისკოპოზებად ჩვეულებრივ დიდებულთაგანნი ხდებოდენ. ეპისკოპოზებს მოსდევდენ ქორ-ეპისკოპოზები და წინამძღვრები მონასტრებისა. სულ ბოლოს იდგენ ხუცესნი, მღვდელნი და დიაკონნი. ბერობაში ამათ უდრიდენ მონაზონები და მეუდაბნოეები. დიდი პატივი ჰქონდათ აგრეთვე ქორ-ეპისკოპოზებს და წინამძღვრებს, რომელნიც

აგრეთვე დიდებულთა და აზნაურთაგანნი იყვენ. მაგრამ არც ხუცესნი და დიაკონნი იყვენ დაჩაგრულნი, თუმცა ისინი მომეტებულად გლეხ-კაცთაგანნი იყვენ. ისინი გათავისუფლებულნი იყვენ ყოველგვარის ხარჯისა და ბეგრისაგან.

ეპისკოპოზებს ეძლეოდათ სახელი იმ ადგილისაგან, სადაც იყო მათი კათედრა, მაგ. ჭყონდიდელი (ჭყონდიდში), ქუთათელი (ქუთაისში), აწყვერელი (აწყვერში), ტბელი (ტბეთში), ბანელი (ბანაში), ბედიელი (ბედიაში), იყალთოელი (იყალთოში), ურბნელი (ურბნისში), მროველი (რუისში).

სასულიერო სამსახურის გარდა ეპისკოპოზები საერო გამგეობაშიაც იღებდენ მონაწილეობას და ხან სამხედრო თანამდებობაც ეპყრათ. დიდებულთა რჩევაში მონაწილეობას იღებდენ და ლაშქრობაშიაც, თუ თითონ არ წინამძღვრობდენ, მეფეს თან დასდევდენ და რჩევას აძლევდენ. ხოლო ჭყონდიდელი მუდამ მეფის მახლობელი იყო და მწიგნობართ-უხუცესობას ასრულებდა.

სამძიმო საეკლესიო საქმეების გადასაწყვეტად ხშირად მეფე და კათოლიკოზი მართავდენ საეკლესიო კრებას, სადაც იღებდენ მონაწილეობას კათოლიკოზი, ეპისკოპოზები, ქორეპისკოპოზები, წინამძღვრები, მონაზონები, ხუცესები და მეუდაბნოეები.

5. ბონებრივი განვითარება.—პოლიტიკურს გავითარებასთან მეთორმეტე საუკუნეში საქართველო გავითარდა გონებრივადაც. ეს გავითარება მზადდებოდა და ფეხს იდგამდა ადრითგანვე, როდესაც გამრავლდა ქართველთა მონასტრები უცხოეთში, სადაც ბერები თარგმნიდენ ბერძნულითგან, სირიულითგან და სომხურითგან როგორც საღვთო წერილის წიგნებს, ისე ყოველ-

საეე საღვთისმეტყველო, საფილოსოფოსო და სამეცნიერო ნაწერებს.

ამგვარს მწერლობასთან ერთად ქართველები ბერძნულს ენაზედ ცნობილობდენ აგრეთვე ძველის წარმართობის დროის მწერლობას და ეცნობოდენ ბიზანტიის სამართალს, საზოგადო ცხოვრებას და ხელოვნებას — მხატვრობას, არქიტეკტურას და სხვათა. ხოლო მეთორმეტე საუკუნის გაძრიელებულის სამეფოს მთავრობამ საგანგებო ყურადღება მიაქცია საბერძნეთის განათლების შეთვისებას და გადმოღებას საქართველოში. ამ აზრით დავით აღმაშენებელმა გაგზავნა საბერძნეთში 40 ყმაწვილი კაცი, რომელთაც შეისწავლეს საბერძნეთის მწერლობა, მეცნიერება და გადმოიტანეს საქართველოში. დავითის კვალს, უეჭველია, მისდევდენ ამ საქმეში სხვა მეფეებიც და საბერძნეთში ყმაწვილის კაცების გზავნით ხელს უწყობდენ ბიზანტიის განათლების გადმოტანას საქართველოში.

6. **მონასტრების ღვაწლი.**—მეთორმეტე საუკუნეშიაც, როგორც წინადაც, მოღვაწეობდენ უცხოეთში ქართველთაგან დაარსებული მონასტრები, სადაც ბერები განაგრძობდენ თავიანთ შრომას და თარგმნიდენ თუ თავად ადგენდენ და გადაწერით ავრცელებდენ სხვა-დასხვა შინაარსის წიგნებს. ამისთანა მოღვაწეობისათვის მეფეები უხვად სწირავდენ ამ მონასტრებს და გასავითარებლადაც სწორედ იქა ჰგზავნიდენ ყმაწვილს კაცებს.

უცხოეთში ამ საუკუნეში იყვენ შემდეგი ქართველთ მონასტრები: ათონისა, კონსტანტინოპოლისა (რომანასი), კვიპრისა, შავიმთისა (ანტიოქიაში), იერუსალიმისა, სინასი და სხ.

უცხო ქვეყნებში აშენებულის ქართველთა მონასტ-

რების მსგავსად საქართველოს მონასტრებიც ირჯებოდენ და მოღვაწეობდენ, სკოლებს მართავდენ და ზრდიდენ ყმაწვილებს. თვითონ დავით აღმაშენებელმა განგებ დააარსა გელათის მონასტერი იმ აზრით, რომ გამხდარიყო, ათონის მონასტრის მსგავსად, განათლების გამავრცელებლად საქართველოში.

7. არაბების და სპარსების განათლების გავლენა.—საბერძნეთისა და საქრისტიანო აზიის გარდა საქართველოს გავითარებაზე დიდი გავლენა ჰქონდა, როგორც წინა საუკუნეში ისე მეთორმეტეში, მაჰმადიანს აზიასაც—არაბებსა და სპარსებს. საუკუნოებრივი კულტურული კავშირი სპარსეთთან, ცოტა ხნით შეწყვეტილი ქრისტიანობის მიღების პირველს ხანებში, არ შეიძლებოდა არ განახლებულიყო შემდეგში, თუმცა, რა თქმაა, მუდამ ეს კავშირი ქრისტიანობის კონტროლს ქვეშ იქნებოდა. მეთორმეტე საუკუნეში კი მუსულმანთა ერთა კულტურა, მათი მეცნიერება და მწერლობა ისე ძლიერი შეიქნა, რომ ქართველები, თუმცა სულით და გულით ქრისტიანები, მაინც არ ერიდებოდენ და ეწაფებოდენ მათაც. ამის მაგალითს გვაძლევს თვით გვირგინოსანი მეფე დავით აღმაშენებელი, რომელიც არ ერიდებოდა და სწავლობდა ცნობის-მოყვარეობით მაჰმადინთა საღვთო სჯულს—ყორანს. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველები ამ საუკუნეშიაც და წინადაც სწავლობდენ არაბულს და სპარსულს ენებს, ცნობილობდენ მათ მწერლობას და მეცნიერებას და ეცნობოდენ მათ ისტორიას და ცხოვრებას. ამის საბუთად ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ როგორც ორგინალი ისე თარგმანი თხზულებანი მეთორმეტე საუკუნისა: **ვეფხის-ტყაოსანი** რუსთაველისა, **აბდულ-მესია** შავთელისა, **თამარიანი** ჩახრუხაძისა, **ვის-**

რამიანი სარგის თმოგველისა, **ამირან-დარეჯანიანი** მოსე ხონელისა და სხვანი. პირველი სამი თხზულება, თუმცა ორიგინალი თხუზულებანი არიან, მაინც წამოგვიდგენენ დიდს გავლენას არაბ-სპარსთა მწერლებისას და მეცნიერებისას. ხოლო დანარჩენნი ან თარგმნილნი არიან სპარსულითგან ან გადმოკეთებულნი და ამნაირად მომასწავებელნი სპარსეთის მწერლობის გავლენისა.

ამნაირად ქართველთა განათლება და კულტურა მეთორმეტე საუკუნეში იყო ორის ერთი-ერთმანერთის წინაამდეგის ელემენტის შეზავებულის გავლენის ქვეშ— ქრისტიანულისა და მუსულმანურისა.

8. **ეკონომიური მდგომარეობა.**—თუმცა ჩვენ ბევრი არაფერი ცნობები გვაქვს ქართველის ერის ეკონომიურის მდგომარეობის შესახებ მეთორმეტე საუკუნეში, მაინც შეგვიძლიან ვიქონიოთ საზოგადო წამოდგენა მის შესახებ. წინა საუკუნის დამლევს საქართველო ძალიან დავარდნილი იყო ნივთიერად. 1080 წლითგან მოკიდებულმა თურქთა გამუდმებულმა შემოსევამ რაოდენისამე წლის გამავლობაში სულ ააფორიაქა ერის სიმდიდრე და ცეცხლს მისცა სოფლები და ქალაქები, ტყეები, ვენახები და დათესილი ჭირნახული. თურქებმა დაანგრიეს ციხეები, სიმაგრეები, მონასტრები და საყდრები და მოიტაცეს რაც კი რამ ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ქვები და ჭურჭელ-იარაღი ნახეს. გაწყდა აუარებელი რიცხვი ქართველთა და, ვინც გადარჩა, დიდს სილარიბეში ჩავარდა.

მეთორმეტე საუკუნეში-კი სრულებით სხვა სურათს წამოადგენს საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა. მთელის ამ საუკუნის გამავლობაში ქართველს ერს მტრის შიში არა ჰქონია და ამიტომ იგი არხეინად და გულ-

მოდგინედ შრომობდა. უმთავრესი შრომა-კი მიწის შემუშავება იყო. საქართველოს მადლიანი ნიადაგი კარგს ნაყოფს აძლევდა მშრომელს და ამიტომ ქართველს სარჩოც უხვად ჰქონდა. მშვიდობიანის შრომით ნაშოვნს სარჩოს ქართველობა უმატებდა ომიანობის დროის ნაშოვნს სიმდიდრეს. ქართველთა ყოველს გამარჯვებას თან დიდის ალაფის შოვნა მოსდევდა. ომში ნაშოვნი ალაფი ამდიდრებდა ყველას: მეფის ხაზინას, დიდებულთ, აზნაურთ და გლეხთა. ეკონომიურად მოღონიერებულმა და სასოება-მიცემულმა ქართველობამ ააშენა სოფლები, ქალაქები, მონასტრები და საყდრები, გაიყვანა გზები და არხები. ვინც-კი გამრჯელი და მკლავ-მაგარი იყო, ყველას ჰქონდა სარჩო. ხოლო ვისაც რაიმე მიზეზით არ შეეძლო შრომა ან ომით სარჩოს შოვნა, უხვს მოწყალებას ღებულობდა მეფისა და დიდებულთაგან.

სიმდიდრის დატრიალების გამო აღებ-მიცემობაც გავითარდა. ეკონომიურად მოღონიერებამ გაამრავლა ქართველთა რიცხვი ისე, რომ მეცამეტე საუკუნის ნახევარში, მონგოლთა შემოსევის შემდეგ საქართველოში, მატიანის მოწმობით, 4.000,000 მკვიდრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. თუ მაშინ ამდენი იყო, მეთორმეტე საუკუნის საქართველოს სამეფოში 8 ან 6 მილიონი მაინც იქნებოდა.

XIV

თათრების მფლობელობის დრო.

საქართველოს განაწილება ნოინთა შორის.— უმეფობ . . .— დიდებულების ბეგობა კოხტის-თავზე და მათი შეპყრობა თათართაგან.— ცოტნე დადიანის საქციელი.— გიორგი ლაშას შვილის დავითის გათავის

უფლება და გაგზავნა მისი ყარაყორუმს.—ორის მეფის დადგენა თათართა-გან. —დავით მეოთხის გადგომა თათართაგან.—დავით მეხუთის მდგომარეობა.—საქართველოს აღწერა თათართაგან ხარჯების და სალაშქრო ბეგრის შესაწერად.—დავით მეხუთის გადგომა თათართაგან და შერიგება მათთან.—დავით მეხუთის და სარგის ჯაყელის ურთიერთობა.—თეგუთარის აჯანყება აბაღა ყაენის წინააღმდეგ და მისი დამარცხება.—დავით მეხუთის საკვდილი და უმეფობა ამიერ-საქართველოში.—კახაბერ ერისთავის მოქმედება.—დავით მეოთხის საკვდილი.

1. საძარცველოს განაწილება ნოინთა შორის.

—რუსუდან მეფის საკვდილის შემდეგ საქართველო უმეფოდ დარჩა. დიდებულები თავთავისთვის გადგენ და როგორც უნდოდათ ისე იქცეოდენ. იმათ მარტო-ღა თათრების სამსახური აწუხებდა. თათრის ოთხს ნოინს (მთავარს) საქართველოს დიდებულები განაწილებულები ჰყავდათ ერთმანეთში სალაშქრო სამსახურისა და ხარკის მოკრებისათვის და თვითოეულს დიდებულს ერთერთს ნოინთან ჰქონდა საქმე. ამ ნოინებმა ქართველთ დიდებულთა შორის დანიშნეს დუმნის-თავები ე. ი. ათიათასის-თავები, რომელთაც უნდა შეეკრიბათ ქართველთა შორის ათი-ათასი მეომარი და მათი წინამძღოლობა გაეწიათ ლაშქრობის დროს. თათრების მფლობელობის პირველის დროის დუმნის-თავები იყვნენ: **ეგარსლან ბაკურციხელი, შანშე მხარგძელი, ვარამ გაგელი, გრიგოლ სურამელი, გამრეკელ თორელი, ცოტნე დადიანი და კახაბერ რაჭის ერისთავი.** ამ დიდებულების საშუალებით იცავდენ თათრის ნოინები თავიანთ მფლობელობას საქართველოში და ამიტომ ისინი შეიქნენ სხვა დიდებულებზე მეტად გავლენიანები.

2. **უმეფობის შედეგი.**—თათრების მფლობელობა ორს საქმეს ავალებდა ქართველებს: ხარჯის ძღევას და ლაშქრად წასვლას. სხვაფრივ ქვეყნის გამგეობა ისევ ძველებური დარჩა. ცვლილება ერთი ის მოხდა ამ გამ-

გეობაში, რომ უმეფობის გამო, მეფის ადგილი დიდებულებმა დაიჭირეს თავთავიანთ სამფლობელოში. ყოველივე ეს მეტად შემაწუხებელი იყო ქართველის ხალხისათვის. ხარჯის გადახდა აღარიბებდა ხალხს, ლაშქრობა აცდენდა მშვიდობიანს შრომას და ტყუილუბრალო სისხლს აღვრევინებდა, ხოლო უმეფობა ამყარებდა დიდებულების თავნებობას. არც დიდებულებისთვის იყო სასარგებლო საქართველოს მდგომარეობა. ხალხის სიღარიბე და შეწუხება იმათ სიღარიბეს და შეწუხებას მოასწავებდა, ხოლო მათი თავნებობა იწვევდა ხალხის მღელვარებას, რომელიც მათვე ატყდებოდა თავის სამწუხარო შედეგებით. ამიტომ უკმაყოფილობა საერთო შეიქნა მთელს ქართველს ერში. დიდებულები შეუდგენ იმის ფიქრს თუ როგორ გაეთავისუფლებინათ საქართველო თათართა მფლობელობისაგან.

3. **დიდებულების ბჭობა კოხტის-თავზე და მათი შეპყრობა თათართაგან.**—ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად საქართველოს წარჩინებულმა დიდებულებმა **შანშე მხარგძელმა, ეგარსლან ბაკურ-ციხელმა ცოტნე დადიანმა, ვარამ გაგელმა, ყვარყვარე ციხისჯვრელმა, შოთა კუპრმა, გამრეკელ თორელმა, სარგის თმოგველმა** და სხვებმა მოიყარეს თავი კოხტის-თავზე. აქ მათ დაადგინეს, რომ შეერთებულიყვნენ ყველანი და დაეწყოთ ბრძოლა თათრებთან. დანიშნეს ადგილი, სადაც უნდა ყველანი მისულიყვნენ თავიანთ ჯარით თავის დროზე. ჯერ კიდევ მთლად არ დაშლილიყო კრება და მომეტებული ნაწილი დიდებულთა არ წასულწამოსულიყო, რომ კოხტის-თავზე გაჩნდენ თათრები. დიდებულთა კრების და სათათბირო საგნის შესახებ ცნობამ თათრის ნოინებამდე მიაწია თურმე და იმათაც ამი-

ტომ სწრაფად გაგზავნეს ჯარი შეკრებილთა შესაპყრობლად. შეპყრობილი დიდებულები წაასხეს ანს და წარუდგინეს **ქარმალან-ნოინს.** ამის კითხვაზე, თუ რა იყო მიზეზი შეკრებისაო, დიდებულებმა უპასუხეს, ჩვენ შევიკრიბენით იმიტომ, რომ ერთად მოგველაპარაკნა თუ რანაირად მოგვეგვარებინა თქვენი სამსახური და თქვენთვის ხარჯის ძღევაო. თათრებმა, რასაკვირველია, ეს არ დაიჯერეს და გამოსატეხად შეუდგნენ მათ წამებას. გააშიშვლეს დიდებულები, შეუკრეს ხელები და პაპანაქება სიცხეში გარედ დასხეს მზეზე. ასე ეპყრობოდენ და თან ემუქრებოდენ, გამოტყდით, თორემ დაგხოცავთო. დიდებულები მაგრად იდგნენ და სულ ერთსა და იმავე პასუხს აძლევდენ. ამ სატანჯველში იყვნენ ისინი დიდს ხანს.

4. **ცოტნე დადიანის საქციელი.**—მოაწია დანიშნულმა დრომ. როდესაც უნდა შეთქმულებს თავი მოეყარათ ჯარით ქართლში. დიდებულების შეპყრობის არ მცოდნე ცოტნე დადიანმა შეკრიბა ჯარი და გაემართა დანიშნულის დროსთვის ქართლისკენ. დიდებულების ამბავი შეიტყო მან მხოლოდ სამცხის სამძღვარზე. დადიანმა თავისი ლაშქარი უკანვე გაგზავნა, ხოლო თითონ ორის მხლებელით გაემართა ანისაკენ, რადგან მისმა გულმა ვერ მოითმინა მიეტოვებინა განსაცდელში ამხანაგები, რომლებთანაც მასაც წილი ედო იმაში, რისთვისაც ისინი იტანჯებოდენ. ანში ცოტნე დადიანმა რომ დაინახა მოედანზე გაშიშვლებული და ხელებ-შეკრული თავის ამხანაგები, ფიცხლად ჩამოხტა ცხენითგან, გაიხადა ტანისამოსი, შეაკვრევინა მხლებლებს ხელები და დაჯდა დიდებულებთან. ეს უცნაური ამბავი მაშინვე შეატყობინეს ნოინს. როდესაც დადიანს ჰკითხეს მიზეზი

მის საქციელისა, მან აუხსნა, რომ ისიც სხვა დიდებულებთან ერთად იყო კოხტის-თავზე და ისიც ისევე დამნაშავეა, როგორც მისი ამხანაგები. კრების მიზეზად იმანაც ისევ დაასახელა, რაც მის ამხანაგებს ჰქონდათ დასახელებული. დადიანის საქციელმა დიდი ჩაბეჭდილება მოახდინა თათრებზე და იმათაც ყველანი გაათავისუფლეს.

5. **გიორგი ლაშას შვილის დავითის გათავისუფლება და გაგზავნა მისი ყარაყორუმს.**—მართალია, შეთქმულები გადარჩენ სასჯელს, მაგრამ ქვეყანას არაფერი შეღავათი მისცემია. დიდებულებში ერთობის მაგიერ ახლა უფრო ქიშპობამ იმატა. თუ ერთერთი ვინმე მათგანი გამოვიდოდა მეტის გავლენის და ძალის მქონე, სხვები შურით შეჰყურებდენ. ასეთი იყო ეგარსლან ბაკურციხელი, რომელმაც დიდი გავლენა მოიხვეჭა როგორც ქართველთა შორის, ისე თათრებში. მას ყველანი მორიდებით და მოკრძალებით ეკიდებოდენ, მაგრამ მაინც არ შეეძლო შეერიგებინა ყველა ქართველი დიდებულები, როგორც მას ჩვეულ იყვნენ ქართველები მეფისაგან. ამიტომ ქვეყნის გულ-შემატკივარი დიდებულები ნატრობდენ მეფის დაბრუნებას ყარაყორუმითგან. მაგრამ არ იქნა, არ გამოუშვა ყაენმა დავით რუსუდანის შვილი. მეფის ნატვრაში ქართველმა დიდებულებმა ერთი სასიხარულო ამბავი შეიტყეს. საქართველოში გავრცელდა ხმა, რომ გიორგი ლაშას შვილი დავითი ცოცხალი ყოფილა საპყრობილეში გამომწყვდეული რუსუდანის სიძის ყიასდნის მიერ. დიდებულებმა მაშინვე გადაწყვიტეს გაეთავისუფლებინათ დავითი და გაემეფებინათ. იმათ მიმართეს თათრის ნოინებს, შეატყობინეს დავითის ამბავი და ითხოვეს მის მეფედ გამოცხადება. ნოინებმა მოსთხოვეს არზრუმის მფლობელს,

რომ გაეთავისუფლებინა დავითი. გაგზავნილმა კაცებმა მართლაც დავითი ცოცხალი ნახეს და მოიყვანეს საქართველოში. მაგრამ ნოინებმა ვერ სცნეს შესაძლოდ მისი გამეფება დიდის ყაენის დაუკითხავად და გაგზავნეს ისიც პირდაპირ დიდს ყაენთან ყარაყორუმში (1249 წ.).

6. ორის მეფის დადგენა თათართაგან.—ამნაირად დიდის ყაენის კარზე გაჩნდა ორი ქართველი მეფისწული, ორი მთხოვნელი საქართველოს სამეფო ტახტისა. ქართველს დიდებულებში ერთსაც ჰყავდა მომხრეები, მეორესაც. დიდმა ყაენმა არ იცოდა უპირატესობა რომლისთვის მიეცა და ამიტომ აგვიანებდა ერთერთის დამტკიცებას მეფედ. ბოლოს დიდმა ყაენმა ორივე მეფისწული გამოუგზავნა დასავლეთ-აზიის ყაენს ულოს და მისწერა, რომ ორნივე გაემეფებინა საქართველოში. ულო ყაენმაც შეასრულა დიდის ყაენის სურვილი **და** ორივე დავითი გამოაცხადა საქართველოს მეფეებად (1253 წ.)

აქამდის ერთი მეფეც ენატრებოდა ქართველებს და ახლა ერთად ორი მეფე გაუჩნდათ. ღვთის წყალობაც ესეთი უნდოდა თათრების მხრით მოვლენილი. ორი მეფე ერთს ტახტზე ძალიან ჭკვიანური აზრი იყო თათართა პოლიტიკის შეხედულობით. ისედაც დაუძლურებული საქართველო, ცხადია, უფრო დაუძლურდებოდა და დანაწილდებოდა ორის მეფის ხელში. აკი ეგრეც მოხდა. ამას ხელს უწყობდა მეფეების სხვადასხვაობა ხასიათისა და ღირსების მხრით. დავით რუსუდანის შვილი, ცნობილი ისტორიაში **დავით მეოთხედ** ანუ **დავით ნარინად**, იყო გონიერი, წინდახედული და მოხერხებული. პირიქით, დავით ლაშას ძე, ცნობილი **დავით მეხუთედ**, იყო მოკლე ჭკუის კაცი, ჯიუტი და თან ადვილად გასაბრიყვებელი, ამყოლი თავის გულის წადილისა.

7. **დავით მეოთხის გადგომა თათართაგან.** — წინანდებურად თათრები ქართველებს ორნაირს სამსახურს სთხოვდენ: ლაშქრობას და ხარჯს. მეფეებიც ამ სამსახურზე იყვნენ გადაყოლილნი. გამუდმებულმა ლაშქრობამ შორეულს ქვეყნებში და თათრების გულისთვის ქართველის ხალხის ყვლეფამ მეფეებიც უკიდურესად შეაწუხა. უფრო მეტად სწუხდა დავით მეოთხე, როგორც უფრო შეგნებული ადამიანი, და ცდილობდა თავის ხალხის ინტერესების დაცვას თათართა ძალმომრეობისაგან. ამიტომაც იყო, რომ თათრებმა შეიძულეს დავით მეოთხე. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ თათრებმა შეიპყრეს ულო ყაენთან ყოფნის დროს დავით მეოთხე და გაგზავნეს ბარდავს პატიმრად. გზაში, ნახიჩევანში გამოვლის დროს, დავით მეოთხემ მოახერხა თავის დახწევა თათართაგან და გაპარვა ორის მხლებელითურთ. ახლა კი გადაწყვეტილი ჰქონდა მას სრულებით გასდგომოდა თათრებს და აღარ დამორჩილებოდა მათ. მაგრამ სად უნდა წასულიყო? ტფილისში მისვლას აზრი არა ჰქონდა, რადგან იქ მას დახვდებოდა დავით მეხუთე, რომელიც არ დაეთანახმებოდა მას თათართაგან გადგომაზე, ამიტომ გასწია პირდაპირ ქუთაისისკენ. აქ დავით მეოთხე დიდის ამბით მიიღეს მცხოვრებლებმა და გამოაცხადეს საქართველო თათართაგან დამოუკიდებლად. დავით მეოთხემ შეინარჩუნა საქართველოს მეფის ტიტული და საქართველოც დამოუკიდებლად გამოაცხადა, მაგრამ ნამდვილად ის მხოლოდ იმიერ-საქართველოს მეფედ შეიქნა, რადგან ამიერ-საქართველოში თათრების ხელმწიფება და დავით მეხუთის უფლება ხელუხლებელნი დარჩნენ. თათრებს თუმცა დიდი სურვილი ჰქონდათ იმიერ-საქართველოც მათ ხელთ ყოფი-

ლიყო, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, რადგან ყოველი მათი რაზმი, ლიხთ იქით გადასული, უკან ბრუნდებოდა დამარცხებული.

8. **დავით მეხუთის მდგომარეობა.** — დავით მეხუთე განაგრძობდა თათრების სამსახურს და ხან აქეთ მიდიოდა მათ ბრძანებით სალაშქროდ, ხან იქით. ის ემორჩილებოდა არა მარტო ერთს ყაენს, არამედ ხანდახან ორსაც. საქართველო დიდის ყაენის ბრძანებით შეადგენდა დასავლეთ-აზიის საყაენოს ნაწილს, მაგრამ რადგან ამ საყაენოს ნაწილებზე ცდილობდა თავის ხელმწიფების გავრცელებას ჩრდილოეთის (ახლანდელის რუსეთის) საყაენოს მფლობელი **ბათო**, ამიტომ დავით მეხუთეც, ამ ორს საყაენოს სამძღვრად მყოფი, იძულებული იყო **ულო** ყაენსაც დამორჩილებოდა, **ბათო** ყაენსაც.

9. **საქართველოს აღწერა თათართაგან ხარჯების და სალაშქრო ბეგრის შესაწერად.** — როგორცა ვთქვით, თათრებს დამორჩილებულს ქვეყნებში უმთავრესად ის აინტერესებდა, რომ რაც შეიძლება მეტი ხარჯი გადაეხდევინებინათ და კარგი ლაშქარი ეშოვნათ. საქართველოს ლაშქრისა ისინი ძალიან კმაყოფილნი იყვნენ. ხარჯის აღების კარგად მოსაწყობად საჭირო იყო დაწვრილებით და დანამდვილებით სცოდნოდათ მოხარჯე მკვიდრთა და მათ ქონების რაოდენობა. ამ აზრით დიდის ყაენის განკარგულებით მთელს სათათრო სამფლობელოში მოახდინეს აღწერა. საქართველოც აღწერილ იქმნა და გამოირკვა თათრებისთვის, თუ რავდენი ჯარი და რა გადასახადი შეეძლო მიეცა. საქართველოს ანუ, უკეთ ვთქვათ, მხოლოდ ამიერ-საქართველოს, რომელიც დავით მეხუთეს ემორჩილებოდა, შეაწერეს 90, 000 ჯარის კაცის გამოყვანა მოთხოვნილებისამებრ. გა-

დასახადიც ხელახლად დააწესეს ახალის ცნობების მიხედ-ვით. ყოველნაირს საქონელზე დაადეს გადასახადი, ლაშ-ქრის ხარჯიც ხალხს დააკისრეს და ყოველის ყიდვა-გა-ყიდვის დროს საქონლის ღირებულობის სამს ნაასალს სახაზინოდ ახდევინებდენ. გადასახადების გაწერა და მოკ-რეფა მიანდეს თავიანთ მოხელეებს, რადგან მეფესა და მის მოხელეებს აღარ ენდობოდენ (1258 წ.).

10. დავით მეხუთის გადგომა თათართაგან და შერიგება მათთან.—მეტად მძიმე შეიქნა ქართველე-ბისთვის როგორც სალაშქრო სამსახური, ისე გადასახა-დების ძლევა. ეს სიმძიმე იგრძნო თვით დავით მეფემაც და ამიტომ იმანაც მოინდომა თათართაგან გადგომა და გათავისუფლება. მაგრამ მისი არაფერი სწამდათ-რა დი-დებულებს, არც ნიჭი, არც გამბედაობა და არც მოხერ-ხება და ამიტომ იმის წინადადებაზე, რომ აღარ გაჰყო-ლოდენ ქართველები თათრებს სალაშქროდ, დიდებულთა მომეტებულმა ნაწილმა უარი გამოუცხადა. მეფის წინა-დადება მიიღო სამცხის ერისთავმა **სარგის ჯაყელმა** და კიდევაც თავი შეაფარებინა მას თავისთან, რადგან დავით მეფეს შეეშინდა ტფილისში ყოფნისა.

თათრებმა, ლაშქრობითგან დაბრუნების შემდეგ, გაგზავნეს სამცხეში ჯარი დავითის და მის მომხრე სარგის ჯაყელის და სხვა დიდებულების წინაამდეგ. აქ მოხდა ბრძოლა, რომელშიაც თავდაპირველად ქართველებმა გაიმარჯვეს. მაგრამ ბოლოს ქართველებისავე დახმარებით თათრებმა დაამარცხეს სამცხის ჯარი და მეფე იძულებუ-ლი შეიქნა ქუთაისს გაქცეულიყო თავის მამიდაშვილს მე-ფე დავით მეოთხესთან.

თათრებმა ვერ გაბედეს იმიერ-საქართველოში შეს-ვლა და გამართეს მოციქულობა დავით მეხუთესთან.

ისინი წინადადებას აძლევდენ დაბრუნებულიყო ტფილისს და ჰპირდებოდენ ხელუხლებლობას. თათრების ასეთს წინადადებას ის აზრი ჰქონდა, რომ მუდამ ხელთ ჰყოლოდათ მეფე. შორს მყოფი, თავისუფალი მათ გავლენისაგან და ისეთის ჭკვიანის კაცის ახლო, როგორც იყო დავით მეოთხე, სუსტი და უხასიათო დავით მეხუთე უფრო საშიში იყო, ვიდრე ტფილისში. თათრების წინადადებამ გასჭრა და დავით მეხუთე დათანხმდა ტფილისს დაბრუნებას იმ პირობით, რომ მის ხელთ გადაეცათ თათრების მიერ დაყენებული ხარჯთ ამკრეფი **ხოჯა-აზიზი**, რომლის მოქმედებითაც სთვლიდა თავის თავს იძულებულად გასდგომოდა თათრებს. თათრებმა მეფეს ეს პირობა შეუსრულეს და მისცეს ხოჯა-აზიზი. მეფემ იყარა ხოჯა-აზიზის ჯავრი მით, რომ მაშინათვე თავი მოაკვეთინა მისთვის.

11. **დავით მეხუთის და სარგის ჯაყელის ურთიერთობა.**—შემორიგებული მეფე ყაენმა დაიბარა თავისთან. ცხადი იყო, რომ ყაენი მოსთხოვდა დავითს პასუხს მის გადგომის გამო და შეიძლება რამე აეტეხნა კიდეც მისთვის. სარგის ჯაყელმა სთხოვა მეფეს, რომ ისიც თავისთან ერთად წაეყვანა ყაენთან. ჯაყელს უნდოდა თვითონ ელაპარაკნა ყაენთან და გაემართლებინა მეფე, რომლის ჭკუისაგან არ ჰქონდა იმედი, რომ ემართლა თავი. ის თავის თავს სთვლიდა ზნეობრივად პასუხის მგებლად მის გადგომისათვის, რადგან მან დაუჭირა მხარი მეფეს, როცა სხვები წინაამდეგნი იყვნენ, გასდგომოდენ თათრებს. ყაენმა შეიტყო, რომ სარგის ჯაყელიც აპირებდა მასთან მისვლას და ამიტომ მოსწერა მეფეს, მარტოდ მისულიყო მასთან და სარგისი არ წაეყვანა. სარგისი მაინც წაჰყვა მეფეს, მასთან ერ-

თად წასდგა ყაენთან და დაიწყო მისი გამართლება. მეფის საქციელს აბრალებდა თავის თავს და ყველაფრის მიზეზად აცხადებდა ხოჯა აზიზს, რომელიც სულს უხეთავდა მთელს ქვეყანას. ყაენი ძალიან განაწყენებული იყო სარგის ჯაყელზე და, უეჭველია, ცუდს საქმეს დამართებდა მას, რომ ამ დარბაზობის დროს არ მოსვლოდა ცნობა, რომ ბათო ყაენი შემოესია საყაენოსო.

ამ საშინელის ამბის გაგონებაზე ულო ყაენმა დაივიწყა თავისი ჯავრი და რისხვა სარგის ჯაყელისადმი და მაშინვე შეუდგა განკარგულებას, რომ ჯარი დაძრულიყო ბათო ყაენის შესახვედრად. დავით მეფე და სარგის ჯაყელიც თან წაიყვანა ყაენმა სალაშქროდ. ამ ლაშქრობაში, რომელშიც სარგის ჯაყელმა დიდი სიმამაცე და ვაჟკაცობა გამოიჩინა, გამარჯვებული დარჩა ყაენი. მადლობელმა ყაენმა სარგის ჯაყელს დიდი წყალობა მისცა და სხვათა შორის უბოძა სამფლობელოდ კარნუ-ქალაქი (არზრუმი). ქართველს დიდებულებს შეშურდათ ასეთი წყალობა სარგის ჯაყელისთვის და ჩაგონეს მეფეს, ვითომ მისთვის საწყენი ყოფილიყვეს მის ყმისთვის ასეთის წყალობის მიცემა ყაენისგან იმ დროს, როცა მეფისთვის ამის ფასი არა მიუცია-რაო. ჭკუა-სუბუქმა მეფემ ეს დაიჯერა, მართლა იწყინა და გამოუცხადა თათრის ნოინებს თავისი უკმაყოფილობა. ამის გამგონე ყაენმა აღარ მისცა ჯაყელს კარნუ-ქალაქი. ჯაყელი კი ამის გამო ძალიან გულნაკლული შეიქნა მეფეზე და მას აქეთ დაშორდა მას. ხოლო როდესაც შემდეგში სარგის ჯაყელი დაიჭირა დავით მეფემ, იმ დროს, როდესაც ყაენმა მოიწვია იგი მეფესთან ერთად სალაშქროდ, მის დამოკიდებულება მეფესთან პირდაპირს მტრობად გადაიქცა. დატყვევებული ჯაყელი ყაე-

ნის ბრძანებით გაათავისუფლა დავითმა. მას აქეთ ჯაყელი სრულებით დამოუკიდებელი შეიქმნა დავით მეფისგან და სამაგიეროდ დაემორჩილა ყაენს.

12. **თეგუთარის აჯანყება აბაღა ყაენის წინააღმდეგ და მის დამარცხება.**—სარგის ჯაყელმა მალე დიდი სამსახური გაუწია ყაენს **აბაღას**, ულო ყაენის შვილს, რომელიც გაყაენდა თავის მამის სიკვდილის შემდეგ 1264 წ. აბაღას საყაენოში ცხოვრობდა თავის ელით (მცირე ტომია) დიდის ყაენის **ბარახას** ძმა **თეგუთარი.** ამ თეგუთარმა მოინდომა აბაღასთვის წაერთმია ყაენობა და ამის შესახებ აცნობა თავის ძმას. ძმამაც მოუწონა განზრახვა და დაპპირდა დანიშნულს დროს შემოსევა აბაღას საყაენოში. აღნიშნულს ვადაზე თეგუთარი აიშალა თავის ელით და დააპირა იმიერ-საქართველოსკენ წასვლა დავით მეოთხესთან შესაერთებლად. გზად უნდა გაევლო სამცხეზე. სარგის ჯაყელმა რომ გაიგო მის განძრახვა, წინაამდეგობა გაუწია და თან აცნობა ნოინს. თათრებმა და ქართველებმა თეგუთარი რავდენჯერმე დაამარცხეს ბრძოლაში. თეგუთარმა მაინც მოასწრო იმერეთს გადასვლა და ამნაირად გადარჩენა სრულის განადგურებისაგან. თეგუთარის ძმამ თუმცა დაიგვიანა დანიშნულს ვადაზედ, მაგრამ მაინც შემოესია აბაღას საყაენოს. აქაც აბაღას ჯარმა, რომელშიაც იბრძოდნენ ქართველებიც დავით მეფის წინამძღოლობით, დაამარცხა მტერი. თავის მამასთან შესაერთებლად იმერეთითგან გადმოსული სამცხეს თეგუთარი ხელახლად დამარცხდა და ხელთ ჩაუვარდა თათრებს ტყვედ, რადგან აბაღა ყაენის თხოვნით დავით მეხუთემ აღარ შეუშვა იმერეთს. ამნაირად თავიანთ უთანხმოებისაგამო ქართველებმა დაკარგეს შემთხვევა, რომ გათავისუფლე-

ბულიყვნენ ყაენის ხელმწიფებისაგან. იმის მაგივრად რომ ესარგებლათ თეგუთრის აჯანყებით და ბარახა ყაენის შემოსევით, ქართველებმა ცხარე მონაწილეობა მიიღეს ერთის შემუსვრაში და მეორის განდევნაში.

13. დავით მეხუთის სიკვდილი და უმეფოება ამიერ-საქართველოში.—ამის შემდეგ მალე მოკვდა დავით მეხუთე (1269 წ.) და მისი სამეფო მის მემკვიდრის **დიმიტრის** მცირეწლოვანობის გამო რავდენსამე წელს კიდევ უმეფოდ დარჩა.

14. კახაბერ ერისთავის მოძმეობა. დავით მეოთხის სიკვდილი.—იმიერ-საქართველოს მეფე დავით მეოთხე თავისთვის განაგრძობდა მშვიდობიანს ცხოვრებას თათართა უღლისგან თავისუფალი. მისი სამეფო ისე მიუდგომელი იყო, რომ ამიერ-საქართველოთგან იქ გადადიოდენ თათართაგან თავის საშველად. თათრები თავის თავად ვერ გაბედავდენ ამ ქვეყანაში შესვლას, რომ არ გამოსჩენოდათ ჩამგონებელი და დამხმარე რაჭის ერისთავი კახაბერი. პირადის ინტერესით გატაცებულმა კახაბერმა მიმართა აბაღა ყაენს და სთხოვა, რომ მის წინამძღოლობით გაეგზავნა იმერეთს ჯარი. მართლაც თათრის ჯარმა (30,000 კაცმა) მოახერხა შესვლა და მოულოდნელად თავდასხმა ქუთაისზე. მეფე ამ დროს აბანოში იყო და ძლივს მოასწრო გაქცევა. თათრებმა დაიწყეს ქალაქისა და მიდამოების აკლება. დავით მეფემ ხელათ შეაგროვა ჯარი და თავს დაეცა თათრებს, რომელნიც სწრაფად გამობრუნდენ უკან. ამნაირადვე შეუძღვა კახაბერ ერისთავი თათრებს მეორე ჯერ და ამნაირადვე სწრაფად განდევნილ იქნენ ქართველთაგან. დავით მეფემ ამის შემდეგ გამოდევნა რაჭითგან კახაბერ ერისთავი. მაგრამ რავდენისამე ხნის შემდეგ კახაბერმა

სოხოვა დავით მეფეს პატივება და დაბრუნება რაჭაში. დავით მეფემ შეისმინა მისი თხოვნა და სინანული და დაბრუნა, მაგრამ კახაბერმა არ დაიცვა თავისი ფიცი და კიდევ შეუდგა ღალატს. მან მისწერა წერილი ჯავახეთში მდგარს თათრის ნოინს, რომ შემოსულიყო ჯარით იმერეთს და პირდებოდა თავის მხრით შემწეობას. ეს წერილი დავით მეფეს ჩაუვარდა ხელთ. მეფემ შეიპყრა კახაბერი, დასწვა თვალები და მოაკვეთინა თითო ხელი და ფეხი, ხოლო ორი მისი შვილი განდევნა სამეფოთგან.

ამის შემდეგ დავით მეოთხემ იცხოვრა მშვიდობიანად და გადაიცვალა მოხუცებული (1293 წ.).

XV

თათრების მფლობელობის დრო.

(შემდეგი და დასასრული).

დიმიტრი მეორის გამეფება.—სამეფოს მდგომარეობა.—დიმიტრი მეფის თავდადება.—ვახტანგის მეფობა.—დავით მეექვსის გამეფება და მისი გადგომა თათართაგან.—გიორგი მეზუთის გამეფება ყაენისგან.—დავით მეფის და მის ძმის ვახტანგის მტრობა.—ვახტანგის გამეფება.—ხარბანდა ყაენი დაქართველობა.—გიორგი მეექვსის გამეფება.—გიორგი მეზუთის ხელმეორედ გამეფება.

1. **დიმიტრი მეორის გამეფება.**—დავით მეხუთის სიკვდილის შემდეგ ამიერ-საქართველოს ტახტი ცარიელი დარჩა სამის წლის გამავლობაში, რადგან დავით მეფის შვილი დიმიტრი პატარა იყო და ყაენმა არ დაამტკიცა მეფედ. ქართველები ამ ხნის გამავლობაში პირდაპირ ყაენსა და მის ნოინებს ემორჩილებოდნენ. დიდებულებმა დაინახეს, რომ თათრები უმეფობის გამო ძალიან ავიწროებდნენ ქვეყანას და ამიტომ გადაწყვიტეს

მოეთხოვნათ დიმიტრის გამეფება. ყაენმა შეიწყნარა ეს თხოვნა და დიმიტრი დაამტკიცა მეფედ (1272 წ.)

2. **სამეფოს მდგომარეობა**. – დიმიტრი მეფის უმთავრესი ხელისუფალი იყო ათაბაგი **სადუნ მანკაბერ-დელი**, რომელიც მეფის მცირეწლოვანობის გამო სამეფოს მართავდა როგორც მეფის მზრუნველი. დიმიტრის მამაზე გამწყარალი სამცხის ერისთავი სარგის ჯაყელი ახლა ხომ უფრო აღარაფერში ემორჩილებოდა მეფეს. თათრების მფლობელობაც უფრო გამტკიცდა და ქართველები ერთგულად სწევდნენ თათრების სამსახურს: აძლევდენ ხარჯს და ლაშქრობდნენ აზიის შორეულს ქვეყნებში. თუ რა შედეგი მოჰყვა თათრების მფლობელობას, ეს აღმოაჩინა ამიერ-საქართველოს მეორე აღწერამ, რომელიც მოახდინეს თათრებმა დიმიტრის მეფობაში. ამ აღწერამ ცხად-ჰყო, რომ სულ მცირე ხნის გამავლობაში საქართველოში შესამჩნევად ეკლო მცხოვრებთა რიცხვსაც და ხალხის ნივთიერს შეძლებასაც.

ნივთიერს გავლენასთან თათრებმა ზნეობრივი გავლენაც იქონიეს ქართველებზე, უმთავრესად კი მეფესა და დიდებულებზე. ამის ცხადს მაგალითს იძლევიან მეფე დიმიტრი და მისი ათაბაგი სადუნ მანკაბერდელი, რომელთაც ერთსა და იმავე დროს სამ-სამი ცოლი ჰყავდათ. ქართველების ძველის ზნე-ჩვეულების დამცველებად და თათრების გამხრწნელის გავლენის მოწინააღმდეგეებათ გამოვიდენ ეკლესიის მსახურნი, რომელთა შორის მოსახსენებელნი არიან **ნიკოლოზ კათოლიკოზი, ბასილ მონაზონი, პიმენ სალოსი გარესჯელი და ანტონ ნაოხრებელიძე**.

მეფე დიმიტრი პირადად ძალიან გულ-კეთილი კა-

ცი იყო, ზრუნავდა ქვეყნის სიკეთისათვის, მაგრამ არ ჰქონდა არც იმოდენა ჭკუა და არც იმოდენა ხასიათის სიმტკიცე, რომ რამე წინაამდეგობა გაეწია თათრებისათვის საქართველოს სიკეთისათვის ის სხვა ღონეს არა ხედავდა თათართათვის ერთგულის სამსახურის გარდა.

თავის ერთგულის სამსახურის მიუხედავად დიმიტრი შეიქნა თათრების ყაენის ძალმომრეობის მსხვერპლი.

3. **დიმიტრი მეფის თავდადება.**—აბაღა ყაენი მოკვდა 1282 წ. და მის მაგიერ გაყაენდა ძმა მისი **თაკუდარი**, რომელსაც მაჰმადიანობის მიღების შემდეგ დაერქვა სახელად **აჰმადი**. ეს გამუსულმანებული ყაენი არ უყვარდათ ძველის წარმართობის მიმდევარს თათრის ნოინებს და ამიტომ ზოგიერთებმა ყაენად აირჩიეს მისი ძმის აბაღას შვილი **არღუნი**. აჰმადი შეებრძოლა განდგომილს ნოინებს და თავის ძმისწულს არღუნს. არღუნი იძულებული შეიქნა შერიგებოდა ბიძას და უარი ეთქვა ყაენობაზე, მაგრამ მან არ შეასრულა თავისი სიტყვა. პატარა ხანს უკან ისევ გაუდგა ბიძას და კიდეც მოაკვლევინა იგი, ხოლო თითონ ყაენად გამოცხადდა. დიმიტრი მეფემ, რომელიც წინად აჰმადის გულისთვის იბრძოდა, ახლა არღუნს გამოუცხადა ერთგულობა და მორჩილობა. ვერც არღუნმა დააკმაყოფილა ნოინები და ამათ მის წინაამდეგაც გამართეს შეთქმულობა. არღუნ ყაენმა შიპყრო შეთქმულები და ყველანი დასაჯა სიკვდილით. ეპვი აიღეს, ვითომ დიმიტრი მეფეც მომხრე ყოფილიყვეს შეთქმულებისა და ამიტომ არღუნ ყაენმა ის დაიბარა თავისთან პასუხის მისაცემად. ქართველმა დიდებულებმა იცოდნენ, რომ დიმიტრი მეფე ყაენთან წასვლით დიდს საფრთხეში აგდებდა თავის თავს და ამიტომ ურჩევდენ წაუსვლელობას და ძალით წინაამდეგობის გაწევას. მაგ-

რამ მეფემ წარმოიდგინა, რომ წაუსვლელობას მოჰყვებოდა თათრების შემოსევა საქართველოში და ამიტომ თავის გამართლების მოიმედე წავიდა ყაენთან თავის პატარა შვილით დავითით, აბრამ კათოლიკოზით და მცირეოდენის მხლებლებითურთ.

ვიდრე დიმიტრი მეფე ყაენთან მივიდოდა, ყაენს მის მისვლის იმედი გადაეწყტა და ამიტომ საქართველოს ასაკლებად და დიმიტრის შესაპყრობად გამოეგზავნა ჯარი. ამ ჯარს დიმიტრი მეფე გზაში შეხვდა და მასთან ერთად განაგრძო გზა ყაენთან.

ყაენმა დიმიტრი მეფე გადასცა სამსჯავროს. სადუნ მანკაბერდელის შვილის **ხუტლუ-შაჰის** ჩაგონებით ყაენმაც და მსაჯულებმაც დიმიტრი მეფე სცნეს დამნაშავედ და მიუსაჯეს სიკვდილი. ხუტლუ-შაჰი მტრობდა დიმიტრი მეფეს იმისთვის, რომ მან არ მისცა მას მის მამის სადუნ მანკაბერდელის შემდეგ ათაბაგობა. მეფეს მოჰკვეთეს თავი 1289 წ. უნდოდათ მის შვილის დავითის მოკვლაც, მაგრამ ტაჩარ ნაინმა შეიბრალა იგი და სთხოვა ყაენს მისთვის გადაეცათ იგი.

მეფის თავის მოკვეთას დაესწრენ აბრამ კათოლიკოზი და სხვა ქართველები. ამათ გადაწყვიტეს მისი გვამი წაესვენებინათ საქართველოში და, რადგან ამის ნება არ მისცეს, მოისყიდეს ყაენის მოხელეები და მოპარვით წამოაღებინეს თევზის სავაჭროდ მოსულს ქართველებს თევზის ტვირთის სახით. დიმიტრი მეფეს ისტორიამ უწოდა **თავდადებული,** ხოლო ეკლესიამ თავდადებისთვის ჩარიცხა წმინდათა შორის.

4. ვახტანგის მეფობა.—დიმიტრი თავდადებულის შემდეგ არღუნ-ყაენმა ხუტლუ-შაჰის ჩაგონებით ამიერ-საქართველოს მეფის ტახტი შეაძლია დავით მე-

ოთხის შვილს **ვახტანგს.** დავით მეოთხეს ჭკუაში დაუჯდა ასეთი წინადადება ყაენისა და გამოისტუმრა ტფილისში გასამეფებლად თავისი შვილი ვახტანგი. არღუნ-ყაენმა მასთან მისულს მიათხოვა ცოლად თავისი და **ოლჯათი** და გამოისტუმრა მეფედ საქართველოში (1289 წ.). ვახტანგ მეფემ, ისტორიაში ცნობილმა ვახტანგ მეორედ, მადლობის ნიშნად ხუტლუ-შაჰს მისცა ათაბაგობა და დაიახლოვა თავისთან. ამას გარდა დიდის პატივით მოეკიდა თავის ბიძაშვილის დიმიტრის შვილებს და მისცა სარჩოდ მამული. თავის კეთილის მართველობით შეაყვარა თავი დიდებულებს, ასე რომ, როდესაც ხუტლუ-შაჰმა პირადის უკმაყოფილობის გამო დაიწყო ყაენთან მეცადინეობა მის წინაამდეგ, დიდებულებმა მხარი დაუჭირეს მეფეს და არ ინდომეს დიმიტრი მეფის შვილის დავითის გამეფება მის ნაცვლად. ქართველობა შესცქეროდა ვახტანგ მეორეს როგორც საქართველოს გამაერთიანებელს, რადგან მის მამის დავით მეოთხის სიკვდილის შემდეგ იმიერ-საქართველოს ტახტიც მას უნდა დარჩენოდა. სამწუხაროდ ეს მოლოდინი არ შეუსრულდათ ქართველებს, რადგან ვახტანგ მეორე მოკვდა ძალიან მალე, თავის მამის წინ, სრულის სამის წლის მეფობის შემდეგ (1292 წ.).

5. **დავით მეექვსის გამეფება და მისი გაძგოლა თათართაგან.**—ვახტანგის სიკვდილის შემდეგ ამიერ-საქართველო კიდევ უმეფოდ დარჩა და ყაენი განაგებდა პირდაპირ ხუტლუ-შაჰის საშვალებით. ამ დროს ყაენად იჯდა არღუნის ძმა **ქეღთუქონი,** რომელიც გაყაენდა 1291 წ. ქეღთუქონ ყაენმა 1293 წ. გამართა ლაშქრობა ქალაქ ტუნღუზალოს წინაამდეგ და საქართველოთგან გაიწვია დიდძალი ჯარი. დაიბარა სალაშქროთ აგრეთვე

ხუტლუ-შაჰი და დავით დიმიტრი მეფის შვილი. ანიერ-საქართველო სრულიად უპატრონო დარჩა. ამით ისარგებლეს ოსებმა და დაიწყეს ქართლის სოფლებსა და ქალაქებზე თავდასხმა, დაიპირეს გორის ციხე და შიგ გამაგრდენ. თათრის ნოინები ქართლის დაცვის მაჯიერ აქეზებდენ ოსებს სარბევად და ასაკლებად. ტუნღუზალოს აღების შემდეგ, რომელსაც ოთხი თვე დასჭირდა, ქეღთუქონ ყაენმა ქართველი ლაშქარი დააბრუნა უკან და მეფედ დანიშნა დავით დიმიტრის შვილი, ცნობილი **დავით მეექვსედ** (1293 წ.).

ქეღთუქონ ყაენის შემდეგ ყაენად გახდა მისი ბიძაშვილი **ბაიდო** (1294 წ.). რავდენისამე თვის შემდეგ ამ ყაენს გაუდგნენ ნოინები და ყაენად დასვეს არღუნ ყაენის შვილი **ყაზანი**. ბაიდოს მომხრე ნოინი **თუქალი** გამოიქცა სამცხეში **ბექა ჯაყელთან**, ხოლო შვილი გამოგზავნა დავით მეფესთან. ყაზანმა მოითხოვა დავით მეფისაგანაც და ბექა ჯაყელისაგანაც თუქალისა და მის შვილის გაცემა. მეფემ გაუგზავნა ყაზანს თუქალის შვილი, ისე როგორც ბექამ თვით თუქალი. ყაზან ყაენმა თავის პირობის მიუხედავად თუქალის ხელშეუხებლობის შესახებ სიკვდილით დასაჯა თუქალი. ამ ამბავმა დავითს შიში აუძრა, რომ ყაენი არც მას დააყრიდა ხეირს თუქალის მეგობრობისათვის და ამიტომ აღარ წავიდა ახლად გაყაენებულის ყაზანის სანახავად, როგორც ეს წესად იყო მიღებული. დავით მეფე რომ თავის ნებით არ მივიდა, ყაზან ყაენმა თითონ დაიბარა. დავითი ახლა მოიქცა სრულებით წინაამდეგ თავის მამის მაგალითისა. დიდებულები ურჩევდენ დავითს წასულიყო ყაზან ყაენთან, მაგრამ დავით მეფე დიდებულების რჩევის მიუხედავად, არ წავიდა ყაენთან და გამაგრებას შეუდგა მთიანს

ადგილებში, სახელდობრ ჟინვანში. აქედგან იწყება გამუდმებული ბრძოლა დავით მეფისა თათრის ჯართან, რომელიც ყოველს წელს შემოდიოდა ქართლში მის შესაპყრობად და დასამორჩილებლად. დავით მეფემ თავისთვის დახმარება სთხოვა ჩრდილოეთის ყაენს **ოთახას,** მაგრამ არც იქითგან მოსდიოდა შემწეობა. თათრებისაგან წაქეზებული ოსები თავხედურად იკლებდენ ქართლის სოფლებს და არ აძლევდენ მოსვენებას დავით მეფეს.

6. **გიორგი მეხუთის გამეფება ყაენისგან.**— დავით მეფის წინაამდეგ ყაზან ყაენმა საქართველოს მეფედ გამოაცხადა დავითის უმცროსი ძმა მცირეწლოვანი **გიორგი** (1247 წ.), რომელიც იზრდებოდა თავის პაპასთან სამცხის ათაბაგს ბექასთან. ამით ყაზან ყაენს უნდოდა მიემხრო თავისკენ მძლავრი სამცხის ერისთავი ბექა და მის საშვალებით ქართლ-კახეთის დიდებულები, მაგრამ ვერ მიაღწია მიზანს. ქართველი დიდებულები ერთგულობდენ დავით მეფეს და გიორგის არ სცნობდენ მეფედ. დავით მეფე წინანდებურად გამაგრებული იყო თავის ძმებით **ვახტანგით** და **მანუელითურთ** მთიულეთში და ცხარე წინაამდეგობას უწევდა შესეულს თათრებს.

7. **დავით მეფისა და მის ძმის ვახტანგის მტრობა. ვახტანგის გამეფება.**—მაგრამ მალე დავითსა და ვახტანგს შორის უკმაყოფილება დაიბადა და ვახტანგი წავიდა ყაზან ყაენთან ერთგულობის გამოსაცხადებლად. ყაზან ყაენმა დიდის პატივით მიიღო ვახტანგი, მეფედ დაამტკიცა და გამოისტუმრა თათრის ჯარითურთ ტფილისს (1299 წ.). არც ვახტანგის გამეფებით ეშველა საქმეს ყაენის სურვილისამებრ. დავით მეფეს ერთგულად შერჩენ სამეფოს ჩრდილოეთის ნაწილის მცხოვრებნი და

ვახტანგი სცნეს მეფედ მხოლოდ ტფილისში და მის სამხრეთად მდებარე ადგილებში.

დავითის თათრებთან ბრძოლა შეიცვალა ძმათა შორის ბრძოლად, რამაც, უფრო მეტად შეაწუხა ქვეყანა. ყველაზე მეტად შეწუხდა ქართლი, სადაც ერთის მხრით თათრები დათარეშობდნენ, მეორე მხრით ოსები. შეწუხებული ხალხი იყრებოდა თავის მამაპაპეულის ბინითგან და სახლდებოდა სამცხეში, სადაც მშვიდობიანად მთავრობდა ბექა ჯაყელი.

8. **ხარბანდა ყაენი და ქართველობა.**—1303 წ. მოკვდა ყაზან ყაენი და მის ადგილს გაყაენდა ძმა მისი **ხარბანდა.** ამ ყაენმა გაილაშქრა ბილანელებზე 1306 წ. და გაიწვია სალაშქროდ ქართველებიც ვახტანგ მეფის და ბექა ჯაყელის წინამძღოლობით. მართალია, თათრებიც და ქართველებიც მარჯვეთ იბრძოდნენ, მაგრამ ვერას გახდენ ბილანელეპის წინაამდეგ, რომლებიც თავგადადებით იცავდენ თავიანთ სამშობლოს. დამარცხებული ყაენი გამობრუნდა უკან და გამოისტუმრა ქართველები.

ქართველების მტრებმა და მაჰმადიანობის მოტრფიალე ყაენის მახლობლებმა ჩაგონეს ყაენს, რომ ბილანში დამარცხება იმიტომ შეემთხვა მას, რომ იგი არ მფარველობს მაჰმადიანობას, ლმობიერად ეკიდება ქრისტიანებს და თვით ქრისტიანთა ჯარს—ქართველებს ამხედრებს მაჰმადიანს ბილანელებზე. თუ ბინდა გამარჯვებული იქნე, ქრისტიანობა უნდა მოსპო და ყველანი გაამაჰმადიანოვო. ამ ჩაგონებამ იქონია ისეთი გავლენა ხარბანდა ყაენზე, რომ მან მაშინათვე გასცა ბრძანება, ქრისტიანები ძალათ გამაჰმადიანებინათ და დაერღვიათ საყდრები. ასეთის მინდობილობით გამოგზავნა ჯარი

საქართველოშიც. გამოგზავნილი ჯარი მოეწია გილანი-თგან მომავალს ქართველებს ნახჭევანში. მეფემ რომ შეიტყო ჯარის წინამძღოლის ნოინისაგან, რა აზრითაც მოდიოდა თათრის ჯარი, მიმართა ქართველებს წინადადებით, დაბრუნებულიყვენ ყაენთან და გამოეცხადებინათ პირად მისთვის, რომ ისინი თავის ღღეში არ გამაჰმადიანდებოდენ. ქართველი ჯარი დაეთანხმა მეფეს და დაბრუნდენ მაშინვე ურდოში. ვახტანგ მეფე მივიდა ყაენთან, გამოუცხადა თავისი და ჯარის გადაწყვეტილება, მოაგონა ქართველთა ერთგული სამსახური თათრის ყაენებისათვის და ბოლოს უთხრა: აი, მომიხრია თავი და შეგიძლიანთ მომჭრათ, თუ გნებავთ; ხოლო იცოდეთ, ქრისტიანობას ვერ დავტოვებთ ვერც მე და ვერც აქ ჩემთან ერთად შენთან მოსული ქართველებიო. ამ სიტყვებმა და მეფის საქციელმა დიდი ჩაბეჭდილება მოახდინა ყაენზე, უარჰყო თავის ბრძანება, დაუყვავა მეფეს და გამოისტუმრა სამშობლოში ისიც და მის ჯარიც. გზაში მეფე ვახტანგი ავად შეიქნა და მოკვდა (1306 წ.).

9. **გიორგი მეექვსის გამეფება.**—ვახტანგ მეფის სიკვდილის შემდეგ ათაბაგმა ბექა ჯაყელმა გაგზავნა ყაენთან თავის დისწული გიორგი დიმიტრი მეფის შვილი, უკვე რავდენისამე წლის წინად მეფედ გამოცხადებული, რომ ახლა მეფობა მისთვის დამტკიცებია. ყაენმა თავის მხრით კი უმჯობესად დაინახა, რომ დავით მეფე როგორმე შემოერიგებინა და ამიტომ გადაწყვიტა მის შვილის გამეფება საქართველოში. ამიტომ მან გაგზავნა დავით მეფესთან მოციქული და შეუთვალა, რომ გაეგზავნა მასთან შვილი თვისი მეფედ დასამტკიცებლად. დავით მეფემ მიიღო ეს წინადადება და გაისტუმრა ყაენთან თავის მცირეწლოვანი შვილი **გიორგი**. ყაენმა გი-

ორგი მეფედ დანიშნა და გამოგზავნა უკან, ხოლო მის ხელმძღვანელობა და მის მაგიერ მართვა-გამგეობა მიანდო მის ბიძას გიორგი დიმიტრის შვილს (1307 წ.). ახლად დანიშნულს მეფეს ისტორიამ უწოდა გიორგი მეექვსე, რადგან მის ბიძა და ხელმძღვანელი გიორგი უკვე ითვლებოდა წინად მეფედ, რის გამოც იწოდება გიორგი მეხუთედ.

ორის წლის შემდეგ გადაიცვალა დავით მეფე და მისი შვილი ცნობილ იქმნა მეფედ მთელს ამიერ-საქართველოში გარდა სამცხისა, სადაც ბექა ჯაყელის მსგავსად არც მის შვილები ემორჩილებოდენ მეფეს. ყაენმა მოსთხოვა მათ, რომ დამორჩილებოდენ გიორგი მეექვსეს, მაგრამ უარი თქვეს.

10. გიორგი მეხუთის ხელმეორედ გამეფება.— 1316 წ. გადაიცვალა ყაენი ხარბანდა და გაყაენდა მის ადგილს მისი შვილი **აბუსაიდი.** რადგან ის ჯერ კიდევ პატარა იყო, საქმეების გამგედ შეიქმა **ჩოფან-ნოინი,** კარგი მეგობარი გიორგი მეხუთისა. გაიგო თუ არა ყაენის სიკვდილი, გიორგი მეხუთე წავიდა ახალს ყაენთან წარსადგენად და სათხოვნელად, რომ საქართველოს მეფედ ის დაემტკიცებინათ. ჩოფან-ნოინმა დიდის პატივით მიიღო გიორგი მეხუთე და დაუმტკიცა მეფობა მთელს ამიერ-საქართველოში (1316 წ.).

XVI

თათართა მფლობელობის მოსპობა და საქართველოს აღორძინება.

გიორგი მეხუთის მომზადება მეფობისათვის.—ოსების დაწყნარება.—თათართა მფლობელობის უარყოფა.—ურჩის დიდებულების დასჯა.—რანისა და შირვანის დაპყრა.—იმიერ-საქართველო დავით მეოთხის შემდეგ.—იმიერ-საქართველოს შეერთება ამიერ-საქართველოსთან.—გიორგი მეხუთის მოღვაწეობა შინაურის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.—მეზობელის მუსლიმელების ამხედრება საქართველოს წინააღმდეგ.—გიორგი მეხუთის სიკვდილი და მის შვილის დავითის მეფობა.

1. გიორგი მეხუთის მოამზადება მეფოებისათვის.

გიორგი მეხუთეს პირველად გამეფებითგან (1297 წ.) მეორედ გამეფებამდე (1316 წ.) საკმარისი დრო ჰქონდა, რომ გაეცნო თავის ქვეყნის საშინელი მდგომარეობა, ჩაჰკვირვებოდა მის მიზეზებს და შესაფერი აზრი შეედგინა იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა მოქცეულიყო საქართველოს მეფე ქვეყნის საშველად. ამაში მას ხელს უწყობდა მისი საღი გონება, გამჭრიახობა, ხასიათის სიმტკიცე და გონებრივი განვითარება, რომელიც მან შეიძინა თავის პაპის ბექა ჯაყელის ხელში.

2. **ოსების დაწყნარება.**—გამეფებისათანავე გიორგი მეხუთე შეუდგა მხნე მოქმედებას. პირველად მიაქცია ყურადღება მთიელების კაენიერებას და გადაწყვიტა მათი დაწყნარება. ოსებს ამ დროს ეჭირათ გორის ციხე და მთელი ქართლი სათარეშოდ გაეხადნათ. მეფემ მოაგროვა რაც ძალა ჰქონდა, მიადგა გორის ციხეს და გადეენა იქითგან ოსები. რაკი ეს ბურჯი ხელითგან გამოაცალა, ოსებმა დაიწიეს მთებში და იქითგან დროგამოშვებით თუ გაბედავდენ ხოლმე სათარეშოდ გამოს-

ვლას. რომ არც ასეთი თარეშობა გაებედნათ, გიორგი მეფე შევიდა თავის ჯარით მთებში, შეიპყრო დაუდეგარი მეთაურები და გამგებლებად დააყენა სანდო კაცები. ამის შემდეგ ოსები იძულებულნი შეიქნენ დაწყნარებულიყვნენ და მისცემოდენ მშვიდობიანს შრომას.

3. **თათართა მფლობელობის უარყოფა.**— ოსების დაწყნარების შემდეგ გიორგი მეფე შეუდგა იმის ფიქრს, რომ თავისი სამეფო გაეთავისუფლებინა თათართა მფლობელობისაგან. ამისთვის, მის საბედნიეროდ, დროც მარჯვე იყო. თათრის ნოინებში გაჩნდა ურთიერთშორისი მტრობა და ქიშპი. თვითეული მათგანი ცდილობდა მიეთვისნა უპირატესობა და დამოუკიდებელი გამხდარიყო ყაენისაგან. ამით მშვენივრად ისარგებლა გიორგი მეფემ. თანდათანობით შეუდგა თათრებისგან დაჭერილის საქართველოს ციხეების აღებას და მეციხოვნე თათრების განდევნას. საქართველოს ნოინები, რომელთაც არა ჰქონდათ დახმარება არც სხვა ნოინებისაგან და არც ყაენისაგან, იძულებულები იყვნენ დაეთმოთ ადგილები გიორგი მეფისთვის. ბოლოს, როდესაც ყაენი აბუსაიდი მოკლეს და მისი საყაენო დაიყვეს ნოინებმა, გიორგი მეფემ სრულიად უარჰყო თათრების მფლობელობა და დამოუკიდებლად გამოაცხადა საქართველო.

4. **უარჩის დიდებულების დასჯა.**—გარეშე მტრებისგან გათავისუფლების შემდეგ საჭირო იყო ქვეყანა გათავისუფლებულიყო შინაურის მტრებისგანაც, რომელთა წყალობით საქართველოს ვერ მოეხერხებინა ძალის მოკრეფა და გამტკიცება. ამისთანა მტრები იყვნენ ის დიდებულები, რომელნიც მისდევდენ თავიანთ კერძო ინტერესს და ცდილობდენ, ხელი შეეშალათ მეფისთვის

წესიერების დამყარებაში. ამნაირის დიდებულებისგან მეფემ მოითხოვა სრული მორჩილება და ყოველის თავ-ნებობისა და ურჩობისათვის შეუბრალებლად სჯიდა და რისხავდა. სილაღეს და თავნებობას მიჩვეულმა დიდებულებმა ძალიან იუცხოვეს მეფის ასეთი მოპყრობა და გამართეს მის წინაამდეგ შეთქმულობა. მეფეს არ გამოეპარა დიდებულების ავი განძრახვა და მოინდომა მათი შეპყრობა და სამაგალითოდ დასჯა. ამ აზრით მან დაიბარა თათბირის გასამართავად სამეფოს ყველა დიდებულები და მათ შორის შეთქმულები. ყველანი გამოცხადდენ. კრების დროს მეფემ მოიხსენია ის დანაშაული, რომელიც ბრალად ედებოდათ დიდებულებს. ეს დიდებულები იქვე დააპერინა და გადასცა მოსამართლეებს მსჯავრის დასადებად. სასამართლომ დიდებულები დამნაშავეებად სცნო მოღალატეობაში და მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ეს განაჩენი მეფემ მაშინვე სისრულეში მოიყვანა. ამისთანა სასჯელმა თავ-ზარი დასცა დიდებულებს და საკვლავოდ იძულებულ ჰყო ხელი აეღოთ თავნებობასა და უწესოებაზე.

5. **რანისა და შირვანის დაჯერა.**—რაკი ამნაირად დაუმორჩილა თავის უფლობას დიდებულები და მით სრული წესიერება ჩამოაგდო სამეფოში, გიორგი მეფემ შესაძლებლად დაინახა საქართველოს ძველის საზღვრების აღდგენა. თავდაპირველად აღმოსავლეთის საზღვრებმა მიიპყრო მისი ყურადღება, რადგან ეს ადგილები თათრების ხელთ იყო და დროც ხელს უწყობდა მათ დაპყრობას. გიორგი მეფემ შეკრიფა თავისი ჯარი და შევიდა რანის (განჯა-ყარაბაღის) ქვეყანაში. წინაამდეგობა ვერავინ გაუწია და სწრაფად დაიპირა ეს ქვეყანა. აქედგან მეფე გადავიდა შირვანს და ეს ქვეყანაც იმა-

ვე სისწრაფით დაიპყრა. ამნაირად თავის სამეფოს აღმოსავლეთის საზღვრად გიორგი მეფემ გაიხადა თეთრი (კასპიის) ზღვა.

6. **იმიერ-საქართველო დავით მეოთხის შემდეგ.**—მაგრამ ეს არ კმაროდა. საქართველოს ძველის დიდების ასადგენად საჭირო იყო მისი გაერთიანება. სამეფოს ნახევარი ცალკე იყო და გიორგის არ ემორჩილებოდა. ქვეყნის სარგებლობა მოითხოვდა ამ ნაწილის შეერთებას და მით სამეფოს გამთელებას. იმიერ-საქართველო დავით მეოთხის სიკვდილის შემდეგ ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა. მის შვილებს **კონსტანტინესა** და **მიქელს** შორის ჩამოვარდა ქიშპობა. ამ ქიშპობით ისარგებლეს დიდებულებმა და თავნებობა დაიწყეს. ჯერ იმეფა კონსტანტინემ, შემდეგ მისმა ძმამ მიქელმა. მათ მეფობაში ისე დაეცა მეფის პატივი, რომ მიქელის სიკვდილის შემდეგ დიდებულებმა მიქელის შვილს **ბაგრატს** არცკი აღირსეს მეფის სახელი და ისიც ისეთს დიდებულად გადაიქცა, როგორიც სხვა დიდებულები იყვნენ. ამას მოჰყვა უწესობა და არევ-დარევა, რადგან ყოველი დიდებული თავის სამფლობელოში მეფობას ეწოდა. ამ გარემოებამ შეაწუხა იმიერ-საქართველოს მდაბიო ხალხი. შეწუხდენ აგრეთვე დიდებულებიც, რადგან თავიანთ თავნებობით ერთმანეთის დამჩაგვრელნი შეიქნენ.

7. **იმიერ-საქართველოს შემოერთება ამიერ-საქართველოსთან.**—გიორგი მეფემ ისარგებლა იმიერ-საქართველოს ასეთის მდგომარეობით და მოლაპარაკება გამართა დიდებულებთან, რომ იგი ეცნოთ მეფედ. ბევრს დიდებულს გაეხარდა გიორგი მეფის გამეფება და დაჰპირდა დახმარებას. გიორგი გადავიდა ჯარით ლიხთ იქით. იმერლები დიდის აღტაცებით შეხვდენ მას. მაგრამ

აღმოჩნდენ იმისთანა დიდებულებიც, რომელთაც თავიანთ სარგებლობისათვის უმჯობესად მიიჩნიეს უძლურის ბაგრატის უფლების დაცვა გიორგი მეხუთის წინააღმდეგ. ამ დიდებულებმა ბაგრატი გაამაგრეს ქუთაისის ციხეში და არ მოინდომეს გიორგის გამეფება იმიერ-საქართველოში. გიორგი მეფე მიადგა ქუთაისის ციხეს და უნდოდა ძალით აეღო. ბაგრატმა ვერ შესძლო დიდხანს გამაგრება და იძულებული შეიქნა დანებებოდა გიორგი მეფეს იმ პირობით, რომ მას მისცემოდა საუფლისწულოდ მამული. ქუთაისის ციხის დაჭერის შემდეგ გიორგი მეფემ დაიჭირა მთელი იმიერ-საქართველო, ყველგან დააყენა თავისი ერისთავები და თვით ბაგრატს მისცა შორაპნის საერისთავო. ამნაირად თავის სამეფოს დასავლეთის საზღვრად გიორგი მეფემ გაიხადა შავი ზღვა და მით აღადგინა საქართველოს ბუნებრივი საზღვრები ზღვითგან ზღვამდე.

8. **გიორგი მეხუთის მოღვაწეობა შინაურის ცხოვრების გაუმჯობესობისთვის.**— საქართველოს გათავისუფლების და გაერთიანების შემდეგ გიორგი მეფე შეუდგა შინაურის წეს-წყობილების გაუმჯობესობას. შეადგინა სამართლის წიგნი როგორც საზოგადოდ მთელის სამეფოსთვის, ისე კერძოდ ცალკე თემებისთვის, რომელნიც რამე გარეშოებით განსხვავებულს კანონებს ითხოვდენ. სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაწია საზოგადო სამართლის წიგნმა და ცნობილია მხოლოდ მთიულთათვის შედგენილი სამართლის წიგნი, **ძეგლის დებად** წოდებული. ამ სამართლის წიგნის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს თვით მთიულეთის მცხოვრებთა წარმომადგენლებმა, რომელთაც გიორგი მეფემ მოუყარა თავი და რომელთა დადგენილებანი მან მხოლოდ დაადასტურა.

სამოქალაქო წესებთან გიორგი მაფე ზრუნავდა საეკლესიო წესების გაუმჯობესებისათვისაც. ამიტომ მან მოიწვია საეკლესიო კრება.

თათრების დროს დანგრეულს ქალაქებს, სოფლებს, ციხეებს, საყდრებს და სხვა ანაგებთ გიორგი მეფე, რაც კი შეეძლო, აახლებდა ან სრულებით ახლებს აშენებდა მათ მაგიერ. გიორგი მეფის დაუცხრომელის შრომით და ჭკვიანურის მოქმედებით საქართველო მეთოთხმეტე საუკუნეში დაადგა ისეთის აყვავების და დიდების გზას, როგორიც მან გაიარა მეთორმეტე საუკუნეში

9. **მეზობელის მფლობელების ამხედრება საქართველოს წინააღმდეგ.**—მეზობლები, რა თქმა უნდა, იმ დროს გულ-გრილად ვერ შეხედავდენ საქართველოს ასეთს გაძლიერებას და, რაც ძალა ჰქონდათ, კიდეც ეცადნენ ხელი შეეშალათ ამ გაძლიერებისათვის. იმ დროს, როცა მეფე გართული იყო შინაურის საქმეების მოწესრიგებაში, მოულოდნელად შემოესია რანს ადირბეჯანის მფლობელი და მიადგა განჯას. გიორგი მეფე ფიცხლავ წავიდა განჯისკენ, შეება თათრებს და დამარცხებულნი უკუ აბრუნა. პატარა ხანს უკან მცირე აზიის სულთანი ორხანი შემოესია კლარჯეთს. გიორგი მეფე გაემართა მისკენ და თან მიუგზავნა კაცი, რომ დაბრუნებულიყო უკან და მტრობაზე ხელი აეღო. სულთანმა არ მიიღო მეფის წინადადება და განაგრძო ლაშქრობა. გიორგი მეფე შეება სულთანს და გაუმართა ბრძოლა, რომელშიაც გამარჯვებულნი დარჩნენ ქართველები.

10. **გიორგი მეხუთის სიკვდილი და მის შვილის დავითის მეფობა.**—გიორგი მეფე მის მოღვაწეობისათვის ისტორიაში წოდებულ იქნა **ბრწყინვალედ.**

იგი გარდაიცვალა 1346 წ. და სამეფო გვირგვინი დაუტოვა თავის შვილს **დავითს**, ისტორიაში **დავით მეშვიდედ** წოდებულს.

დავით მეშვიდემ განაგრძო მამისგან დაწყებული საქმე საქართველოს მშვიდობიანის მოწყობისა და მოშენებისა. ამის მეფობაში ქართველი ერი სავსებით დასტკბა იმ ნაყოფით, რომელიც გამოიღო გიორგი ბრწყინვალის და მის დროის ქართველობის ღვაწლმა. დავითმა იმეფა მშვიდობიანად თოთხმეტს წელს და გადაიცვალა 1360 წ.

XVII

საქართველო და თემური.

თათრები და თემური.—თემურის პირველი შემოსევა და ბაგრატ მეხუთის დატყვევება.—ბაგრატის ტყვეობითგან დახწევა.—თემურის მეორე შემოსევა.—ბაგრატ მეხუთის სიკვდილი და გიორგი მეშვიდის გამეფება.—თემურის მესამე და მეოთხე შემოსევა.—გიორგი მეფის მოლაპარაკება თემურთან.—თემურის მეხუთე შემოსევა.—თემურის გალაშქრება რუსეთს და იქითკენ დაბრუნებულის მეექვსე შემოსევა საქართველოში.—თემურის მეშვიდე შემოსევა და გიორგი მეფის მოლაპარაკება მასთან.—თემურის დაბრუნება სათათრეთს და მისი სიკვდილი.—ცდა იმიერ-საქართველოს გაცალკევებისა.

1. **თათრები და თემური.**—საქართველო, გიორგი ბრწყინვალის მიერ განახლებული და გაძლიერებული, ხელახლა დაუძლურდა მეთოთხმეტე საუკუნის გასულს **ბაგრატ მეხუთის** და მის შვილის **გიორგი მეშვიდის** მეფობაში. საქართველოს დამაუძლურებელნი ამ გზობითაც თათრები იყვნენ. თათრის ერთის თემის უფროსმა **თემურმა** ამ საუკუნის ნახევარში შეაერთა ხელახლად დანაწილებული სათათრეთი და შეუდგა იმ ქვეყნების დაპყრობას, რომელნიც ჩინგიზ-ყაენის და მის მემკვიდრეების სამფლობელოს შეადგენდენ.

თემური, რომელიც ევროპელთაგან წოდებულია ტამერლანად, იყო ჭკვიანი, მარჯვე, მამაცი და დაუღალავი კაცი. ამ კარგს თვისებებთან მას ჰქონდა ერთი დიდი ნაკლულევანება: იყო მეტად შეუბრალებელი და ვერაგი მტერთა მიმართ. სადაც-კი წინაამდეგობას გაუწევდენ, იქ დაუნდობლად იკლებდა ქვეყნებს და ჟლეტდა მცხოვრებლებს. აკლებასა და ჟლეტაზე ხელს იღებდა მხოლოდ ერთს შემთხვევაში, როდესაც დამარცხებული მტერი არ იყო მაჰმადიანი და თავის სარწმუნოებას სცვლიდა მაჰმადიანობაზე. თემური ერთს ბრძოლაში დაჰკოდეს ფეხში და დაკოჭლდა, რის გამო სპარსელები უწოდებდენ მას **თემურ-ლანგს,** ე. ი. თემურ კოჭლს. თემურ-ლანგი ევროპელებმა გადააკეთეს **ტამერლანად.**

2. **თემურის პირველი შემოსევა და ბაგრატ მეფის დატყვევება.**—1386 წ. თემურმა დაიპყრო მთელი სპარსეთი და საზამთროდ გაჩერდა ყარსში. 1387 წ. გაზაფხულზე თემური გამოემართა ტფილისისაკენ. ამის შემტყობმა ბაგრატ მეფემ ტფილისი გაამაგრა, ხოლო შვილი თვისი გიორგი სამწევრისში დააყენა. თემური მიადგა ტფილისს და ალყა შემოარტყა. ბევრს ხანს გასტანა ქალაქის გარემოცვამ. ქართველები თავდადებით იგერებდენ თემურის ჯარის ყოველს მისევას და ამიტომ ძალიანაც დაიღალნენ, რადგან მტერთა რიცხვი აუარებელი იყო და ხშირად მიჰქონდათ ქალაქზე იერიში ახალ-ახალის ძალით. ბაგრატის შვილმა გიორგიმ ვერ გაბედა საშველად მისვლა სამწევრისითგან და ამიტომ თითონ იმერეთს გადავიდა. მთელი ქართლი და კახეთი გაიხიზნა. გამუდმებულის ბრძოლისაგან და გარემოცვისაგან შეწუხებულმა ტფილისის მეციხოვნე ჯარმა ველარ გაუძლო მტერს და თათრებმა აიღეს ქალაქი. თემურმა

სრულებით ააკლებინა ქალაქი და ტყვედ ჩაიგდო მეფე და დედოფალი.

თემური ბევრს ხანს არ დარჩა ტფილისში. ის წავიდა ყარაბაღს და თან წაიყვანა მეფე და დედოფალი. თემურმა წინადადება მისცა ბაგრატს, რომ გამაჰმადიანებულიყო. ამ შემთხვევაში ჰპირდებოდა გათავისუფლებას და საქართველოს აკლებაზე ხელის აღებას. ბაგრატი არ დათანხმდა. მაშინ თემურმა ყარაბაღითგან გამოგზავნა ჯარი ქართლის ასაკლებად. ამ ჯარმა გაშმაგებულის სიერაგით აიკლო და ააოხრა ქალაქები და სოფლები, დაწვა და დაანგრია საყდრები და მონასტრები. სხვათა შორის დაანგრიეს მცხეთის სვეტიცხოველი, ქვაბთახევის მონასტერი და რუისის საყდარი. ქართლითგან თათრის ჯარი გადავიდა კახეთს და აქაც აიკლო და ააოხრა ყველაფერი. ქართლისა და კახეთის აკლების შემდეგ თემურმა დაიპყრა შირვანი და დაღესტანი.

3. ბაგრატის ტყვეობითგან დახწევა.—გაოხრებული საქართველო თათრების წასვლის შემდეგ ისევ გამოცოცხლდა, ხალხი სახიზრითგან გამოვიდა და შეუდგა შენებას. ბაგრატ მეფის ადგილი დაიჭირა მისმა შვილმა გიორგიმ, რომელიც იმერეთში იყო დაბინავებული. ბაგრატ მეფეს ტყვეობაში გული უდღდა მტერთა შურის ძიების სურვილით და ნატრობდა სამშობლოში დაბრუნებას. ამ სურვილის შესასრულებლად მან ცბიერობა იხმარა. თემურს გამოუცხადა, მსურს მივიღო მაჰმადიანობა და დავბრუნდე ჩემს სამეფოში იმ აზრით, რომ ჩემს ხალხსაც მივაღებინოვო. თემურს ძალიან ესიამოვნა ბაგრატის განცხადება და დაჰპირდა გაშვებას საქართველოში თათრის ჯარითურთ. მართლაც მიიღო თუ არა ბაგრატმა მაჰმადიანობა, თემურმა ჩააბარა მას 12,000 ჯარის კაცი

და გამოისტუმრა. ბაგრატმა წამოსვლის წინ აცნობა თავის შვილს გიორგის ყველაფერი და მოსწერა, რომ დანიშნულს ადგილს ჩასაფრებოდა მის მიმყოლს თათრის ჯარს და გაეწყვიტა მოულოდნელის თავდასხმით. ეგრეც მოიქცა გიორგი. ჩასაფრდა ვიწრო გასავალში, სადაც უნდა გაევლო ბაგრატს თათრის ჯარითურთ, მოიმწყვდია ეს ჯარი შუაში და სულ ერთიანად ამოწყვიტა.

4. **თემურის მეოთხე შემოსევა.**—ამ ნაირად ბაგრატ მეფემ თავი დაიხსნა ტყვეობისაგან და შვილთან ერთად შეუდგა თავის ქვეყნის მაგრებას და მოშენებას. მაგრამ საშიში იყო თემურის რისხვა და ჯავრი. მთელის ქვეყნის დამორჩილებით გაამაყებული ცეცხლს აფრქვევდა თავის ჯარის ამოწყვეტის გაგონებაზე. ის მოწადინებული იყო მაშინვე წამოსულიყო ჯავრის ამოსაყრელად, მაგრამ ეს ვერ გაბედა. ჯერ ერთი დრო არ იყო შესაფერი, რადგან ზამთარი იყო მოტანებული, მერე ჯარიც მოსაგროვებელი ჰყავდა. ამიტომ გალაშქრება გადასდო საგაზაფხულოდ და შეუდგა მზადებას. 1388 წლის მარტში თემური წამოვიდა შაქითგან. ამის მომლოდინე ბაგრატმა ყველაფერი დაამზადა. ხალხიც მზად იყო გასახიზნავად ციხე-სიმაგრეებში და მიუდგომელს ადგილებში, თუ მტერი მოახერხებდა საქართველოში შემოსვლას. ბაგრატ მეფე გაემართა თემურის შესახვედრად. ქართველებისა და თათრების შეხვედრის დროს გაიმართა საშინელი ომი. ქართველები მეტად მხნედ იბრძოდენ და თემურის მძლავრს ჯარს უკან აწევინებდენ. მაგრამ ბოლოს მტერთა სიმრავლემ გატეხა ქართველების სიმამაცე. ბაგრატ მეფემ უკან დაიწია და შეეფარა მაგარს და მიუდგომელს ადგილს. თემური შემოვიდა ქართლში, მოიარა მთლად ეს ქვეყანა და რაც ნახა ყველაფერი აიკლო

და აოხრა. მის სამწუხაროდ ხალხი ყველგან გახიზნული დახვდა. როდესაც აკლებით გული მოიოხა თემურმა, ისევ უკან დაბრუნდა ყარაბაღში. აქ მას მალე მოუვიდა ამბავი, რომ სათათრეთს შესეოდა ოქროს ურდოს ხანი თოხთამიში, და ამიტომ სწრაფად გაემართა გასადევნად (1388 წ.).

5. **ბაგრატ მეფის სიკვდილი და გიორგი მეფვიდის გამეფება.**—ამის შემდეგ ბაკრატმა იმეფა მშვიდობიანად. აშენებდა და აახლებდა ყველაფერს, რაც თათრებმა დაანგრიეს და გაფუჭეს. ამ მოღვაწეობაში იგი გადაიცვალა 1394 წ. და სამეფო ტახტი დაიჭირა მისმა შვილმა გიორგიმ.

6. **თემურის მესამე და მეოთხე შემოსევა.**—თოხთამიშის განდევნის შემდეგ თემურმა ხელახლად იბრუნა პირი დასავლეთისაკენ (1392 წ.). შემოვიდა ჯერ სპარსეთში და ორის წლის გამავლობაში ხელახლად დაიმორჩილა ურჩი ქვეყნები. აიღო აგრეთვე ბაღდადი (1393 წ.). 1394 წ. თემური წამოვიდა საქართველოსაკენ და წინდაწინ შემოუთვალა გიორგი მეფეს, რომ მისულიყო მასთან და მორჩილება გამოეცხადებინა. გიორგიმ მორჩილების გამოცხადებაზე უარი შეუთვალა და თავის ჯარით გაემართა მის შესახვედრად. თათრებისა და ქართველების შეხვედრის პირველს დღეს გამარჯვება ქართველებისკენ იხრებოდა. საღამოს ქართველები მიეცნენ მოსვენებას, რადგან მეტად დაღალულები იყვენ მთელის დღის ბრძოლით. თემური სწორედ ამას ელოდა, მიუსია ქართველებს დასვენებული ჯარი და გაიმართა მრისხანე ომი. დაქანცულმა ქართველებმა ვეღარ შესძლეს წინაამდეგობის გაწევა და უკან დაიხიეს. გიორგი მეფე თავის ჯარით შეეფარა მაგარს ადგილს, თემური-კი გა-

ემართა ტფილისისკენ. ტფილისი გამაგრებული იყო, მაგრამ თემურმა მალე აიღო და შიგ შეაყენა მეციხოვნე ჯარი, ხოლო თითონ წავიდა მუხრანისკენ და იქ დაბანაკდა. აქეთგან გაუსია ჯარი და მოაოხრებინა მთელი ქართლი. ზოგიერთი ქართველი დიდებულები მოვიდენ თენ̣ურთან და მორჩ̣ილება გამოუცხადეს. დანარჩ̣ენები გამაგრდენ მიუდგომელს ადგილებში.

თემურმა მალე მიატოვა ქართლი და დაიწია ყარაბაღისაკენ. გიორგი მეფე თავისუფლად შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას და ტფილისის აღებას მეცადინეობდა. ამ ამბის გაგებაზე თენ̣ურმა ხელახლად გაგზავნა ჯარი გიორგი მეფის შესაპყრობად და ქვეყნის გასაოხრებლად. მაგრამ თათრებმა ვერც ახლა შეიპყრეს გიორგი მეფე და ჯარი უკან დაბრუნდა.

7. **გიორგი მეფის მოლაპარაკება თემურთან.** —გიორგი მეფემ ამის შემდეგ დაინახა, რომ ბოლო არ ელებოდა ქვეყნის აოხრებას თემურისაგან და ამიტომ მოინდომა მორიგება მასთან. თემურმა სიამოვნებით მიიღო გიორგი მეფისაგან მორიგების ჩამოსაგდებად გაგზავნილი კაცი და შემოუთვალა, რომ თითონაც მისულიყო მასთან.

8. **თემურის მეხუთე შემოსევა.** —ვიდრე გიორგი მეფისგან მიიღებდა პასუხს, თემური შეესია სამცხეს. ამ ქვეყნის მთავრის ივანე ჯაყელის ჯავრი სჭირდა, რადგან ის გიორგი მეფეს მორჩ̣ილობდა და მასთან ერთად ებრძოდა მას მეორედ შემოსევის დროს. თემურმა აიკლო სამცხე და ისევ ქართლში დაბრუნდა. გიორგი მეფისგან პასუხის მომლოდინე დაბანაკდა მანგლისში. გიორგი მეფე-კი არ აძლევდა სასურველს პასუხს, რადგან პირად მისვლა თემურთან მას სახიფათოდ მიაჩ̣ნდა.

9. **თემურის გალაშქრება რუსეთს და იქითგან დაბრუნებულის მეექვსე შემოსევა საქართველოში.**—თემურის მანგლისში ყოფნის დროს ოქროს ურდოს ხანი **თოხთამიში** შემოესია შირვანს (1395 წ.). გაიგო თუ არა ეს ამბავი, თემური მაშინვე გაეშურა თოხთამიშის გასადევნად. თოხთამიშმა უკან დაიხია და თემური კვალდაკვალ გამოედევნა. თერგის პირად მოხდა დიდი ბრძოლა თოხთამიშისა და თემურის შორის, სადაც დამარცხდა თოხთამიში. ამ გამარჯვების შემდეგ თემური შეესია რუსეთს და ძლევა-მოსილი მივიდა მოსკოვის მიდამოებამდე. იქითგან გამობრუნებულმა გამოიარა დაღესტანზე და შემოვიდა ისევ საქართველოში; აქ დარჩა რავდენსამე ხანს და შემდეგ დაბრუნდა თავის საუფლო ქალაქს სამარკანდს (1396 წ.), ადერბეჯანისა და საქართველოს მმართველად-კი დატოვა თავისი შვილი **მირან-შაჰი.**

10. **თემურის მეშვიდე შემოსევა და გიორგი მეფის მოლაპარაკება მასთან.**—თემური ბევრს ხანს ვერ გასძლებდა უომრად. ამიტომაც ახლა მოინდომა ინდოეთზე გალაშქრება და ახალის ქვეყნების დაპყრობა. ეს სურვილი მან შეასრულა 1398 წ. მოიარა ძლევა-მოსილმა ინდოეთი და 1399 წელს დაბრუნდა უკან.

ინდოეთითგან დაბრუნებულმა თემურმა შეიტყო, რომ მის შვილი მირან-შაჰი გაგიჟებულიყო და გამდგარიყვენ მის მმართველობის ქვეშ მყოფი ქვეყნები, მათ შორის საქართველოც. ამ ქვეყნების მოსამორჩილებლად თემური გაემართა 1399 წელს. 1400 წელს თემური შემოვიდა საქართველოში და დაბანაკდა მანგლისში. ორის წლის განმავლობაში თათრები ესხმოდენ საქართველოს ხან ერთს, ხან მეორე კუთხეს და იკლებდენ. გიორგი

მეფემ რავდენჯერმე მიუგზავნა მოციქული თემურს და სთხოვა მორიგება. თემური მზად იყო მორიგებოდა იმ პირობით, რომ გიორგი მეფე თითონ მისულიყო მასთან. ეს პირობა ფრიად სამძიმო იყო გიორგი მეფისთვის და ამიტომ არ თანხმდებოდა მაზე. ამის გამო იყო, რომ ყოველის მოლაპარაკების შემდეგ თათრები ხელახლად შეესეოდენ ხოლმე საქართველოს რომელსამე კუთხეს.

11. **თემურის დაბრუნება სათათრეთს და მისი სიკვდილი.**—საქართველოსთან ერთად თემური ებრძოდა იკონიის თურქების სულთანს **ბაიაზითს**, რომელიც მაშინ მძლავრობდა მცირე აზიაში და ბიზანტიას ემუქრებოდა დამხობას. თემურმა ბაიაზითი დაამარცხა და ტყვედ შეიპყრო 1402 წ. ამის შემდეგ თემური დარჩა კიდევ ორს წელიწადს დასავლეთის ქვეყნების დასაპყრობად. ბოლოს ადირბეჟანის და საქართველოს მთავარმართველად დააყენა თავისი შვილის-შვილი **ომარი** და თითონ დაბრუნდა სამარკანდში 1404 წ. მეორე წლის დასაწყისში თემურმა დაიპირა ჩინეთში ლაშქრობა და კიდეც გაემართა 1405 წლის თებერვალში, მაგრამ გზაში მოკვდა.

12. **ცდა იმიერ-საქართველოს გაცალკევებისა.**—იმ დროს როდესაც თემური შემოესია საქართველოს აღმოსავლეთის მხრით და მეფე ბაგრატი თავის შვილით გიორგითურთ გართული იყო თათრებთან ბრძოლაში, მეფე დავით მეოთხის ჩამომავალს შორაპნის ერისთავის **ბარატის** შვილს **ალექსანდრეს** აზრად მოუვიდა ესარგებლნა შემთხვევით და თავისი თავი გამოეცხადებინა იმიერ-საქართველოს მეფედ (1387 წ.). ალექსანდრემ ატარა მეფის წოდება ორს წელს და მოკვდა 1389 წ. მის სიკვდილის შემდეგ მეფედ გამოაცხადა თავის თავი მისმა

ძმამ **გიორგიმ.** იმერეთის მაგალითით წაქეზებულმა ოდიშის ერისთავმა დადიანმაც მოინდომა მეფისგან დამოუკიდებლობა და არ დაემორჩილა ახლად გამეფებულს გიორგი მეფეს. გიორგი შეესია ოდიშს და შეებრძოლა დადიანს. ამ ბრძოლაში გიორგი მეფე მოკლულ იქმნა (1392 წ.). ამის შემდეგ იმერეთ-საქართველო ისევ ბაგრატ მეხუთეს დაემორჩილა. მაგრამ იმერ-საქართველოს გაცალკევების აზრი არ მოისპო. ალექსანდრესა და გიორგი მეფეების ძმამ **კონსტანტინემ** 1396 წ. გამოაცხადა აგრეთვე თავისი თავი მეფედ. იმიერ-საქართველოს დიდებულებმა ახლაც მოინდომეს თითონაც დამოუკიდებელნი გამხდარიყვნენ და კონსტანტინეს არ ემორჩილებოდენ. კონსტანტინემ გამართა მათთან ბრძოლა, რომელშიაც იგი მოკლულ იქმნა (1401 წ.). კონსტანტინეს დარჩა მცირეწლოვანი შვილი **დიმიტრი,** რომელსაც ძალა არ შესწევდა მეფობა დაეჩემებინა. მეფე გი. გიორგი მეშვიდე გადავიდა იმერეთს, შეიპყრო დიმიტრი და გადმოიყვანა ქართლს.

XVIII

საქართველოს დაშალილება.

კონსტანტინეს მეფობა. ალექსანდრე პირველის გამეფება.—იმერეთ-საქართველოს ერისთავების დაწყნარება და სამცხის ერისთავის დამოჩრილება.—ალექსანდრე მეფის მეცადინეობა ოსტრებულის ქვეყნის აშენებისათვის.—ალექსანდრეს პოლიტიკა გარეშე მტრების მიმართ.—რანისა და შირვანის დაპერა—ჯიჰან-შაჰის შემოსევა და მის შედეგი.—ალექსანდრე მეფის ბერად შედგომა და ვახტანგის გამეფება.—ვახტანგის შემდეგ ჯვარ დიმიტრის, მერე გიორგის გამეფება.—ყვარყვარე ჯაყელის გადამტერება გიორგი მეფეზე.—ბაგრატ ერისთავის გადგომა და გამეფება იმერეთში.—მეფის შესვლა სამცხეში ყვარყვარეს დასასჯელად და თურქების შემოსევა ქართლში.— რანისა და შირვანის გადგომა.—ყვარყვარეს დაბრუნება სამცხეში და დატყვევება მისგან გიორგი მეფისა.—ბაგრატ მეფისა და კონსტანტინე დიმიტრი მეფის შვილის ცდა საქართველოს მეფის ტახტის დაპერისათვის.—გიორგი მეფის გათავისუფლება ტყვეობითგან. ბრძოლა მისი ბაგრატსა და კონსტანტინესთან.—უსუნ-ასან ყაენის შემოსევა და კონსტანტინე მეფისაგან მთელის ქართლის დაპერა.—სამი სამეფო და ხუთი სამთავრო.

1. **კონსტანტინეს მეფობა. ალექსანდრე პირველის გამეფება.**—მეფე გიორგი მეშვიდის შემდეგ მცირე ხანს იმეფა მისმა ძმამ კონსტანტინემ (1407—1413 წწ.). მისი მეფობა იყო მშვიდობიანი, რადგან თათრების სამფლობელო დაუძლურდა და მათი მფლობელები გართულნი იყვნენ შინაურს საქმეებში. მხოლოდ 1413 წ. მოუხდა კონსტანტინე მეფეს ბრძოლა თურქებთან. თურქების მფლობელმა **ყარა-იუსუფმა** ტყვედ ჩაიგდო მეფე კონსტანტინე და მოაკვლევინა. კონსტანტინეს შემდეგ გამეფდა მისი შვილი **ალექსანდრე.**

2. **იმერეთ-საქართველოს ერისთავების დაწყნარება და სამცხის ერისთავის დამოჩრჩილება.**—ალექსანდრე პირველის გამეფების პირველს წელს **მამია დადიანი** შეესია აფხაზეთს და ომი აუტეხა **შარვაშიძეს.** ამ ომში დამარცხდა მამია დადიანი და კიდეც მოკლულ იქნა.

ამ ამბის გამო ალექსანდრე მეფე გადავიდა იმერეთს და შეარიგა შარვაშიძე დ[illegible]შამია დადიანის შვილი **ლიპარიტი**. ამის შემდეგ ალექსანდრემ იკურთხა თავი მეფედ ქუთაისში. კურთხევას დაესწრენ საქართველოს ყველა დიდებულები სამცხის ერისთავის **ივანე ჯაყელის** გარდა. ჯაყელს თავის დაუსწრებლობით უნდოდა ეგრძნობინებინა ალექსანდრესათვის, რომ იგი იყო დამოუკიდებელი მეფისაგან. ეს ეწყინა მეფეს და გადაწყვიტა დაესაჯა ურჩი ერისთავი და მორჩილებაში მოეყვანა. ქუთაისში ყოფნის დროს ალექსანდრე მეფემ იმერეთის ერისთავად დააყენა თავის ცოლის ძმა იმერეთის მეფის კონსტანტინეს შვილი დიმიტრი, რომელიც **1401** წლითგან ცხოვრობდა ქართლში.

იმერეთითგან დაბრუნებული ალექსანდრე შევიდა სამცხეში და შეება ივანე ჯაყელს კოხტის-თავზე. ივანე ჯაყელი დამარცხდა და მორჩილება გამოუცხადა მეფეს (1414 წ.).

3. **ალექსანდრე მეფის მეცადინეობა აოხრებულის ქვეყნის აშენებისათვის.**—ამნაირად ალექსანდრე მეფემ გაამაგრა საქართველოს შერყეული ერთიანობა და შეუდგა თემურის მიერ აოხრებულისა და დანგრეულის სოფლების, ქალაქების, ციხეების და ეკლესია-მონასტრების შენებას და განახლებას. რადგანაც ამნაირს მოღვაწეობას სჭიროდა ფული, ამიტომ გამართა ბჭობა დიდებულებთან იმის შესახებ, თუ როგორ მოეპოვნათ სახსარი. დიდებულებმა ერთხმად დაადგინეს, დაეწესებინათ დროებით ახალი გადასახადი ორმოც-ორმოცი თეთრი კომლზე და ამ შემოსავლით შესდგომოდენ საქმეს. მართლაც ალექსანდრემ დიდის მხნეობით მიჰყო ხელი ქვეყნის შენებას და ოცდახუთის წლის

განმავლობაში ააშენა და განაახლა ბევრი დანგრეული სოფელ-ქალაქი, ციხეები და ეკლესია-მონასტრები. ახალი გადასახადი მოსპობილ იქნა 1440 წ.

4. ალექსანდრეს პოლიტიკა ბარეშე მტრების მიმართ.—მხნე და მამაცი ალექსანდრე თავგამოდებით ებრძოდა გარეშე მტერს, როდესაც იგი ბედავდა საქართველოს საზღვრების გადმოლახვას, მაგრამ თუ დაინახავდა, რომ მტერი მეტად ძლიერი იყო და მასთან ბრძოლით ვერას გააწყობდა, ცდილობდა მშვიდობიანის მოლაპარაკებით ქვეყნის ინტერესის დაცვას და აკლებაოხრების თავითგან აცილებას. ასე მოიქცა ალექსანდრე, როდესაც თემურის ტახტზე მჯდომმა **მისმა** შვილმა **შაჰ-როხმა** გამოილაშქრა ადირბეჟანში და აპირებდა **საქართველოში** შემოსვლასაც. ამ ამბის შემტყობმა ალექსანდრემ გაუგზავნა შაჰ-როხს მოციქულად თავის შვილი დიმიტრი, გამოუცხადა მორჩილება და დაჰპირდა ხარჯის ძღევას (1435 წ.). შაჰ-როხი აღარ შემოსულა საქართველოში და ამნაირად ქვეყანა გადარჩა აოხრებას.

5. **რანისა და შირვანის დაპერა.**—ძირეულის საქართველოს ერთიანობის და მშვიდობიანობის დაცვასთან ალექსანდრე მეფე არ ივიწყებდა საქართველოს მეფეთა უფლებას დაპყრობილს უცხო ქვეყნებზე—რანზე და შირვანზე. ეს ქვეყნები საქართველოს ძლიერების დროს ყოველთვის საქართველოს მეფეებისგან იყვნენ ხოლმე დამოკიდებულნი. მხოლოდ როდესაც საქართველოს გარეშე მტერი დასჩაგრავდა, ისინიც გაიწევდენ ხოლმე განზე და აღარ ემორჩილებოდენ ქართველთა მეფეებს. ასე ქნეს ამ ქვეყნებმა თემურის შემოსევის შემდეგაც. ალექსანდრე მეფემ მოინდომა ეს ქვეყნები

ხელახლად დაემორჩილებინა. 1432 წ. შემოსეულის თურქების ლორითგან, განდევნის შემდეგ ალექსანდრე შევიდა რანში და შირვანში და იქაური მფლობელები აიძულა მორჩილება გამოეცხადებინათ. რავდენისამე წლის შემდეგ, როდესაც შაჰ-როხი მოვიდა ადირბეჟანს, ამ ქვეყნებმა ხელახლა უარი თქვეს ალექსანდრეს მორჩილებაზე. მეფემ არც ახლა დასთმო თავისი უფლება, შეესია ამ ქვეყნებს (1437 წ.) და აიძულა დამორჩილებოდენ.

6. **ჯიჰან-შაჰის შემოსევა და მის შედეგი.**— ალექსანდრე მეფე მართალია შაჰ-როხს დაჰპირდა ხარჯის ძლევას, მაგრამ რავდენისამე წლის შემდეგ უარჰყო ეს ვალდებულება. ადირბეჟანის მმართველმა **ჯიჰან-შაჰმა**, რომელსაც შაჰ-როხისგან მინდობილი ჰქონდა საქართველოსგან ხარჯის მიღება, მოსთხოვა ალექსანდრეს ხარჯი და, როდესაც უარი მიიღო, წამოვიდა ლაშქრით საქართველოსკენ. მეფე მოტყუვდა ანგარიშში და ვერ მოახერხა მტრის შეჩერება სამძღვარზედვე. ჯიჰან-შაჰმა აიღო ტფილისი. ალექსანდრემ შეუსრულა მტერს სათხოვარი და დაჰპირდა ხარჯის ძლევას საკვლავოდაც (1440 წ.).

7. **ალექსანდრე მეფის ბერად შედგომა და ვახტანგის გამეფება.**— ალექსანდრე მეფე მეტად ღვთის მოსავი კაცი იყო. ამიტომ ოცდა ცხრა წლის მეფობის შემდეგ ბერად ეკურთხა **ათანასეს** სახელით და თავისი ტახტი გადასცა უფროსს შვილს **ვახტანგს** (1442 წ.). ამავე დროს მან შუათანა შვილი **დიმიტრი** დანიშნა იმერეთის მმართველად, ხოლო უმცროსი **გიორგი** კახეთის მმართველად. უეჭველია, ალექსანდრე მეფეს აზრა-

დაც არ მოსვლია სამეფოს სამად გაყოფა. უმცროსი ძმები მხოლოდ თანაშემწეებად მიუჩინა უფროსს ძმას.

8. **ვახტანგის შემდეგ ჯერ დიმიტრის, მერმე გიორგის გამეფება.**—ვახტანგ მეფემ იმეფა მხოლოდ სამს წელს და მოკვდა უშვილოდ 1445 წ. მის მაგიერ გამეფდა ძმა მისი დიმიტრი. დიმიტრიმ უფრო ნაკლებს ხანს იმეფა და მოკვდა 1447 წ. მართალია, მას დარჩა შვილი კონსტანტინე, მაგრამ გამეფდა მესამე ძმა გიორგი, ცნობილი ისტორიაში გიორგი მერვედ.

9. **ყვარყვარე ჯაყელის გადამტერება გიორგი მეფეზე.**—გიორგის გამეფების პირველსავე წელს მოხდა სამცხეში ისეთი ამბავი, რომელმაც გამოიწვია შინაური განხეთქილება. **აღბუღა** ჯაყელს და მის ძმას **ყვარყვარეს** უსიამოვნება მოუვიდათ ერთმანერთში. საქმე ბრძოლამდე მივიდა. აღბუღა ჯაყელმა მიმართა გიორგი მეფეს და სთხოვა დახმარება. გიორგი მეფე შევიდა სამცხეში ყვარყვარეს დასაწყნარებლად. ყვარყვარე მორჩილებით გამოცხადდა მეფესთან. მეფემ ისევ აღბუღას მისცა ერისთავობა. ამ ამბის შემდეგ ყვარყვარე შეიქნა მეფის უკმაყოფილო. 1451 წ. მოკვდა აღბუღა ჯაყელი და გიორგი მეფემ ერისთავად დააყენა ყვარყვარე. ყვარყვარე ახლა ცდილობდა დამოუკიდებლობა მიეღო როგორმე. თავის მიზნის მისაღწევად ყვარყვარემ გამართა მოლაპარაკება სხვა ერისთავებთან, რომ გასდგომოდენ მეფე გიორგის.

10 **ბაგრატ ერისთავის გადგომა და გამეფება იმერეთში.**—ამ დროს იმერეთში მოკვდა დიმიტრი ერისთავი და მეფემ დაადგინა მის ადგილს მისი შვილი **ბაგრატი**. აი ამ ბაგრატზე იქონია გავლენა ყვარყვარემ ისე, რომ ბაგრატი ცხადად გაუდგა მეფეს. გიორგი მე-

ფე ქართლის ჯარით გადავიდა იმერეთს და შეუთვალა ყვარყვარე ჯაყელს, დადიანს, გურიელს, შარვაშიძეს და გელოვანს, რომ ისინიც მისულიყვენ მასთან თავიანთ ჯარით ბაგრატის წინაამდეგ. არც ყვარყვარე და არც სხვა დასახელებული ერისთავები არ მიეშველნენ მეფეს და ამას მოუხდა მარტოდ შეტაკება ბაგრატთან. ბძოლაში (ჩიხორთან) იძლია გიორგი მეფე და დაბრუნდა ქართლს, ხოლო გამარჯვებულმა ბაგრატმა თავი გამოაცხადა იმერეთის მეფედ (1462 წ.).

11. მეფის შესვლა სამცხეში ყვარყვარეს დასასჯელად და თურქების შემოსევა ქართლში.— ყვარყვარე ჯაყელის საქციელით გაჯავრებული მეფე გიორგი შეესია სამცხეს 1463 წ. მესხები მეფის ერთგულები იყვნენ და ამიტომ არ დაუჭირეს მხარი ყვარყვარეს. ჯაყელი გაიქცა ბაგრატთან იმერეთში. გიორგი მეფე შეუდგა სამცხის საქმეების მოწყობას. ამ დროს მოუვიდა ამბავი თურქების შემოსევის შესახებ სომხითში. გიორგი მეფე მაშინვე წამოვიდა ქართლს და შეებრძოლა თურქებს. ბრძოლაში მეფე დამარცხდა, თურქებმა გაარბინეს ქართლი და დაბრუნდენ უკან (1463 წ.).

12. რანისა და შირვანის გადგომა.—საქართველოში შინაურის არეულობის და განდგომილების დამნახავი რანისა და შირვანის მფლობელები ცდილობდენ გიორგი მეფის მორჩილებისაგან გათავისუფლებულიყვენ. ერთის გზობით გიორგი მეფემ აიძულა ეს ქვეყნები მორჩილება გაეწიათ (1453 წ.), მაგრამ მეორეჯერ-კი ვერ მოახერხა მათი დამორჩილება და მას აქეთ სრულიად თავისუფალნი შეიქნენ ისინი (1463 წ.).

13. ყვარყვარეს დაბრუნება სამცხეში და დატყვევება მისგან გიორგი მეფისა.—ამავე წელს ყვარ-

ყვარე ჯაყელი ბაგრატ მეფის შემწეობით დაბრუნდა სამ-
ცხეს. **კახაბერ გურიელს** ყვარყვარემ დაუთმო აჭარა
და ჭანეთის ნაწილი იმ პირობით, რომ მიმხრობოდა გი-
ორგი მეფის წინაამდეგ. ჯაყელმა განდევნა სამცხითგან
გიორგი მეფის ერთგული დიდებულები და ამნაირად და-
მოუკიდებელი შეიქნა.

1465 წ. გიორგი მეფე ხელახლად შევიდა სამცხეში,
ბაგრამ ყვარყვარემ გაიმარჯვა მეფეზედ და დაატყვევა.

**14. ბაგრატ მეფისა და კონსტანტინე დიმიტ-
რი მეფის შვილის ცდა საქართველოს მეფის ტახ-
ტის დაჭერისათვის.**— გიორგი მეფის დატყვევების შემ-
დეგ დიმიტრი მეფის შვილმა კონსტანტინემ და იმერეთის
მეფემ ბაგრატმა გამოაცხადეს თავის თავი საქართველოს
მეფედ. კონსტანტინემ, მეფედ გამოცხადებისათანავე, მი-
მართა ისპანიის დედოფალს იზაბელას თურქების წინაამდეგ
შველისათვის. თურქების მაგიერ იმას მოუხდა მალე ბრძო-
ლა ქართველებთან, რადგან იმერეთის მეფე ბაგრატი
ეადმოვიდა ქართლს და დაიპირა როკორც ქართლი,
ისე კახეთი, (1466 წ.). კონსტანტინეს შერჩა მხოლოდ
ტეფის სახელი და ქართლის მცირეოდენი ნაწილი ტფი-
ლისის ქალაქითურთ.

**15. ბიოლგი მეფის გათავისუფლება ტყვეო-
ბითგან და ბრძოლა მისი ბაგრატსა და კონსტან-
ტინესთან.**— ყვარყვარე ჯაყელი მოკვდა 1466 წლის
დამდეგს და სამცხე დაიპირა მისმა ძმე **ბაადურმა.** ბაა-
დურმა რომ დაინახა ბაგრატ მეფის გაძლიერება, იფიქ-
რა ის ქართლისა და კახეთის დაჭერის შემდეგ სამცხე-
საც დაიპყრობსო, და ამიტომ არჩია გიორგი მეფის გა-
თავისუფლება და მის მეფობა ქართლსა და კახეთში.
გიორგი მეფე დაჰპირდა ბაადურს სრულის დამოუკიდე-

ბლობის მინიჭებას, თუ შეეწეოდა ქართლისა და კახეთის დაბრუნებაში. ბაადურ ჯაყელი გამოუძღვა გიორგი მეფეს თავის ჯარით და გადმოიყვანა სომხითში. აქ მეფესთან გამოცხადდენ ქართლისა და კახეთის მისი ერთგული დიდებულები. ეს რომ დაინახა ბაგრატმა, ველარ დარჩა ქართლს და დაბრუნდა იმერეთს.

ბაგრატ მეფის იმერეთს გადასვლის შემდეგ გაიმართა შფოთი და ბრძოლა გიორგი მეფესა და კონსტანტინეს შორის. 1470 წ. ბაგრატ მეფე ხელახლად გადმოვიდა ქართლს და დაუწყო ბრძოლა გიორგისაც და კონსტანტინესაც. ბოლოს ბაგრატმა აუთქვა გიორგის კახეთის დანებება იმ პირობით, რომ მხარი დაეჭირა მისთვის კონსტანტინეს წინაამდეგ და ქართლზე ხელი აეღო. გიორგი დათანხმდა და გადავიდა კახეთს, ხოლო ქართლი გადასცა ბაგრატს. ამ მორიგების მიუხედავად კონსტანტინე მაგრად იყო ტფილისში, ეჭირა მთიულეთი და სომხეთი და ცდილობდა მთელის ქართლის დაჭერას.

16. **უზუნ-ასან ყაენის შემოსევა და კონსტანტინე მეფისგან მთელის ქართლის დაჭერა.**—საქართველოს დასუსტებით წაქეზებული სპარსეთის ყაენი **უზუნ-ასანი** შემოესია ქართლს და მიადგა ტფილისს 1478 წ. კონსტანტინე მეფემ წინაამდეგობა გაუწია შემოსეულს მტერს. ყაენმა გამართა მასთან მოლაპარაკება და დაჰპირდა მთელის საქართველოს მეფედ ცნობას და შველას, თუ დაემორჩილებოდა. კონსტანტინემ თავის სუსტის ძალით ბრძოლას არჩია მორიგებოდა მძლავრს მტერს და მის შემწეობით დაემკვიდრებინა თავის სამეფო ტახტი. მეფე მივიდა უზუნ-ასანთან და გადასცა ტფილისი. ამის შემტყობმა ბაგრატ მეფემ მიანება თავი

ქართლს და გადავიდა რაჭას. ყაენმა კი გაგზავნა ჯარი ბაგრატის მორჩილის ქართლის კუთხეების მოსარბევად. საბედნიეროდ, იმ ხანს ყაენი შეიქნა ავად და გაეშურა სპარსეთს, სადაც მალე გადაიცვალა.

უზუნ-ასანის სიკვდილის შემდეგ კონსტანტინე მეფემ განდევნა ქართლითგან ყაენისგან დატოვებული სპარსეთის ჯარი, ხოლო როდესაც ამავე წელს გადაიცვალა იმერეთის მეფე ბაგრატი, იგი შეუდგა ქართლის დაპყრასაც. მცირე ხნის გამავლობაში განდევნა ქართლის ყველა ციხეებითგან იმერეთის მეფის მეციხოვნეები და შეიქნა მთელის ქართლის მეფედ (1479 წ.).

17. **სამი სამეფო და ხუთი სამთავრო.** — ამნაირად ჩაისახა აზრი და განხორციელდა საქმით საქართველოს განაწილება სამს სამეფოდ — **ქართლისა, კახეთისა** და **იმერეთისა.** იმ დროს, როცა მეფეები ერთი-ერთმანერთს ებრძოდენ თავიანთ ტახტის დასამყარებლად და საზღვრების გასამაგრებლად, ერისთავები **სამცხისა, გურიისა, ოდიშისა, აფხაზეთისა** და **სვანეთისა** ცდილობდენ თავიანთ დამოუკიდებლობის დამყარებას. სამცხის ერისთავებმა, რომელთაც მიითვისეს **ათაბაგის** სახელწოდება, სრულიად გაითავისუფლეს თავი ქართლის მეფისგან, ხოლო დანარჩენები ებრძოდენ იმერეთის მეფეს და თანდათან იძენდენ დამოუკიდებლობას. ეს დამოუკიდებლობის მაძიებელი და დამცველი ერისთავები წოდებულ იქნენ **მთავრებად.** ამ რიგად საქართველო მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში განაწილდა სამს სამეფოდ და ხუთს სამთავროდ.

სარჩევი.

I

ქართველები უძველესს დროში (2—8 გვ.).

ქართველების არე-მარე.—ქართველების მეზობლები და მათთან ურ-
თობა.— ქართველების ვინაობა.—ქართველთა შინაური წესწყობი-
—სარწმუნოება და ზნე-ჩვეულება.—ცხოვრების სახსრები.

II

ქართველო მეფობის შემოღებითვან ქრისტიანობის მიღებამდე (9—20 გვ.).

ქართველთა შეერთების საჭიროება.—მაკედონელთა მფლობელობა.—
ონელთა მფლობელობისგან გათავისუფლება და მეფობის დაარსება.—
ოზ მეფე.—ფარნაოზის შემდეგი მეფეები.—პოლიტიკური ცვლილე-
ბა ფარნაოზითგან მეფე ადერკამდე.—საქართველოს შინაური მდგომარეო-
ბა ევლს საუკუნეში ქრისტეს წინ.—მეფეები ადერკის შემდეგ მირიან
ე.—ქართველთა სარწმუნოება ქრისტიანობის მიღებამდე.

III

ტიანობის გავრცელება საქართველოში (20—27 გვ.).

წმ. ნინო.—წმ. ნინოს სასწაულები.—მირიან მეფის გაქრისტიანება.—
ელების მონათვლა.—გაქრისტიანების პოლიტიკური შედეგი.

IV

ეფე ვახტანგ გორგასალი და მის შემდეგი დრო (27—34 გვ.).

ვახტანგის მეფობის პირველი წლები.—ლაშქრობა ხაზარებზე.—
ობა ბიზანტიის წინააღმდეგ.—სპარსეთის მფლობელობის უარყოფა და
დეგი.—ვახტანგის მოღვაწეობა.—კობადის გამოლაშქრება და ვახტან-
ვდილი.—ვახტანგის შემდეგი მეფეები.—იმიერ-საქართველოს გადგომა
ზიკის დაარსება.—სპარსელების პოლიტიკა და მისი შედეგი.

V

არაბთა მფლობელობის დრო (34—41 გვ.).

გურამ ბაგრატიონის გამეფება.—გურამის გამეფებითგან არაბების შ
მოსვლამდე.—არაბების მფლობელობის დამყარება.—პოლიტიკური სისუსტ
—სარწმუნოებრივ-კულტურული განვითარება.—ეროვნულის გრძნობის გ
ღვიძება.

VI

დავით კუროპალატი და მეფე ბაგრატ მესამე (42—47 გვ.

დავით კუროპალატი.—აფხაზეთის უკანასკნელი მეფეები.—ბაგრატ
გამეფება აფხაზეთში.—ბაგრატ მეფე და მამა მისი გურგენი.—გურგენის გ
მეფება და დავით კუროპალატის სიკვდილი.—კახეთის დაპერა ბაგრა
მეფისაგან.—განჯის ამირას დამორჩილება.

VII

მეფენი გიორგი პირველი და ბაგრატ მეოთხე (48—60 გვ.)

კახეთის და განჯის გადგომა.—დავა და ბრძოლა ბიზანტიასთან. მა
შედეგი.—აზნაურთა გადგომა ბაგრატისაგან.—მარიამ დედოფლის წასვ
იმპერატორ რომანოზთან.—ლაშქრობა განჯაზე და ტფილისის ამირას შე
ყრობა.—ტფილისის ალება ცდა.—კახეთის დაპერის ცდა.—ლიპარი
ორბელიანის პირველი გადგომა.—ტფილისის დაპერა.—ლაპარიტის მეო
გადგომა.—ლიპარიტის დატყვევება თურქთაგან და გათავისუფლება. ბ
რატის წასვლა კონსტანტინოპოლს.—გიორგის გამოცხადება მეფედ ბაგრ
ტის ნაცვლად.—ბაგრატის დაბრუნება და ლიპარიტის განდევნა.—თუ
ქების შემოსევა.—განჯის ამირას შეპყრობა და ტფილისის ხელ-მეორ
დაპერა.—საქართველოს კულტურული განვითარება გიორგი პირველის
ბაგრატ მეოთხის დროს.

VIII

მეფე გიორგი მეორე (60—65 გვ.).

დიდებულების ამბოხება.—მალიქ-შაპის შემოსევა.—ანაკოფიის აღებ
ყარსისა და კარნუ-ქალაქის დაპერა.—იკონიის თურქების შემოსევა და ქა
თველების გაპირება.—გიორგი მეფის ტახტითგან ჩამოგდება და მის შვილ
დავითის გამეფება.

IX

მეფე დავით აღმაშენებელი (65—73 გვ.).

დავით მეფის მეცადინეობა თურქების განდევნისათვის.—ზრუნვა ში-
ურის წესიერების დამყარებისათვის.—კახეთის შემოერთება.—წართმევა
ურქთაგან საქართველოს ციხეებისა და ბალაშვრება შირვანსა და არაქსის
ობაში.—სამუდამო ჯარის დაარსება ტყვეთაგან და ყივჩაყთაგან.—თურ-
ების ცდა თავიანთ მფლობელობის დასაცველად და დავითის გამარჯვება
თზე.—ტფილისის აღება. ანის შემოერთება.—დავით მეფის პარადი ხასია-
ი და საქვეყნო მოღვაწეობა.

X

მეფე გიორგი მესამე (74—85 გვ.).

ცნობების უქონლობა დიმიტრის მეფობის შესახებ.—ანის დაპერა
ადლონისაგან.—დამარცხება დოვინში. არზრუმის მფლობელის დატყვევე-
ა.—დიმიტრი მეფის შვილების გადამტერება, დიმიტრი მეფის ჩამოგდება
ა დავითის გამეფება.—დავითის სიკვდილი და გიორგის გამეფება.—ანის
აპერა და ლაშქრობა აშორნში.—ომი შაჰ-ერმანთან და მის მოკავშირე-
თან.—ანის გამგებლების ცვლა.—დოვინის გამარჯვება.—ბრძოლა ელდი-
ეზ ათაბაგთან და მის მოკავშირეებთან.—ანის ქალაქის საქმეები.—ლაშ-
რობა შირვანში.—ორბელიანთა შეთქმულობა გიორგი მეფის წინააღმდეგ.—
ეკლესიო კრება.—თამარის დანიშვნა ტახტის მემკვიდრედ.—შინაურის
შვიდობიანობის დამყარება.

XI

თამარ მეფე (85—97 გვ.).

მეზობლების ასევა თამარის გამეფების გამო.—დიდებულთა არეუ-
ობა.—თამარის დაქორწინება გიორგი რუსზე.—გიორგი რუსის სიავე და
ასი განდევნა.—თამარის მეორედ დაქორწინება.—ამბოხება დავით სოსლანის
ინაამდეგ.—დავით სოსლანის პირველი ლაშქრობანი.—გიორგი რუსის შე-
ოსვა კახეთს.—შამქორის ომი.—საქართველოს საზღვრების გაფართოვება.
-ბოლოსტიკის ომი.—ტრაპიზონის იმპერიის დაარსება.—დავით სოსლა-
ის სიკვდილი.—არდებილის სულთნის თავდასხმა ანზე და არდებილის აკ-
ეება ქართველთაგან.—ლაშქრობა სპარსეთში.—ქვეყნის სიმდიდრე და
ულტურული განვითარება.—თამარ მეფის პირადი ღირსებანი.

XII

საქართველო თამარ მეფის შვილების დროს (98—110 გვ.

გიორგი ლაშას პირადი თვისებანი.—განჯის გადგომა და დაწყნარ
ბა.—საქართველოს სიძლიერე.—თათრების გამოჩენა.—თათრების შემოსვ
საქართველოში და მათი განდევნა.—გიორგი ლაშას სიკვდილი და რუსუ
დანის გამეფება.—ჯალალ-ედინი და პირველი ბრძოლა მასთან.—ჯალალ
ედინის წინადადება რუსუდანის შერთვის შესახებ.—ჯალალ-ედინი საქა
თველოში.—რუსუდანის მეცადინეობა თავის შვილის გამეფებისათვის.
ამიერ-საქართველოს დაპერა თათრებისაგან.—რუსუდანის მიმართვა პაპისა
მი შემწეობისათვის და შვილის გაგზავნა თათრების ყაენთან მეფედ დასა
ტკიცებლად.

XIII

საქართველოს შინაური ცხოვრება მეთორმეტე საუკუნეს
(110—123 გვ.).

საქართველოს ძლიერების ხანა და ამ დროს შინაური ცხოვრები
ცვლა.—სოციალი წეს-წყობილება.—სამოქალაქო და სამხედრო მართვ
გამგეობა.—სამღვდელობა და საეკლესიო წეს-წყობილება.—გონებრივი გა
ვითარება.—მონასტრების ღვაწლი.—არაბების და სპარსების განათლებ
გავლენა.—ეკონომიური მდგომარეობა.

XIV

თათრების მფლობელობის დრო (123—136 გვ.).

საქართველოს განაწილება ნოინთა შორის.—უმეფობის შედეგი.-
დიდებულების ბჭობა კოხტის-თავზე და მათი შეპყრობა თათართაგან.-
ცოტნე დადიანის საქცევლი.—გიორგი ლაშას შვილის დავითის გათავ
სუფლება და გაგზავნა მისი ყარაყორუმს.—ორის მეფის დადგენა თათრთ
გან.—დავით მეოთხის გადგომა თათართაგან.—დავით მეხუთის მდგომარეო
ბა.—საქართველოს აღწერა თათართაგან ხარჯების და სალაშქრო ბეგრ
შესაწერად.—დავით მეხუთის გადგომა თათართაგან და შერიგება მათთან.-
დავით მეხუთის და სარგის ჯაყელის ურთიერთობა.—თეგუთარის აჯანყე
ბა ალა ყაენის წინააღმდეგ და მისი დამარცხება.—დავით მეხუთის სიკვდილ
და უმეფობა ამიერ-საქართველოში.—კახაბერ ერისთავის მოკვლა.—დ
ვით მეოთხის სიკვდილი.

XV

თათრების მფლობელობის დრო (136—145 გვ.).

(შემდეგი და დასასრული).

დიმიტრი მეორის გამეფება.—სამეფოს მდგომარეობა.—დიმიტრი მ-
ეის თავდადება.—ვახტანგის მეფობა.—დავით მეექვსის გამეფება და მისი
ადგომა თათართაგან.—გიორგი მეხუთის გამეფება ყაენისგან.—დავით მეფის
ა მის ძმის ვახტანგის მტრობა.—ვახტანგის გამეფება.—ხარბანდა ყაენი და
ერთველობა.—გიორგი მეექვსის გამეფება.—გიორგი მეხუთის ხელმეორედ
ამეფება.

XVI

თათართა მფლობელობის მოსპობა და საქართველოს აღორძინება (146—152 გვ.).

გიორგი მეხუთის მომზადება მეფობისათვის.—ოსების დაწყნარება.—
თათართა მფლობელობის უარყოფა.—ურჩის დიდებულების დასჯა.—რანი-
ა და შირვანის დაპერა.—იმიერ-საქართველო დავით მეოთხის შემდეგ.—
იმიერ-საქართველოს შემოერთება ამიერ-საქართველოსთან.—გიორგი მეხუ-
თის მოღვაწეობა შინაურის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის.—მეზობელ
მფლობელების ამხედრება საქართველოს წინააღმდეგ.—გიორგი მეხუთის ს-
კვდილი და მის შვილის დავითის მეფობა.

XVII

საქართველო და თემური (152—160 გვ.).

თათრები და თემური.—თემურის პირველი შემოსევა და ბაგრატ მე
ეუთის დატყვევება.—ბაგრატის ტყვეობითგან დახწევა.—თემურის მეორ
ე შემოსევა.—ბაგრატ მეხუთის სიკვდილი და გიორგი მეშვიდის გამეფება.
თემურის მესამე და მეოთხე შემოსევა.—გიორგი მეფის მოლაპარაკება თ
ემურთან.—თემურის მეხუთე შემოსევა.—თემურის გალაშქრება რუსეთს და
ოქითგან დაბრუნებულის მეექვსე შემოსევა საქართველოში.—თემურის მე-
ვიდე შემოსევა და გიორგი მეფის მოლაპარაკება მასთან.—თემურის დაბ-
რუნება სათათრეთს და მისი სიკვდილი.—ცდა იმიერ-საქართველოს გაცალ-
კევებისა.

XVIII

საქართველოს დანაწილება (161—169 გვ.).

კონსტანტინეს მეფობა. ალექსანდრე პირველის გამეფება.—იმიერ საქართველოს ერისთავების დაწყნარება და სამცხის ერისთავის დამორჩილება.—ალექსანდრე მეფის მეკადინეობა ოსრეზულის ქვეყნის აშენებისთვის.—ალექსანდრეს პოლიტიკა გარეშე მტრების მიმართ.—რანისა და შირვანი დაპერა.—ჯიპან-შაჰის შემოსევა და მის შედეგი.—ალექსანდრე მეფის ბერად შედგომა და ვახტანგის გამეფება.—ვახტანგის შემდეგ ჯერ დიმიტრის, მერე გიორგის გამეფება.—ყვარყვარე ჯაყელის გადამტერება გიორგი მეფეზე—ბაგრატ ერისთავის გადგომა და გამეფება იმერეთში.—მეფის შესვლა სამცხეში ყვარყვარეს დასასჯელად და თურქების შემოსევა ქართლში.—რანისა და შირვანის გადგომა.—ყვარყვარეს დაბრუნება სამცხეში და დატყვევება მისგან გიორგი მეფისა.—ბაგრატ მეფისა და კონსტანტინე დიმიტრი მეფის შვილის ცდა საქართველოს მეფის ტახტის დაპერისათვის.—გიორგი მეფის გათავისუფლება ტყვეობითგან. ბრძოლა მისი ბაგრატსა და კონსტანტინესთან.—უზუნ-ასან ყაენის შემოსევა და კონსტანტინე მეფისგან მთელი ქართლის დაპერა.—სამი სამეფო და ხუთი სამთავრო.

ს. ყუთაისის სახ. საჯარო
ბიბლიოთეკა
БИБЛИОТЕКА
Кут. Гос. Публичная